

022
1983/2

ISSN 0134 3459



ქართული

1983

5

88



ჭოჩოხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მფარველთა კავშირისა
და აჭარის განყოფილების
ორგანო

გამოცემის 25-ე წელი

5
1983

საქართველო
რესპუბლიკა

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



ბათუმი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

სწორად რომ შევაფასოთ გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვუპასუხოთ კითხვაზე — რა მოხდებოდა, საქართველოს რომ არ დაეღო რუსეთთან მეგობრობის ეს ისტორიული მანიფესტი?

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ან ფიზიკურად და სულიერად მოიხსობოდა, ან მისი სრული ასიმილაცია მოხდებოდა.

ისტორიული გადარჩენის მკაფიო მაგალითი შეიძლება იყოს საბჭოთა აჭარა. განმათავისუფლებელი რუსი ჯარისკაცის მეშვეობით მისი დედასაქართველოსთან დაბრუნების ასი წლისთავი, რამდენიმე წლის წინათ საზეიმოდ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში საბჭოთა აჭარის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, ერთი მხრივ, და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამოძმეთა საუკუნოვანი ჩამორჩენა და ასიმილაცია განა ისტორიული გადარჩენისა და ისტორიული განწირულების მკაფიო მაგალითები არ არის?! ორი ისტორიული სვე-ბედი — ორი სამყაროს ორი სოციალური და ეროვნული პორტრეტი! გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ განვლილი ორი უკანასკნელი საუკუნის ისტორიამ მკაფიოდ დაამტკიცა, რომ ქართველი ხალხი, ძველი და თავისთავადი კულტურის მქონე ხალხი, მხოლოდ ცივილიზაციის მთავარ გზაზე დარჩებოდა მხოლოდ რუსეთთან ერთად, მხოლოდ რუსეთის დახმარებით.

ე. შიშკარდნაძე.

ფრიდონ ხალვაში

ძმობის კეზლი

ბოლშაია გრუზინსკაიაზე აღიმართა ზ. წერეთლისა და
ა. ვოზნესენსკის მიერ შექმნილი ძმობის მონუმენტი

თითქოს ყველგან სიავეს
დაუფრია ფარ-ხმალი,
ძმობის ძეგლი დამდგარა,
ძმობასავეთ მაღალი.
ეს ზღვა ჩემი ზღვა არი,
ჩემი მზე და მთებია,
ჩენი ვაზის მტევანი,
შენი პურის თავთავი
ერთუროს ეხუტებიან.
მოსკოვს შეენის გვირგვინად
საქართველოს მთა-ბარი,
ქართული და რუსული
ანბანს კოცნის ანბანი.
ეს ძმობაა და ჩვენი
გადარჩენის სიმღერა,
იგი არ წაიქცევა,
იგი არ დაირღვევა!
დგას მოსკოვის გულში და
გრძნობს თავად დროუამიცა, —
ნუდამ გული მოსკოვის
სიტყვას ქართულს დაიცავს.

21. 6. 83

ზოსკოვი

კ. შარტავის ს.ხ. ნაქ. სსრ

სასტუმრო-ტექნიკური

ბინათმშენებ № 1

ის დრო სხვა იყო. —

წუხდა ქართველი,
გული საშველად გულებს ეძახდა.
კვნესა ისმოდა გათელილ ველთა,
ცრემლი წვეთავდა კაცთა, ვენახთა.

უკვე მოწყვეტილ ტაო-კლარჯეთში
დადუმებულნი და ნახანძრეენი,
დამონებულნი და დატანჯულნი,
მგლოვიარენი იდგნენ ტაძრები.

მაშინ დარიალს იქით, გადაღმა,
ივერთა შველის შუქმა იალა
და შაჰ-აბასის ქუსლქვეშ გადამხმარ
ქართლზე იმედად გადაიარა.

ეს შუქი ხელად ხელში შეკონა
მეფე ერეკლემ, ვითარცა ხმალი...
საქართველო რომ მკედარი ეგონათ,
იბადებოდა ის სულ ახალი.

ზე — ერთი შვილი ობოლ ჭოროხის,
დღეს საქართველოს ერთი პატრონი,
ვიგონებ ამას, თავით ბოლომდის,
მომავლის ფიქრით, ლოცვით, მადლობით.

მეგობარს

„...მაგრამ ხურავს სხვისი მიწის ნათხოვარი სახანი“.

ო. მამფორია

მეგობარო, სანატრელო,
მიყვარს შენი იგავი..
სანეტარო საქართველოს
მუდამ წეწდა გრივადი.

ბედმა ვინ სად გადაკარგა,
ბედმა ვინ სად დამარხა,
მაგრამ ქართველს ზუღამ, ყველგან
საქართველო თან ახლდა.

„ნათხოვარი“ მიწა? როგორ,
შეგობარო, რას ამბობ?!
„ნათხოვარი“ რას მიქვია,
თუ ის სისხლმა დააღბო.

ამიტომაც გთხოვ, ძმობილო,
ერთი რწმენით იყავი, —
სად ქართველი ასვენია,
საქართველოც იქ არის.



ქვემოთაღი

იმერთა მეფის არჩილ მეორის ელჩი თავადი დიმიტრი ქვარიანი ნეორე წელია მოსკოვის სამეფო კარზე იჭდა და ასტრახანიდან არჩილ მეორის მოსკოვში ჩასვლის ნებართვას ელოდა. ახოვანი ტანის კაცი ჩანდა დიმიტრი ქვარიანი, მას ქართული ჩოხა ეცვო, ფაფახი ეხურა და ცისფერი ახალუხი მოუჩანდა. სუფთად გაპარსული პირისახე, ზომიერი ცხვირი, მოშვილდული თვალ-წარბი და ქალარაშერეული უღვაშები მიმზიდველ შეხედულებას აძლევდა ქართველ თავადს, სახეზე აღეღვება ეტუობოდა. დიმიტრი ნაღწროს პრიკაზის მოხელეებისაგან ითხოვდა აღექსი მიხეილის ძის შვილებთან იოანესა და პეტრესთან შეხვედრას, რათა დაემტკიცებინა ის ფაქტი, რომ იმერთა მეფეს არჩილს მეტი აღარ შეეძლო ასტრახანში ყოფნა, რადგან ოსმალთა სულთანი და ირანის შაჰი რუსთა ხელმწიფისაგან წყალობამოკლებულად ჩათვლიდნენ.

„ბოძოს მას, არჩილს, მეფეთა მათი უდიდებულესობისაგან არამცირე ჯამაგირი და“ იცხოვროს თავისი ქვეყნის მახლობლად, მეფისა მათი უდიდებულესობის ქალაქ თერგში“, — ასეთი იყო იოანესა და პეტრეს განკარგულება.

თავადი ქვარიანი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა რუსულს, თურქულს, სპარსულსა და ბერძნულ ენებს, მოხელეთაგან გებულობდა, რომ უდიდესი ხელმწიფის აღექსი მიხეილის ძის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის სამეფო კარზე ერთსულოვნება აღარ იყო. 1683 წლის 21 აპრილს თავადმა თედორე თედორეს ძე ვოლინსკიმ და დიკმა ვასილ მიხაილოვმა ასტრახანში არჩილ მეორეს ჩაუტანეს მეფეთა სიგელი „მათი უდიდებულესობის ქვეშევრდომობაში არჩილის მიღების შესახებ“ და „უკაზი“ იმის თაობაზე, რომ „მოეწყოს თერგში სასახლე, სადაც არჩილი იცხოვრებს თავისი ოჯახით გაუჭირვებლად“.

— არა, ვერაფერს გახდებოდა თავადი დიმიტრი. თედორე ვოლინსკთან საუბარმა დამარწმუნა, რომ მოსკოვი ნაზარალი-ხანს, მიუხედავად ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომისა. საქართველოს მეფედ სცნობს და ჩემი მოსკოვში მიღება ერეკლე პირველის — ნაზარალი-ხანის უნდობლობას ნიშნავს, ეტუობა, ახალგაზრდა მეფეები იოანე და პეტრე კარგად ვერ იცნობენ ბედარულ საქართველოს, ამიტომ, რაც უნდა დამიჯდეს, სატახტო ქალაქში ჩასვლა უნდა მოვახერხო. მეფეებთან ჩემი შეხვედრა აუცილებელია! — უთხრა არჩილმა იმერთა სამეფოს არქიმანდრიტს მაქარს, რომელიც დიმიტრი ქვარიანთან ერთად, არჩილის გვერდით იჭდა. გრძლად მოშვებული ხუჭუჭი თმა, მოშვილდული, ოდნავ ვიწრო წარბები, დაშვებული ზომიერი ცხვირი, გაპარსული პირისახე და

შავი უღვაშები ერთობ მიმზიდველად აჩენდა მეფეს წვერმოწვებულ ბოიართა შერჩევას. ახოვანი, გაბედული და როგორც იტყვიან, ზედმეტად უშიშარი კაცი იყო არჩილ მეფე. მცირერტობიდან ლაშქარიც რომ ჰყოლოდა, ხმაღამოწვდილი, პირველი გადაეშვებოდა ბრძოლის ქარცეცხლში. ვაი იმ ოსმალოს, ვისაც მისგან მოქნეული ხმალი მისწვდებოდა.

— დიდო თავადო თედორე თედორეს ძე! მომეცით საშუალება ვთხოვო ხელმოწეფეთ. მიიღონ მოსკოვში თუნდაც ჩემი ძენი აღექსანდრე და მათე (მამუკა). ოთხი შვილი მრუცია ჩემთვის განგებას, ასულს — დარეჯანსა და უმცროს ვაჟს — დავითს აქ დავიტოვებ, დავი, ძემან ჩემმან განამტკიცონ ერთმორწმუნე რუსთა და ქართველთა ერთობა!

თავადი თედორე ვოლკინსკი დაფიქრდა, ჭროდა თვალები ოდნავ დახუჭა, გრძელი წითური წვერი მარჯვენა ხელით შეისწორა. ურუდ ჩაახველა და მცირე დუმილის შემდეგ მეფეს თხოვნის ასრულება დაჰპირდა.

— მაშინ, დიდებულო მეფე, მოამზადეთ სიგელი და მივართმევთ მათ უდიდებულულებებს! — დაუმატა თავისი აზრი დიაკმა მიხაილოვმა. ამასობაში სტუმრები სადარბაზო ოთახში ქართული საკმელებით გაწყობილ სუფრასთან მიიწვიეს. მაგიდას რაჭუთა შავი ღვინო და თაფლის არაყი ამშვენებდა. რუსი დიდთავადები მაგიდასთან იხსდნენ, თამალობას არქიმანდრიტი მაკარი სწევდა, მას ძვირფასი ატლასის შავს ანაფორაზე ოქრო-ვერცხლით ნაქედი ჯვარი ეკიდა. გრძელი, შევერცხლილი თმა ბეჭებზე ეყარა, წვერი გულისპირს უფარავდა. ოდნავ ბოხი ხმა ჰქონდა, ყოველ მის სიტყვას სიმტკიცის ბეჭედი ეტყობოდა.

ქართულმა საცივმა, შემწვარ-მოსხრაკულმა, ქინძმარში ჩაწყობილმა ახალდაჭერილმა ვოლგის ორაგულმა და თაფლით შემზადებულმა ნამცხვრებმა მოხიბლეს სტუმრები.

— დედოფალი იმერთა სამეფოსი ქეთევან ბაგრატიონი! — გაისმა მსახურის ხმა და დარბაზში შემობრძანდა არჩილ მეფის თანამეცხედრე ქეთევანი. მეფის გარდა, უკველა ფეხზე წამოდგა. თედორე ვოლკინსკიმ და დიაკმა მიხაილოვმა მუხლები მოდრიკეს და ქეთევანს ჯერ ფარჩის კაბაზე, ხოლო შემდეგ ხელზე ემთხვივნენ.

მაღალი, ტანადი და ეშხით სავსე ქალი იყო ნაზარალ-ხანის, იგივე ნიკოლოზ დავითის ძის და — ქეთევან დედოფალი, მისი აღერისინი, ცისფერი, უუჟუნა თვალებიდან სათნოება იღვრებოდა, ოქრო-მძივებით მორთულ ფარჩის კაბაზე დედოფალს ძვირფასი ქამარი ერტყა, ზომიერად მოჭრილ გულისპირს, ბრილიანტითა და ზურმუხტით მოჭედვლილი გულქანდი უმშვენებდა. მომწუსხველად ლამაზი პირისახე რატომღაც გაფერმკრთალებოდა დედოფალს. ვერ მიხვდებოდა კაცი, რას უფრო განიცდიდა ქეთევანი, ძმის მიერ სარწმუნოების გამოცვლას, თუ იმერთა სამეფოს ტახტის დაკარგვას, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო, ძმის ასეთმა საქციელმა სამუდამოდ დაუყოლა გული მოსიყვარულე დას.

დედოფალმა არჩილის გვერდით სავარძელი დაიჭირა.

— გაკურთხოს უფალმან და განანათლოს მაცხოვარმან სამეფო შენი, დიდო მეფეო, წმინდა სამება, ღვთისმშობელი მარიამი და მფარველი ანგელოზები გწყალობდეთ მუდამ უმშვენიერესო დედოფალი! — მიმართა თედორე ვოლკინსკიმ მეფე-დედოფალს და სადღეგრძელო მუხლმოდრეკით შესვა.

— მშვიდობა ამ სახალეს, პატივი და დიდება იმერთა მეფეს არჩილსა და დედოფალ ქეთევანს, წყალობანი უფლისხანი მრავალნი არიან და შევევედრები ზეციერსა, აღდარა მოგკლებოდეს იგი თქვენ! — წარმოსთქვა დიაკმა მიხაილოვმა და მანაც მუხლმოდრეკით გამოსცალა სასმისი.

თამადამ მორიგ სადღეგრძელოში სტუმრები დალოცა, დალოცა და სამეფო კარის მსახურთ მგრძნობიარებით აუწყა ქართველი ხალხის გულისტკივილი, რომელიც არ დაუშლიეს ბედკრულ ქეთევანს მათხარმა აგარიანებმა.

არაუმა და ღვინომ თავისი გაიტანა. სტუმრები ზომაზე მეტად გამხიარულდნენ,

არჩილ მეფე კი ფიქრს მისცემოდა. მეფე-პოეტს ახლა აღარ ახსოვდა თავისი „გაბა-სება“, რომლის წერა თერგს დაიწყო და ასტრახანს აგრძელებდა. მუდამ საქმიანი და მოუსვენარი მეფე სამომავლო ფიქრს მისცემოდა, უნდოდა რუსთა ხელმწიფეთათვის დაეწერა ისეთი ბარათი, რომელსაც მაგიური ძალა მიენიჭებოდა.

მეორე დღეს მეფე უთენია წამოდგა საწოლიდან. სტუმრებს სასახლის ბოლო ოთახში ეძინათ... არჩილი კი იოანესა და პეტრეს სწერდა იმას, რომ რუსეთში არჩილს წამოსვლა გააბედვინა მეფე თედორე ალექსის ძის სიტყვებმა „წამოდი და ჩემი დიდი წყალობის იმედი გქონდესო“. აწ თქვენა ხართ მის ტახტზე, დიდო ხელმწიფეო... თუ ჩემს თქვენი ტახტის წინ მოსვლას არ ბრძანებთ, ოთხი პატარა შვილი მაძირჩენია, თქვენის ძალით, ურჯულო ხელთაგან და მღვთის გულისხმობის დამდაბლეთ მაღალი თავი და წმინდა ღვთისმშობლისა დამადღლეთ ამ ჩემს შვილებს თქვენს საფარველ ქვეშ მისვლა. მაღირსეთ, რომ მათი ურჯულოს ხელთ ჩაცვივნის ექვიდან გამოვიდეთ“.

თბოვანამ შედეგი გამოიღო. 1684 წლის იანვარში არჩილის ორი შვილი ალექსანდრე და მათე (მამუკა) მოსკოვში იგზავნებოდნენ. მშობლებთან რჩებოდნენ პატარა დავითი და ღარიბჯანი. ხელმწიფეთა ბრძანებით, არჩილთან პრისტავად რჩებოდა დიაკი ანდრეი პოკრიშკინი. უფლისწულებს მოსკოვში მიჰყვებოდა თავადი თევდორე ვოლინსკი.

— არ შემძლია, ჩემო ბატონო, მამუკასა და ალექსანდრეს მოშორება, ვერ გავძლებ მათ გარეშე. რა უბედურად გავჩენილვარ ამა ქვეყანასა ზედა, კახეთში შაჰის რი-სხვა ემუქრებოდა ჩემ პირმშოთ, იმერეთში კი სულთანისა. მითხარ, ზეციერო, რა დავა-შავე ასეთი?! — იცრემლებოდა ქეთევანი.

— დაწუნარდი, დამშვიდდი, ჩემო ქეთევან, ერთმორწმუნე რუსეთი ჩვენს შვილებს პრას ეაუჭირებებს, იცოდე, რომ მათ უნდა განამტკიცონ მეგობრული კავშირი რუსეთსა და სისხლდანთხეულ საქართველოს შორის! — ამშვიდებდა მეფე თანამეცხედრებს და თვითონაც ჩუმად იცრემლებოდა.

სამოცდაათკაციანი ქართველთ ამაღა მიჰყვებოდა უფლისწულებს მოსკოვში. ამაღა-ში შედიოდნენ დიდთავადნი, მკლავინეთუბუცეხი, სუფრაჯი, ხაზინადარი, მეაბჯრენი, მზარეულნი და ხელფარეშები. სურსათ-სანოვავით დატვირთული იალქნიანი გემი ვოლ-გით მიემართებოდა მოსკოვისაკენ. მესუთე კვირას უფლისწულნი მოსკოვის ახლო უბანში იყვნენ. თავადმა ვოლინსკიმ საელჩოს „პრიკაზში“ პატაკი გაგზავნა. სამეფო კარმა აღარ დააცვივნა. უფლისწულთა შესვენების აღვილს „ბახმანის სლაბოდას“ ირჩევდა. იქედან პაკოვსკის ქუჩის გავლით ნიკოლაევის სასახლეში უფლისწულთა მისვლა მოხსენდებო-და „მეფის დიდი ბეჭდის და დიდ სახელმწიფო საქმეთა შემნახველს“ ნოვგოროდის თავადს ვახილ ვასილის ძე გოლიცინს.

მოედანზე ზაღისი ტყეა არ იყო. აქ მობრძანებულყვნენ დიდთავადობა, სამღვ-დლოება, აზნაურები, ვაჭრები, მოსიარნი და მოსკოვის მკვიდრნი. ყველა მიიჭაროდა პოკროვკაზე დავიდოვის სასლისაკენ, რათა თავალი მოეკრათ ქართველი უფლისწულე-ბისათვის. გუფუნებდნენ „სლაბოდას“ ტაძრის ზარები, ისმოდა მგალობელთა სასიამოვ-ნო ხმები.

— ვახილ ვასილის ძე გოლიცინი მობრძანდება, იგია მეურვე უფლისწულებისა! — ისმოდა თავადების საუბარში.

ოქროცურვილი ქსოვილით გაწყობილი, ცისფერი ხავერდით დეაფრული. კარებთა გაჩერდა და იქედან ჩამობრძანდა მაღალ-მაღალი, ქადარაწვეროსანი კაცი, რომელსაც ეცვა ძვირფასი ბეწვისაგან ნაკერი ქურქი, ეხურა წოწოლა ქუდი და მრისხანე, ხშირი წარბების ქვემოდა იცქირებოდა. უფლისწულები უკვე სასახლის დიდ ღარბაზში იყვნენ. ვოლინსკიმ და ივანე კაზარინოვმა ძმები წარუდგინეს გოლიცინს, რომელმაც არჩილ მე-ორის ძენა დაუვაფებით მიიღო.

— რა ვქნათ, ჩემო მბრძანებლო, შვილები მოსკოვს გავისტუმრეთ და ჩვენ თერგვო გადავსახლდეთ? — ჰკითხა მეფეს თვალცრემლიანმა დედოფალმა.

— არა, ჩემო ქეთევან, აქედან წასვლას არ ვაპირებ, ჩვენს შვილებს ისეთი კაცი მოუჩინეს მეურვედ, სამეფო კარზე შენი ძმის ნაზარალი ხანის ღირსება მალე შეილახება და სულ მოკლე დროში ჩვენც მოსკოვში მიგვიწვევენ. ამას წინათ მოსკოვიდან ჩამოსულმა ჩემმა ელჩებმა ბევრი რამ მაუწყეს.

— მითხარი, ჩემო ბატონო, შვილებზე ფიქრმა ხელი დამრია, მთელი ღამეები არა მძინავს!

— ახლა, დედოფალო, სამეფო კარზე გამძაფრებული ბრძოლაა ნარიშკინებისა და შილოსლავსკების გვარებს შორის. ნარიშკინებს პეტრე უნდათ ხელმწიფედ, შილოსლავსკებს — მისი ძმა იოვანე... ისიც მაუწყეს, ქეთევან, რომ ჩვენი პირმშორ ალექსანდრე ძალიან მოსწონებია პეტრეს და მთელ სამხედრო თამაშობებს მასთან ერთად ატარებს.

— დედა შემოვედლოს ჩემს ბიჭს, ოჰ, ღმერთო, დიდებული, ერთი ჩემი შვილებისათვის შემახედვინა და შემდეგ თუგინდ დავმიწდე! — აღმოხდა დედას და აცრემლებულმა გვერდით გაიხედა.

— არ დაგიმალავ, ჩემო ქეთევან, არც მე მაქვს მოსვენება შვილებზე ფიქრით და ამიტომ ამას წინათ თავად ვასილ გოლიცინს ბარათი გავუწავანე, რომ ღვთისა და დიდი ხელმწიფის გარდა ჩვენი შვილები მას ებრალდებოდეს... ყმაწვილები არიან, ჩვენც სანამ მღინ ცოცხლები ვართ, თქვენი სიამოვნებისა და სამსახურის მდგომი ვიქნებით. მეთქი. იცი, ქეთევან, რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ ჰირნახულ საქართველოს აღარ ძალუძს იცხოვროს მეზობლად იმ ქვეყნებისა, რომლებიც ასე თავგამოდებით უშლიან ხელს ჩვენს ქვეყანას, რათა დაამყარონ ძმური ურთიერთობა მართლმადიდებელ რუს ხალხთან, ჩვენ უნდა გვქონდეს ყოველივე ის, რაც აქვთ ევროპის მოსახლე ერებს, საქართველოს უნდა ჰქონდეს თავისი აკადემია, სტამბები, სკოლები და ქართულ ენაზე უნდა ითარგმნებოდეს ხალხისა და სახელმწიფოსათვის საჭირო და აუცილებელი წიგნები.

— მართლესა ბრძანებ, ჩემო ბატონო, მაგრამ ირანოსმალთა მოძალებას ვით გავლავთურჩით?

— მოსკოვს, მხოლოდ მოსკოვს შეუძლია იხსნას საქართველო! — მიუგო არჩილმა და ახლა მოაგონდა დიმიტრი ქაიხიანის ნათქვამი: „გენერლ ელჩს ბარონ ბლიუნბერგს რუსთა ხელმწიფისათვის უთქვამს, თურქეთმა დაჰპარგა თავისი წინანდელი ძალა და ძლიერება. თურქები სამარცხვინოდ გარბიან, დაჰკრა მათი დაღუპვის საათმა, რუსებს ეძლევათ ხელსაყრელი შემთხვევა გაიკაფონ გზა შავი ზღვისაკენ. მთელი საბერძნეთი და აზია თქვენ მოგვლით. დაღვა დრო ყირიმზე გალაშქრებისა... გარწმუნებთ, მეფევ, სულთანი მხოლოდ საბრძოლო დედაბერია, რომელმაც რთვაც კი არ იცის და მხოლოდ ტიპილი ემარჯვებაო.“

არჩილ მეფემ თავისი შინაკაცების — ბეჟანისა და ნოდარის მეშვეობით გაიგო, რომ მეფის ასულმა სოფიომ ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს სადევეები, რომ რუსეთის ტახტზე ახლა სამი მეფე იყო — სოფიო, იოანე და პეტრე. „სოფიოს საყვარელი კაცი კი თავადი ვასილ გოლიცინია — ჩემი შვილების მეურვე და პატრონი დიდი ხელმწიფის კარზე. ახლა, მხოლოდ ახლა შეიძლება გადმოხედოს ღმერთმა მოწყალე თვალით და მოგახერხოს მოსკოვში ჩასვლა!“ — ფიქრობდა არჩილი და არ ცდებოდა.

მართლაც, მალე დაცხრა მდიდარება მეფე-დედოფლისა, მათ გულში ჩაიკრეს დიდი ხნის უნახავი შვილები. მეფე-დედოფალი მოიხიბლნენ გოლიცინის სასახლის ნახვით. უცხოური ავეჯით მორთულმა ღარბაზებმა, რუსულმა, იტალიურმა, კოლანდიურმა და

გერმანულმა წიგნებმა, დიდმა გეოგრაფიულმა რუკებმა, „ივლიკანტურმა“ საათებმა, გენე-
ციურმა მხატვრობამ, მწერლობაზე, მეცნიერებაზე, გაზეთებსა და სასტამბო საქმეებზე
საუბარმა მოხიბლა მეფე-პოეტი, რომელიც დიდი პატივით წარუდგინა დიდმა განწავ-
ლულმა მასპინძელმა უცხო საზოგადოებას. იმ დროს არჩილ მეფე, რომელიც კარგად
ფლობდა ბერძნულს, სპარსულსა და თურქულ ენებს, საკმაოდ დაუფლებოდა რუსულ
ენასაც და მისი თარგმანების აზრის სიღრმე გაკვირვებას იწვევდნენ უცხოელ სტუმრებში.

— ღმერთს მადლობა უნდა შევწირო, რომ თავადი ვასალ ვასილის ძე გოლიცინი,
რომლის ხელშია მთელი სახელმწიფო ძლიერება, ჩემი შვილების მეურვეა. მისი მეშვე-
ობით გავიგე ჩემი ქვეყნის ამბავი. მართალია, აგარიანებმა იმერთა სამეფოს ტახტიდან
გამაძევეს, მაგრამ აქაც შემიძლია ვაკეთო ჩემი ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე, ვთარ-
გმნო კიევსა და მოსკოვში დაბეჭდილი საეკლესიო საღვთისმეტყველო წიგნები, იქნება
სტამბის გახსნაც შევძლო, გასულ კვირას ნიკოლსკის ქუჩაზე სტამბის მუშაობას გავეცა-
ნი, დეზგებისა და ლიტერების ფასიც გავიგე, ოსტატებს ვესაუბრე და, თუ ჩანაფიქრი
ავისრულე, ნამდვილი ბედნიერება მეწევა... ოჰ, როგორ გაიხარებს ქართველი ხალხი,
როცა „დაბადებას“, „ვეფხისტყაოსანსა“ და საღვდელმსახურო წიგნებს ჩემს ენაზე და-
ვებეჭდვ! — ოცნებობდა არჩილ მეორე და დღე-ღამეს შრომაში ატარებდა.

— დიდი ბრძოლაა, დიდი, მეფევ ბატონო, სამეფო კარზე, ძნელია იმის თქმა, ნარი-
შკინები დაძლევენ თუ მიოლსლავსკები, ორივე მხარე ცდილობს პატრიარქი იოაკიმე
მიიმხროს! — უთხრა დიმიტრი ქვარიანმა მეფეს.

— გავიგე, თავადო, პატრიარქმა იოაკიმემ ამას წინათ არქიმანდრიტ ლავრენტის
ხელით საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ნიკოლოზის ბარათი მიიღო. „შემწე ეყავ,
ვითარცა ეყო უფალი იაკობს უცხოობასა შინა, შემწე ეყავ, ვითარცა დამბადებული
დავითს გოლიათზედა!“ — სთოვს ნიკოლოზი რუსთა პატრიარქს ჩვენი ქვეყნისათვის!

— კიდევ რა გაიგო არქიმანდრიტმა ლავრენტიმ?

— არქიმანდრიტი დარწმუნდა, რომ ჩემს ცოლისძმას, ნაზარალი-ხანს, ბევრი ჰყავს
მომხრენი მოსკოვში, მას კვლავ კეთილად იხსენიებენ, მართალია, „ნიკოლოზს ღვთის
ცოდვა აქვსო, მაგრამ არჩილ მეორეც შაჰის ქვეყანაში შაჰნავაზ-ხანად იწოდებო“,
უთქვამს ჩემს შესახებ რუსთა პატრიარქს.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!

— მაგრამ ისიც უთქვამს პატრიარქს, რომ „ძმანი მეფე არჩილი და გიორგი უფრო
მეტად ზრუნავენ მართლმადიდებლობისათვის და ხელი უნდა შეეუწყუთო“.

— ეს კარგი ნიშანია, მეფევ ბატონო, იქნებ დაადგეს საშველი ჩვენი ქვეყნის საქმეზე!

* * *

წინა დღის თოვნისა და ქარბუქისაგან თვალთა ხედვა არ იყო, მუნღამდე თოვლი
დადო მოსკოვში, მაგრამ ნაშუაღამევს გადაწმინდა, მთვარემ გამოანათა და საშინელმა
ყინვამ შემოკრა, ყველაფერი გაითოშა. ირგვლივ ცივმა, მძიმემ და მუნჯმა ღუმილმა
დაისადგურა. მრგვალი ხეებისაგან ნაკეთები სახლის სახურავებს კვამლი სვეტებად ადგა.
ყინვის ქვეშ ჩუმად მოედინებოდა მდინარე მოსკოვი, რომლის გაღმა მოჩანდა ცამდე
აწილული დონის მონასტერი.

— დავენატრე, ძალზე დავენატრე, კურთხეულო, სამშობლოსა და ჩემს ხალხს. მე-
ნატრება ტკილხმოვანი ქართული, შემშურს კიდევ, რომ საქართველოდან ახალმოვლე-
ნილს გხედავ! — ეუბნებოდა ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ლავრენტი არქიმანდრიტს
მეფე არჩილი და მისჩერებოდა სანდომიან სახეზე, რომელშიც თითქოს მშობლიური
მხარის განსახიერებას ხედავდა.

ჩემი წასვლის დროა, მეფევ ბატონო, დონზე უნდა მივიდე, კარტა უკვე მოიყვანეს. ნიკოლსკის ქუჩაზე, ბერძენთა მონასტერში მიმიჩინა ბინა, კათალიკოსმა ილაქიძემ.

— არა, ლავრენტი, ამაღამ ჩემს სასახლეში დარჩები. ხვალ თქვენთან ერთად მივალ ვინახულო დონის მონასტერი და ახალი საკრებულო ტაძარი!

— როგორ შეგაწუხოთ, მბრძანებლო!

— დარჩი. მინდა დაძინებამდე ვისაუბროთ. გავიგე, პოლონეთის მეფემ იან სობესკიმ რუსეთთან მუდმივი ზავი დასდო და მოსკოვის სამეფო „საღვთო ლიგის“ წევრად მიიწვია, ვენეციის რესპუბლიკა, პოლონეთი და რუსეთი ოსმალთა წინააღმდეგ ომში იწყებენ, ვასილ გოლიცინმა, რომელიც გასალაშქრებლად ემზადება, ყველაფერი მაუწყა. ჩვენც დაგვიდგა დრო, რუს მხედრობასთან ერთად აღვმართოთ ხმალი აგარიანთა წინააღმდეგ, ამიტომ ველარ მიპოვნია გულის საოხი, ყველაზე უფრო ახლა ვპირდები საქართველოს.

— რაკი აგრეა, მეფევ, გამგზავრებას უნდა უჩქაროდ!

— ასე ადვილიც არ არის აქედან გამგზავრება, მოსკოვის სამეფოს ახლა სამი ხელმწიფე განაგებს; ამას ემატება ხელქვეითთა თვითნებობა, უფრო სოფიო ალექსის ასულისა და გოლიცინის იმედი მაქვს!

— ღმერთო, დიდებული, გადმოხედე წყალობის თვალთ სვეტამწარებულ ქვეყანას ჩემსას! — აღმოჩნდა არქიმანდრიტს და ღრმად ამოიოხრა.

— აღარ დაგიმალავ, კურთხეულო, ისე შევეჩვიე მოსკოვს და მის კეთილშობილ ადამიანებს, არ ძალმიძს კავშირის გაწყვეტა მათთან, მინდა უფლისწული ალექსანდრე დავაჟორწინო აქაური დიდებულის ასულზე და ნათესაური კავშირით განვამტკიცო რუს ქართველთა მეგობრობა!

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, დიდო მეფეო, ვფიქრობ, სარძლოც შერჩეული გეყოლებათ!

— დიახ, ცარევნა სოფიომ და ხელმწიფე იოანე ალექსის ძის ნათესავებმა გვირჩიეს დიდთავად მილოსლავსკის ქალი ფეოდოსია ივანეს ასული მილოსლავსკაია.

— დიდად გამახარეთ, მეფევ ბატონო! — მიუგო არქიმანდრიტმა და გულში კი ფარული ეჭვი დაებადა, რადგან მას აშინებდა მილოსლავსკებისა და ნარიშკინების ხანგრძლივი მტრობის შედეგი.

არქიმანდრიტი ალექსანდრე ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა, როცა ალექსანდრე და ფეოდოსია დაქორწინდნენ. ქორწინებას დაესწრო სოფიო ალექსის ასული, რომლის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ოკოლნიჩმა სიმონ თევდორეს ძე ტოლჩანოვმა: მან მეფის ასულისაგან სიძეს საჩუქრად მიართვა სამგირვანქიანი ხუფიანი ოქროს თახჩი, ძვირფასი ქსოვილები.

* * *

1688 წლის გაზაფხული დადგა. უინულმა დნობა დაიწყო. მწვანე მდელო გამოჩნდა, აბიბინდა პურიის ყანები, აყვავდა ხეხილი. სამეფო კარმა არჩილ მეორე მოიხსენია იმერთა მეფედ და ნება დართო სამშობლოში გამგზავრებისა. მეფის ამაღლისთვის ზარდახანის პალატიდან გაცემული იქნა ძვირფასი ჩაცმულ-მოკაზმულობა, სურსათი. არჩილს აცდილებდა სამეფო კარის მაღალი საზოგადოება. გაცილებიას იმერთა მეფე და მისი შვილები წარსდგნენ ხელმწიფეთა — იოანესა და პეტრეს წინაშე. სამეფოს ახლოებლი ბოიარი სიმონ ტოლჩანოვი სათითაოდ ჩამოთვლიდა იმ ძვირფას ნივთებს, რომელიც სამშობლოში მიმავალ არჩილ მეფის ამაღას მისცეს.

ქართველთა ამაღით დატვირთული გემები ვოლგით დაიძრა მოსკოვიდან, მაგრამ

მოსკოვი ქართველებისაგან არ დაცლილა. დიდგვაროვან ბოიარებთან დამოყვრებული ნაზარალი-ხანის დედის — ელენე დედოფლის მრავალრიცხოვანი ამაღა მოსკოვის მეფის დროს ღრულ რჩებოდა.

ძუა ზამთრის ცივი დღეები იდგა, როცა არჩილ მეორემ კავკასიის მთები გადალახა. მასი ძმა გიორგი მეთერთმეტე ქართლის ტახტიდან განდევნილი იყო. ქართლის ნაზარალი-ხანი განაგებდა. არჩილმა ქეთევანი და შვილები მთაში გააჩერა და მცირერიცხოვანი ამაღით დაიძრა ძმის მისაშველებლად, მაგრამ ვერც ძმას უშველა და ვერც იმერეთის ტახტი დაიჭირა. საფრთხეში ჩავარდნილმა დედოფალმა და მისმა შვილებმა თვრავის გავლით კვლავ მოსკოვს მიაშურეს. ნაწვლებმა, განაწამებმა არჩილმა სამეგრელო-აფხაზეთის გადავლით „მთის ქვეყანას“ მიაღწია. მოსკოვიდან არჩილის წერილებზე არავინ პასუხობდა.

— ნუთუ ასე მომიძულა დიდმა დედოფალმა სოფიომ და კანცლერმა ვასილ გოლიცინმა?! — ფიქრობდა არჩილი, რომელსაც ვერ გაერკვია, რა ხდებოდა მოსკოვში. მის ექვემსდუკნო რეალური საფუძველი ჰქონდა. რუსეთის სამეფო ტახტი ახალგაზრდა პეტრეს ეჭირა. უღონო და უსიცოცხლო იოანემ აღვივალად დაუთმო ტახტი ენერგიულ პეტრეს, რომელიც სასტიკად გაუსწორდა მილოხლავსკებს, ხოლო კანცლერი ვასილ გოლიცინი შორეულ მხარეში გადაასახლა. პეტრეს მიერ განახლებულ სამეფო კარს არჩილი აღარ ასსოვდა, მისი მოყვრები სასტიკად იმედგენებოდა.

— მეფე, ბატონო, თავს საფრთხეში იდგენს, ოსმალთა და სპარსთა ძალებს ჩვენ ვერ დაეპარებოდა! — ურჩევდნენ ხელქვეითები არჩილ მეფეს, რომელმაც რუსეთიდან ქართლის სამეფოში მოვლენილი ელჩის მეშვეობით შეიტყო მოსკოვის მდგომარეობა. შეიტყო ის, რომ მისი რძალი ფეოდოსია გარდაცვლილიყო. არ გაუგვია ცოტა ხანს და მას მიჰყვა უმცროსი — უფლისწული მამუკა (მათე), ხოლო თვით არჩილი მცირე ყაბარდოს მფლობელს ყულუჩ კილიმბეტოვს ტყვედ ჩაუვარდა. არ დაიბნა „პრიკაზნი პალატის“ უფროსი ხოვანსკი. არჩილის ტყვედ ჩავარდნა მოსკოვს სწრაფად შეატყობინა. პეტრე I სამეფო კარმა ბრძანება გასცა არჩილის გამოსახსნელად. ფეხზე დადგა რუს ჯარისკაცთა რაზმები, თერგის ციხის განკარგულებაში მყოფი მთელი ტომები და კაზაკები. ყულუჩ კილიმბეტოვი აიძულეს ქართველი მეფე გაეთავისუფლებინა. არჩილმა თავი კვლავ მთებს შეაფარა და პეტრე პირველს დახმარებისათვის ლაშქარი სთხოვა. არც პეტრემ დააყოვნა და იმერეთი მეფეს რაზმი მიაშველა, მაგრამ რუსთა სამხედრო ძალა არჩილს აღარ გამოუყენებია. ოსმალებს იმერელი დიდებულები აუჯანყდნენ, სულთანის მმართველი ქუთაისიდან გააძევეს და არჩილმა იმერეთის ტახტი კვლავ ჩაიბარა. მეფემ გადაწყვიტა უფლისწული ალექსანდრეს იმერეთში ჩამოყვანა.

— დიდო ხელმწიფეო და მწყალობელო ჩვენო. მდაბლად გიხრით თავს და გეაქებთ! გამოგზავნეთ იმერეთს ჩემი ვაჟი ალექსანდრე, როგორც გეავიგე, ძესა ჩემსა მილოხლავსკების მხრიდან ბევრი მტერი გასჩენია, თურმე მას სოფიო ალექსის ასულიც მწყალობდა უცქერის. მე კი ეს ერთი ძე და ასული დარეჩანი შემჩნა, თუ ოსმალთა მძლავრობას გავუძელ და ტახტი შევიწარჩინე, იმერეთი სამეფოს ალექსანდრეს სახით პატრონი სჭირდება! — სწერდა არჩილი პეტრე პირველს.

მაგრამ ამაოდ ცდილობდა არჩილი შვილის იმერეთში დაბრუნებას. პეტრე ალექსანდრეს განუშორებელი მეგობარი იყო. იგი არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ალექსანდრე გარდაცვლილი მეუღლის მხრიდან მილოხლავსკების ყოფილ სიძე იყო. წარმოსადგეო ვაჟაკი, უადრესად ნიჭიერი, ერთგული, გაბედული და დაკვირვებული ალექსანდრე რუსთა სახელმწიფოს ერთგული მსახური იყო. ამიტომ პეტრემ იგი თავის

1697 წლის მარტის სუხიანი ამინდი იდგა. პეტრე პირველის ამაღა „დიდი საელ-
ჩო“ მოსკოვიდან გაემგზავრა. ალექსანდრესთან ერთად იყო სამი ქართველი მსახური.
უფლისწული ვოლონტერთა მესამე ათეულში ირიცხებოდა. ხელმწიფე მეორე ათეულ-
ში მიხეილის სახელით ითვლებოდა ვოლონტერთა რიგებში. მთელი „ელჩოზა“ „მუშე-
ბივით ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაძლარი იყვნენ იმით, რომ რასაც ხელაფდნენ“.
ასეთი იყო მიხეილის (პეტრეს) ბრძანება: „დიდმა საელჩოშ“ განვლო ფსკოვი, რიგა,
ერთ კვირას კურლანდის ჰერცოგთან გაჩერდნენ და მაისის თვეში კენისბერგში იყუ-
ნენ, იქ დაიწყო ვოლონტერთა პრაქტიკული საქმიანობა. პეტრესა და ალექსანდრეს
საარტილერიო საქმის გავითვლებს უტარებდა არსიის ციხე-სიმაგრეთა მთავარი ინ-
ჟინერი, პოლკოვნიკი შტიტინერ ფონ შტირფელდი. ნიჟიერმა უფლისწულმა მალე
აითვისა საარტილერიო საქმე და, როგორც ხელმწიფე თავად თედორე რომოდანოვსკის
სწერდა, შემდეგ „ალექსანდრე არჩილოვი ჰააგას გაემგზავრა ბომბარდირების შესას-
წავლად“.

— „გაოცებული ვარ ქართველი თავადის — ბაგრატიონის ნიჭით, იგი დიდი პა-
ტივისცემით სარგებლობს ჰოლანდიელ დიდკაცთა, კომერსანტთა და მეცნიერთა წრე-
ში“, — ანობდა უდიდესი სარდმელი ნეგოციანტი ბლიუმში, რომელმაც ქართველ
უფლისწულს თავისი მდიდრულად მორთული სასლი და ხეილის ბაღი დაუთმო. ვინ
არ ესტუმრა ამ სასახლეში ალექსანდრეს; ამსტერდამის ბურგომისტრი, ჰოლანდიელი
მეცნიერები, სწავლულები და მაღალი წრის წარმომადგენლები, რომლებიც ვერ შე-
რიგებოდნენ იმას, რომ პრინცი ალექსანდრე რუსეთის მონარქის სასარგებლოდ საარ-
ტილერიო საქმეს სწავლობდა. პეტრეს ერთგული ალექსანდრე უცხოელთა ლაპარაკს
უურადლებას არ აქცევდა. იგი მზად იყო გაცეთებია ყველაფერი ისე, რასაც პეტრე
ისურვებდა, რასაც დიდი რუსეთის სამხედრო ძლიერება მოითხოვდა. ამსტერდამიდან
ალექსანდრე პეტრესთან ერთად ლონდონს გაემგზავრა, აქ ისინი გაეცნენ გემთშენებ-
ლობასა და საზღვაო-საარტილერიო საქმეს. მეფის სურვილი იყო ლონდონში ინკოგ-
ნიტოდ ეცხოვრა. ამის შესახებ იცოდა მხოლოდ ინგლისის მეფემ. მან რამდენჯერმე
ფარულად ინახულა პეტრე, რომელმაც ინგლისის მეფემ „ჩაუტყუელს, ჟილტისამარას
შეესწრო“. ამ ფარული ვიზიტის გამო დანიელი პრინცი წერდა: „პეტრეს ცხოვრების
წესი სრულიად არაჩვეულებრივია. მას სძინავს ეგრეთწოდებულ თავად ალექსანდრეს-
თან (იმერეტინსკისთან), ერთ ექიმთან და კიდევ სამ-ოთხ ადამიანთან ერთად ერთ პა-
ტარა ოთახში“.

— კარგად მიდის ჩვენი საქმე, ალექსანდრე არჩილოვიჩ, კოროლმა ვილჰელმმა
ჩვენთან ყოფნა დააკისრა თავის ვიცე-ადმირალს და მარკიზ კარმარტენს, რომლებიც
საზღვაო საქმის დიდი მცოდნენი არიან, ვიჩქაროთ, ვნახოთ გემთშენებლობის ქალაქი
დეპტფორდი, იქ სანგრძლივად დავჩიეთ და ყველაფერი შევისწავლოთ!

— რა თქმა უნდა, ჩემო ხელმწიფევ, გაოცებული ვარ ინგლისის ფლოტით და გე-
მთშენებელთა მიღწევებით, როგორც გავიგე, ამავე ტემპს ნაპარზე არის მესარბაზ-
ნეთა ქალაქი ვულიჩი, გამოსთხოვეთ ნება ადმირალს და ვნახოთ ის ქალაქი!

— ძალიან მახარებს თქვენი ერთგულება, ალექსანდრე არჩილოვიჩ, ორ მარტს
ფელდცეხებისტერი სიდნეი-გრაფი სწორედ იმ ქალაქში შეგვეგებება, იქ აუცალებ-
ლად მოვიხდებათ რთულ საარტილერიო ნახაზებზე მუშაობა:

— ეგ არ მაშინებს, მეფევ, რუსეთის ძლიერებისათვის თავსაც არ დავშო-
გავ! — მიუგო ალექსანდრემ და პეტრეს მომღიმარ სახეს მიაჩერდა.

დიდი სამხედრო-სამრეწველო ქალაქი ვულიჩი... დარბაზობა მეფე ვილჰელმთან.

ლანის პრინცთან, თეატრებში სპექტაკლებზე დასწრება, ინგლისის ფლოტის მანევრების გაცნობა, ნახვა გრანდიოზული ჯარაფხანისა დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ პეტრესა და ალექსანდრეზე. მეფე და უფლისწული იქ გეზულობენ, რომ ლიგამ გადაწყვიტა ოსმალეთთან ზავი შეერას, რადგან ოსმალეთი მათ აღარ მიაჩნიათ საშიშ იმპერიად. ევროპელები რუსეთის მეფეს წინადადებას აძლევენ აზოვის ზღვა ოსმალეთისაგან თვითონ გაათავისუფლონ. იმედდაკარგული პეტრეს ამაღა 1698 წლის აგვისტოში სა-მშობლოში ბრუნდება.

ჩრდილოეთიდან შვედები არ გვასვენებენ. ევროპის ქვეყნებიდან იმედი გადაიწურა. არა და, როგორ სჭირდება ჩემს ქვეყანას აზოვისა და შავი ზღვის კარები! — ფიქრობდა პეტრე და შვედებთან ომის დაწყების თაობაზე ბოიართა შეკრება გადაწყვიტა.

ამ დროს კანცლერმა თევდორე გოლოვინმა მიღება ითხოვა. მეფემ ნება დართო. დარბაზში შევიდა მაღალ-მაღალი, მელოტი კაცი, რომელსაც ოქროსფერი სათვალე ეკეთა და ხელში ყვითელი ტყავის საქაღალდე ეჭირა.

— წუხელ გარდაიცვალა პუშკართა პრიკაზის უფროსი თავადი ალექსი სიმონის ძე შენინი! — მოახსენა თევდორე გოლოვინმა მეფეს.

— მეტად საწყენი ამბავი მაუწყეთ, ასეც იყო მოსალოდნელი, დიდი ხანი ავად-მყოფობდა იგი, წყალმანკმა მოუღო ბოლო საწყალს!

— ინებებთ, ხელმწიფე, სამძიმარზე წამოხრძანებას?

— მხოლოდ საღამოს საათებში, ახლა ერთობ დაკავებული ვარ!

— კეთილი, დიდო ხელმწიფე! — მიუგო კანცლერმა და გავიდა.

— ცენტრალური სამხედრო მმართველობა, რეგულარული არმია, მძლავრი არმია. და სამხედრო ფლოტი — აი, რა არის ჩვენი მსხნელი! — ფიქრობდა პეტრე.

ბოიარი ალექსი შენინის ნეშტი ნოვოდევიჩის სასაფლაოს საარტილერიო ზღპინ მიცემით მიაბარეს. მესამე დღეს მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ის საქმეები, რომელიც პუშკართა პრიკაზს ექვემდებარება, განაგოს არტილერიის გენერალმა უფლი-სწულმა ალექსანდრე არჩილის ძემ... ამიერიდან გენერალ ალექსანდრე არჩილის ძე ბა-გრატიონს ენიჭება გენერალ ფელდცეხმეისტერის წოდება და პუშკართა პრიკაზი იწო-დებოდეს საარტილერიო პრიკაზად“.

— შენ, ჩემო ალექსანდრე, წილად გხვდა მიგეტანა პირველი აგური რუსული სა-არტილერიო მეცნიერების საფუძვლის ჩასაყრელად! — უთქრა დიმიტრი ალექსანდრეს ძე გოლოვინმა ტანმაღალ უფლისწულს, რომელსაც ამშვენებდა მოშვებული, უკან გა-დავარცხნილი შავი თმა, კოხტა, მოშვილდული თვალ-წარბი, ზომიერი, ოდნავ კეხიანი ცხვირი და დაშვებული უღვაშები. ალექსანდრეს ოქროცურვილით გაწყობილი რუსული სამხედრო კაფტანი ეცვა, ხელში ნახაზების გრაფილი ეჭირა და იღიმებოდა.

— ცოტა დაგვაცალონ შვედებმა და პუშკართა პრიკაზს წესრიგში მოვიყვან, პირ-ველად მოსკოვის საარტილერიო პარკს უნდა მივხედო! — ფიქრობდა ალექსანდრე შავრატონი.

მაგრამ ვინდა დააცალა პეტრესა და მის მეგობარს ჩანაფიქრის განხორციელება. 1700 წლის 19 აგვისტოს შვედებთან ომი დაიწყო. თავისი არტილერიით უფლისწული ზეჰტენბერის დამლეტ მოსკოვიდან გავიდა. საშინელ წვიმებში, ატლახებული გაუვალი გზებით განვლო მისმა არტილერიამ ვალდაი, ნოვგოროდი, სადაც შეიერთა ადგილობ-რივი საარტილერიო პარკი და სამღინარო გზით გაჩნდა ნარვასთან. იქ მის განკარგულე-ბას დაექვემდებარა ფსკოვის არტილერია.

— არ ვიცი, რას მოგვეცემს ეს ზერელე და ნაუცბათევი მზადება, რას გააწყობენ დაქანცული და გაწამებული ჭარისკაცები, რომელთა ოფიცრობა უცხოელებისაგან შე-დგება. იმედი არა მაქვს რუსეთის არმიის მეთაურის პერცოგი დე-კრიოსი, იგი თვალ-თმაქცი კაცი ჩანს, სავალალოა, რომ აქამდე კარგად არ ვიცნობდი მას! — ფიქრობდა

გენერალ-ფელდცეხმაისტერი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი და კავთარმაისტერი ივანე რუსეთის არმიის არტილერიის შტაბის შენობაში.

შვედთა მეფემ კარლოს მეთორმეტემ, რომელმაც კარგად იცოდა რუსეთის არმიის მოუშლადებლობა, თავისი ჯარი პიარნაში გადმოიხსნა და რუსეთის ძალებს შეუტია. შეტევა ისე მოულოდნელი იყო, რომ პეტრეს არმიის მთავარსარდლობა მოწინააღმდეგეს დაწვდნა და „საპატიო კაპიტულაციაზე“ დათანხმდა. გამყიდველი მთავარსარდლის დასმარებით შვედებმა მუხანათურად დააშორეს ჯარს რუსი ოფიცრები და გენერლები, არმიის სარდლობა და მათ შორის ალექსანდრე ბაგრატიონი ტყვედ ჩაიგდეს.

ამ დროს მამამისზე, არჩილ მეორეზე, ირანის შაჰმა და ოსმალეთის სულთანმა ჩრდილო კავკასიაში ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს. გაწამებულმა მეფემ ასტრახანს ძლიერ ჩაასწრო და ვოლგით მოსკოვს გაემგზავრა.

პეტრე პირველმა დიდი პატივით მიიღო არჩილი. მას არც კი ახსოვდა არჩილის მოფერობა მილოსლავსკების გვართან. შვილის ტყვედ ჩავარდნა რომ გაიგო, არჩილს იმედი არ დაუკარგავს, სწამდა, დიდი რუსეთის მბრძანებელს არ გაუჭირდებოდა მეგობრის დახსნა.

— დიდი მბრძანებლის პეტრე ალექსის ძის ბრძანებით ნება მომეცით გაუწყუთ შემდეგი. მისი უმაღლესობის ნებით თქვენ და თქვენს ამაღლს საბოლოოდ დაგიმკიდრდათ ვხვესვიატსკოე, სოფელი პაზრა და მილოსლავსკების კარმიდამო მოსკოვში. ამასთან დიდმა მბრძანებელმა მეფე არჩილის პირად სამფლობელოდ გამოჰყო ნიჟნიგოროდის მაზრის სამი ვოლოსტი-ტურიშევის, ბელგოროდისა და ლისკოვის ვოლოსტები—მოახსენა არჩილ მეფეს კანცლერმა და მდებალად თავი დაუყრა.

არჩილი ხედავდა, რომ მისი ერთადერთი იმედი ერთმორწმუნე რუსეთი იყო, ამიტომ ოცნებობდა, რომ შვილი მალე ენახა, მაგრამ რა იცოდნენ პეტრე პირველმა და არჩილ მეფემ, რომ ალექსანდრეს ტყვეობის ძირითადი მიზეზი იმ საარტილერიო საქმის დიდი ცოდნა იყო, რომელიც უფლისწულმა უცხოეთში მიიღო. ასეთი კაცის განთავისუფლება რუსეთის არმიის გაძლიერებასა და მოწინააღმდეგეთათვის საშიშროებას ნიშნავდა.

კარლოს მეფის ბრძანებით გენერალ ალექსანდრეს ძალზე მკაცრად ეპყრობოდნენ. მასთან ერთად ტყვეობის სიმძიმეს ჭარბველი მსახურნი: ზაალი, მაქსიმე, ვიორგი, ათანასე, პაპუნა და კონსტანტინე ინაწილებდნენ.

რა არ იღონა პეტრე პირველმა, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა. შვედების გაჭიურებული მეფე ალექსანდრეს უფლებას არ აძლევდა რუსეთიდან გაგზავნილი ფული და სურსათი მიეღო. მეგობარი რომ გამოეხსნა, პეტრე პირველი დიდ დათმობებზე წავიდა, მაგრამ კარლოს მეთორმეტემ ალექსანდრე ბაგრატიონში სამი კასრი ოქრო მოითხოვა. ეს რუსეთის სახელმწიფო ხაზინის ვაჩანაგებს ნიშნავდა.

— უმჯობესია, თვით გენერალ ალექსანდრე ბაგრატიონს გყიფო, თუ როგორ მოვიქცე! — გადაწყვიტა პეტრემ.

— „არა თუ სათქმელად, ფიქრადაც არ მომხვლია რაიმე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს არა თუ ჩემი განთავისუფლებისა, არამედ იმათი განთავისუფლებისათვისაც კი, რომლებიც ჩემზე ათასკაცად მეტი ღირან; ჩვენ ამისათვის ვართ მოწოდებულნი, ვითმინოთ და მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულის ინტერესებისათვის“. — მისწერა ალექსანდრე ბაგრატიონმა პეტრე პირველს.

ალექსანდრეს დედას ქეთევანს, მამას — არჩილს და დას ღარეჯანს გამოსავალი ვერ ენახათ უფლისწულის გამოხსნისათვის.

ახლა თვით არჩილმა მისწერა წერილი შვედთა მეფეს: „უკვე ექვსი წელიწადია ჩემი შვილი ტყვეობაში იტანჯება. მრავალი სენი და გულისკავრი მას დაუძლურებასა და ნადრევს სიკვდილს უქადის. ჩვენ კი მოხუცებულთ, შვილის დაკარგვის შემთხვე-

ვაში, მწუხარება დაგვასამარებს... ამიტომ ჩვენ და მთელი ჩვენი ოჯახი მორჩილად
ქედს გიხრით და გთხოვთ თქვენს უდიდებულესობას, უბოძოთ ჩვენს შვილს თავისუფ-
ლება, — გასცალოთ იგი თქვენის უდიდებულესობის რამდენიმე ოფიცერზე, რომელ-
ბიც თავიანთი ადგილით და ჩინით ჩვენი შვილის თანაბარი არიან, რათა ჩვენს მოხუ-
ცებულობას შვილის ნუგეში არ მოაკლდეს“.

კარლოს მეთორმეტემ მამის ვედრებას ყური არ ათხოვა. იმედდაკარგული არჩილი
პოეზიას, თარგმანსა და სასტამბო საქმიანობას შეუდგა.

— თქვენი დახმარება მჭირდება, თავადო ცეცხლზე, აგარიანთა მიერ ფეხქვეშგათე-
ლოლ საქართველოს მოსკოვში უცილობლად სჭირდება ქართული წიგნების ბეჭდვა.

— უცილობლად ასრულდება სურვილი თქვენი, მეფე ბატონო, უშაღღესი ხელმ-
წიფისაგან ჩვენ წინათაც გვებრძანა ქართული სტამბის დაარსება—მიუგო გოლოვინმა.

— დაიბ, მამინე დაწყებული საქმე, შესაფერისი ოსტატების ნაკლებობის გამო,
შეჩერდა, მაგრამ ახლა ხელს არაფერი გვიშლის, არქიმანდრიტი ლავრენტი, ჩემი ასული
დარეკანი და აშალის სხვა წევრებიც გვერდით მიდგანან, ოღონდ დიდმა ხელმწიფემ
ინებოს განკარგულების გაცემა.

მართლაც, 1703 წლის დამლევიდან არჩილ მეფეს ხელთ ჰქონდა პეტრე პირველის
განკარგულება ქართული სტამბის დაარსების შესახებ, რითაც „წამით დაცხრომილი იქნა
დამწუხრებულ გულის მკვნებაზე ალი“, მაგრამ განგებამ დიდი მწუხარება არ აკმაბრა
მეფეს და 1703 წლის 26 სექტემბერს ხანძარმა შთანთქა მისი სასახლე მოსკოვში. ოცი
წლის მანძილზე ცეცხლმა მესამედ მოხპო არჩილის ხელნაწერები, ლექსები, თარგმა-
ნები, მოგონებანი, რუკები და დიპლომატიური მიმოწერანი.

პეტრეს განკარგულებით ხელახლა აგებდნენ არჩილის სასახლეს. თვით არჩილი
მთელ ყურადღებას უთმობდა დონის მონასტერს, მიქაილ ტაძრის აგებას, რომლებიც
პეტრე პირველის ბრძანებით ქართველთა განკარგულებაში გადავიდა. არჩილის თხოვნით,
მონასტრის მოძღვრად დანიშნა სახელოვანი ქართველი კაცი არქიმანდრიტი ლავრენტი.
მას გვერდში ედგნენ მოსკოვში სამუდამოდ დამკვიდრებულნი ამბრასაძე, ხერხეულიძე,
ხოლოდაშვილი, დადიანი, ქვარიათი, ჭავჭავაძე, საყვარელიძე, ბუჟანიშვილი, ალადაშვილი,
გედევანიშვილი და მოძღვრიშვილი, რომელთა მრავალრიცხოვანმა ოჯახებმა მოსკოვში
შექმნეს ქართული კოლონია.

პოლტავის გამარჯვებამ იმედი ჩაუსახა მამა-შვილს, შეედებზე პეტრეს გამარჯვ-
ებით გახარებულმა არქიმანდრიტმა ლავრენტიმ დონის მონასტერში დიდი პარაკლისი გა-
დაიხადა. პოლტავაში მძიმედ დაჭრილი კარლოს მეთორმეტე ოსმალეთში გაიქცა. დაი-
წყო მოლაპარაკება ტყვეთა გაცვლაზე. არჩილი და ქეთევანი მოუთმენლად ელოდნენ
შვილს. ლოდინი სამ წელს გაგრძელდა. აღექსანდრეს ჩანმრთელობამ უმტყუნა და
მთლად დაუძლურდა. რუსმა ჭარბმა რიგა და ვიბორგი დაიკავეს. ტყვეებმა ხელთ ჩა-
იგდეს შვედების ერთი ხომალდი და გამოიქცნენ კუნძულ ბოტონიდან. მაგრამ უფლის-
წულის სულიერი მოძღვარი, იმერელი მღვდელი გულმოკლული და თვალცრემლიანი
გადმოვიდა კუნძულ პიტეოსიდან, სადაც 1711 წლის 20 თებერვალს მის მკლავზე სული
განუტევა გენერალმა აღექსანდრე ბაგრატიონმა.

„ვაი ჩვენ უბედურებას, ყოველი კეთილისგან გაძარცვულთ, სიკვდილმა ვითარცა
მძინვარე ნადირმა, მოგვტაცა ჩემი შვილი აღექსანდრე, ხოლო ჩვენ მწარე მოხუცე-
ბაში გვიმზადებს საფლავთა შინა. დიდ ნუგეშად მექნება თუ გვამი ჩემი შვილისა
გადმოსვენებული იქნა მოსკოვში“. — სწერდა არჩილი პეტრე პირველს.

პეტრემ გულმოკლულ მშობლებს უვლავფერი გაუყვითა. დონის მონასტრის დიდი
ტაძარი გახდა აღექსანდრე ბაგრატიონის, მისი ძმებისა და მეუღლის სამუდამო სამყო-
ფელი

— ერთადერთ იმედად ასული ჩემი დარეჯანი შემოგვრჩენია გაუბედურებულ მშობლებს. „სულის განტევებისას მივმართავ თქვენს უდიდებულესობას და თქვენ გახარებთ მას... თქვენს ხელს ვაბარებ ჩემს სახლს და ყველა იქ მყოფს. თქვენ გახარებთ და ტაკო, ობოლთ და გაღმოსვენით, იყავ მათი მწე, ნუ დასტოვებთ მათ ხიბერეთი. მისმინეთ: თუ ჩემი უყურადღებობით რაიმე შეგცოდეთ, მომიტევეთ, მაღალი მონარქის თვალთ გადმოხედეთ და შეივრდომე ჩემს შემდგომ დარჩენილი ასული ჩემი. იმედი მქონდა ჩემი ვაჟების მეოხებით აღმედგინა მემკვიდრეობა ჩემი გვარეულობისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მფარველობდა ივერიასა და სხვა ქვეყნებს. მაგრამ დამიტოვა ასული, რომლის მეოხებით ჩვენი გვარი შეიძლება აღდგენილი იქნას, თუ ჩემი ქალისათვის გამონახული იქნება. შესაფერისი პირი, კანონიერი ქორწინებისა და ურთიერთ თანხმობით მასთან შესაუღლებლად. წარსულში ამ გზით ჩვენი გვარი ორჯერ იყო განახლებული. ეს წესი მიღებულია და კანონიერად ითვლება აზიისა და ევროპის ბევრ სახელმწიფოს კარზე... იმერეთის სამეფოს და სხვა სამფლობელო მიწებს, რომლებიც თქვენს მაღალმონარქულ მფარველობაში იმყოფებიან. ნუ დასტოვებთ უმეცოდ... მაგი ბედი თქვენს ხელშია. მათ სწადათ თქვენს მფარველობაში ყოფნა... დე, ბრძანოს თქვენმა უდიდებულესობამ, რომ აზნაურები და ჩვენს ენაზე მოლაპარაკე ყველა წოდების ადამიანები, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობდნენ მოსკოვში და ჩვენს შემდეგ ჩემი ქვეყნიდან ჩამოვლენ, მოვიდნენ და წავიდნენ წინანდებურად, დაუბრკოლებლად. დე, მოსკოვში ჩამოსულნი, მიღებულნი ჩვეულებისამებრ, აუცილებლად ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ“.

მოხუცი, დაუძლურებული არჩილის გვამი 1713 წლის 18 აპრილს მიიბარა დონის მონასტრის მიწამ. დაქვრივებული ქეთევანი ლოცვა-ვედრებით ქსოვდა მაღალხარისხიდან საეკლესიო ქსოვილებს, მისი შემოქმედების ნიმუშები ეფინებოდა მოსკოვის ეკლესია-მონასტრებს და ამით იქარგებდა მწუსარებას სევდამწარებული დედოფალი, რომელიც 1719 წლის 16 აპრილს არჩილის გვერდით დაასაფლავეს. იმ დროს დარეჯანი ორმოცდაათი წლის ქალი იყო. „ჩვენი დარია“. ასე ეძახდნენ პეტრე პირველი და მოსკოვის მაღალი საზოგადოება მეფის ასულს, იგი სათავეში ჩაუდგა მოსკოვის ქართულ კოლონიას, დარეჯანისა და არქიმანდრიტ ლავრენტის მეცადინეობით ეწოდა დონის მონასტრის ივერთა მონასტერი. დარეჯანის სასახლე იყო შემდგომში ქართველი მეფეების რეზიდენცია მოსკოვში. პეტრე პირველმა, რომელმაც მოდრიკა შევდები, გამარჯვების ზეიში არჩილის სასახლიდან დაიწყო. გენერალ ალექსანდრე ბაგრატიონის სსოვნის აღსანიშნავად და რუსული იარაღის სადიდებლად რუსეთის დიდი ხელმწიფე პეტრე პირველი ყოველ ზეიმს დარეჯანის სასახლეს უკავშირებდა. მაშინ, როცა ქართლის სამეფო ტახტზე დაჯდა დარეჯანის ბიძაშვილი ვახტანგ VI, დარეჯანმა იგი დაასაფლავა პეტრე პირველთან... ბაგრატიონთა ეს სახელოვანი ასული ქართველთა ელჩობას სწევდა მოსკოვის სამეფო კარზე.



ბულთა კავშირი

ჩვენ გვექონდა ერთი ჭზე და
მიზანი,
ერთი ტკივილი, ერთი იარა,
ჩვენ ერთმანეთში ძიები ვიცანიას
და დაგვიცლია ერთი ფიალა.

ყვალდა ჩვენი ფიქრი ნუშივით
და ძმობა, როგორც ტალღა,
დაუძარიტ.
გზას გვინათებდა დადი პუშკინი,
დიდი რუსთველის ლექსის
ხანძარი.

ჩვენი მაღალი მთები ერთია,
ჩვენი გზები და მიწა მშობელი.
ეს სიყვარულზე უფრო მეტია,
უფრო ზეტია, ვით მეზობელი.

ვერ გვაშინებდა სისხლის წვიმაში
ვერც მტრის მუქარა და ვერც
გოლგოთა
და ვალმოხდილი ქვეყნის წინაშე,
ცკედლობით ღონთან, ღნებრთან,
ჭოროხთან...

ჩვენი სისხლი და ფიქრი ერთია,
გულის ძახილი, ღოცვა, იერი...
ეს სიყვარულზე უფრო მეტია,
უფრო ნადი და უფრო ძლიერი.

გაგვიტანია მრავალჯერ ლკლო
და მეზობლობა ვიცით ნამდვილი,

დიდი რუსეთი და საქართველო
მშობის ხეზეა ერთად დამყნული.

ამ დიდი რწმენით ვერაგს

ვუტევდით
და შევამტვრიეთ რეიზის კარი,
სამშობლოს ერთად ღამეს

ვუთევდით,
ერთად დავრეკეთ დიდების ზარი...

ამ დიდი რწმენით ვაშენებთ ახალს
და გმართავთ დიად სიცოცხლის
საჭეს.

გზა ვარსკვლავამდე გადაგვიღახავს,
მშვიდობის წიგნზე ხელს ერთად
ვაწერთ.

და თუ ვაჯობეთ, თუ ვაკვიმარჯვეთ,
მიტოვ, რომ გულთა კავშირი
გვმოსავს.


ამიტომ ასე,

ამიტომ ასე,

ამიტომ ასე,

ამ ძრობას ელოცავთ!





ართვინში სამმა ცხენოსანმა თურქეთის კორპუსის მეთაურის მუსტაფაშის ფიცხელი ბრძანება ჩამოიტანა, ჯარის ნაწილები გაიშალეს და რუსეთის საზღვარს მიუახლოვდნენ... ემრულას ორი ათასეული მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე განლაგდა. პირველი საგუშაგო დოლისყანაში დააყენეს, უკანასკნელი თითქმის არტანუჯს წვდებოდა. თვით მალაყმაძე მოწინავე რაზმთან ერთად დაბანაკდა. ერთი ათასეული მდინარის მარცხენა მხარესაც განლაგდა, მაგრამ მისი ფუნქციები გაცილებით იოლი იყო; მოწინააღმდეგის ჯარის შემოსვლა მარჯვენა ნაპირიდან იყო მოსალოდნელი, რადგანაც დოლისყანიდან არტანუჯამდე გზატკეცილი მდინარის მარჯვენა სანაპიროს მიყვებოდა.

ახალი ბრძანების მოლოდინში ჯარისკაცები ტყეში ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ.

აგერ ერთმა ჯიბიდან დაჭმუჭნული ქაღალდი ამოიღო, ტყეში ენახეო, და ბურან ირემამეს გადასცა.

— შენ წაიკითხე, კოწია, — ჩუმაღ უთხრა ირემამემ გაზეთის პატრონს.

— არა, შენ წაუკითხე, მე ყველა არ მიცნობს და დაეჭვდებიან. — თქვა ტანმაღალმა ჭაბუკმა, რომელსაც სხვებისაგან განსხვავებით თეთრი ჩოხა და წითელი ასალუხი ეცვა. თავზე თეთრი ფაფახი ეხურა და კისერზე მოყვითალო ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული.

ბურანმა ქაღალდი გაშალა. ეს იყო გაზეთ „დროების“ ათი დღის წინანდელი ნომერი. კითხვა დაიწყო თუ არა, მის ირგვლივ მაშინვე მთელი ასეული მოგროვდა; ირემამე ნელა, მაგრამ გატაცებით კითხულობდა, რედიფიც დიდი ხალხით უსმენდნენ.

ზემო აჭარლები და ქობულეთლები ჯარში არ წავიდნენო, — ეწერა გაზეთში, — იმათ უარი თქვეს ბოსნიელების წინააღმდეგ უსამართლო ომში. მონაწილეობაზე და ამით დიდი დახმარება გაუწიეს საუკუნეობით გატანჯულ ხალხსო. — დაამთავრა მეორე გვერდი ირემამემ. ხელს აწერდა სერგეი მესხი, ამ გაზეთის რედაქტორი.



ერთხანს სიჩუმემ დაისადგურა. იგი ბექსია სოლომონიძემ დაარღვია.

— აჭარელი ვინცნა ბოსნიელს არ ეომება. შენ ჩემო შავშელო ძიავი, თოფი ზელში და ათადან ბაბადან სისხლით ნათესავს იმერელს, გურულს, გურჯს ესროლე, ყიამეთი არ არის?

— ჯარში თუ ხარ, თოფიც უნდა ისროლო — თქვა თმაგანჩილმა ახალგაზრდამ, ხაომრად სისხლი რომ უღუღდა და კანში ვერ ეტეოდა.

ბექსიამ აღმაცერად გადახედა ახალგაზრდას.

— შენ სროლას ნუ მასწავლი, ბაღლო. ჩახმასნ ყველა გამოკრავს თითს, მარა ისიც უნდა იცოდეს, ცხელი ყურში ვის გააცივებს.

ჭაბუკმა თავი ჩალუნა.

— სოლომონიძე სწორს ამბობს, — დაემოწმა კოწია, — მართლაც საკვირველი და საშინელი არ არის? ყველა გურჯი ძველ დროს საერთო სამშობლოს მტრის წინააღმდეგ ერთი დროშის ქვეშ იბრძოდნენ, ახლა იარაღი აუსხამთ, ველზე გამოხსულან და მოძმეებს უღირებენ?

— მართლაც რომ სირცხვილია, ძიავ, აბა რაა! — ერთხმად გაიმეორეს რედიფეშმა.

— ერთ დროს ჩვენი შვილებისათვის ძალიან ძნელი წასაკითხავი იქნება ისტორია ჩვენი ბრძოლისა, რომელიც მოძმეთა სისხლისღერის ამბებს მოუთხრობს მათ. — კვლავ ჩაერია ლაპარაკში კოწია ერისთავი.

— ჩვენ დღეს ერთმანეთს დაეხოცავთ, ზეალ ჩვენი შვილები ჩვენთვის, თავისი მამებისათვის, აიღებენ სისხლს და ასე უფრო და უფრო გადავეკიდებით ერთმანეთს. — დაემოწმა სოლომონიძე და რედიფეშიც ჩააფიქრა.

ბურანმა გაზეთი დაკცა და სხვებისგან შეუმჩნევლად კოწიას ჩოხის ჯიბეში ჩაუდო. ერისთავი წამოდგა. არავის დაშვებულებია, ისე შეუმჩნევლად გასწია მგნობელი ასეულისაკენ.

* * *

რაისტაგანიძემ და ვანლიშმა დოლიყანაში კოკობინაძის დოლიყანსს მიუსწრეს. აქვე დახვდნენ კოწია ერისთავი და კუზმა ალიოშკინი. დათქმულ დროზე კომაროვს ეახლნენ და ნური ზიმშიაშვილის ბარათი გადასცეს. გენერალს ამის შემდეგ აღარ დაუყოვნებია; ამბის მომტანნი უკან გაისტუმრა და ბრძანება გასცა ჭოროხის სეობისაკენ წასულიყვნენ.

როგორც კი რუსეთის ჯარი ადგილიდან დაიძრა, მალაყმაძემ თავის ათასეულს უბრძანა უკან დაესია. რედიფეშის ნაწილი სახლეშში გაუშვა. ჯარი სრულიად უმზრდოველად იკავებდა სოფლებს, მაგრამ თვით შავშეთის მმართველის ნური ზიმშიაშვილის მდგომარეობა გართულდა. მას საშუალება აღარ ჰქონდა ფარულად ემოქმედა რუს-ქართველთა მხედრობის სასარგებლოდ. ამიტომ თურქეთის არმიის ცენტრალურ სარდლობამდე ამბის მიმტანი გაგზავნა, თითქოს რუსებმა ძალით წაართვეს შავშეთში აკრეფილი გადასახადების ნაწილი, ხორბალი, ქერი და სიმინდი. ამასთან ატყობინებდა, რომ ჯარისკაცები გაიქცნენ და დახმარებას თხოვდა.

ამასობაში რუსეთის არმიის ქვედანაყოფმა კაპიტან ლევაშოვის ხელმძღვანელობით შავშეთისაკენ აიღო გეზი. უკანდახეული ემრულას დარჩენილი რაზმელები კოწია ერისთავთან ერთად მას შეუერთდნენ და დაესმარნენ არტანუჯის, ზემო და ქვემო ბაცას დაკავებაში. ლევაშოვი არტაანის ოლქის მმართველთან მიხეილ მგფისაშვილთან ერთად მოულოდნელად თავს დაესხა შინდობანს, წამოიღეს იქე-

დან ყველაფერი, ფურაჟი, კვების პროდუქტები და თვით ნურიბეგიც წამოიფანეს, როგორც სამხედრო ტყვე. ჭოროხის მარცხენა მხარეს განლაგებული ატაშის მამის შემდეგ თვითონვე აიყარა და უკან გაბრუნდა.

ასე გათავისუფლდა ართვინის მხარე ოსმალთა სამხაუკუნოვანი პატონობისაგან.

* * *

სულ სხვაგვარად წარიმართა საქმე აჭარაში.

შერიფბეგს ომის გამოცხადებამდე რუსეთთან კავშირის დასამყარებლად შედგენილი ჰქონდა თავისი გეგმა; მაგრამ ერთდროულად სულთანის ბრძანებაც მოვიდა, რომლითაც ევალებოდა ახალციხეზე რუსეთის წინააღმდეგ გახალაშქრებლად შეეკრიბა 8000 კაცი. სხვაგვარად არ შეიძლებოდა, ეს ბრძანება ხიმშიაშვილმა შეასრულა, მაგრამ ახლა საიღუმლო მიწერ-მოწერა გააჩაღა ახალციხეში დაბანაკებულ რუსეთის ჯარის სარდალთან. შუამავლობას შერიფბეგის მეგობარი მისიელი მეფისაშვილი ასრულებდა. რუსეთის სარდლობა საბოლოოდ დაარწმუნდა შერიფბეგის ერთგულებაში, მაგრამ მისი დამოკიდებულება კართულა თურქეთთან, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა ახალციხეზე გალაშქრებას. ხიმშიაშვილი ათასგვარი გამოკონილი მიზეზით გაუბრბოდა ამ ბრძანების აღსრულებას.

ეს საიღუმლო შერიფბეგმა გაანდო ყველაზე უფრო ხანდა და დაახლოებულ პირებს: აბდულ ლორთქიფანიძეს, მუსტაფა გაბაიძეს, იუსუფ ბერიძეს...

— ეს ასე უნდა მოხდეს, — თქვა შერიფბეგმა, — თვით ღმერთიც ვერ დაძაბულებინებს ამ გადაწყვეტილებას და მკაცრად მოეთხოვოთ იმას, ვინც ითავსელებს და ამის საწინააღმდეგოს ან სიტყვით ან საქმით რასმე გაჰბედავს, ან გაგვცემს...

ამ კაცებს ბევრი გაფრთხილება არ ხჭირდებათ. უფრო დიდ გასაჭირში იყვნენ გამბრძმებდილნი და წარბს არც ახლა იხრიდნენ.

— მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო, — თქვა გაბაიძემ, — შეიძლება ზალსში ჩვენმა გეგმამ გაუგებრობა და არეულობა გამოიწვიოს.

— სულთანი რაღას გეგმობს? — იკითხა ლორთქიფანიძემ.

— დაეცი, დაეცი ახალციხეს, ყოველდღე თავის შიკრიკებს ამას აბარებს. — განმარტა გაბაიძემ.

— ჩვენ სულთანს ასეთი პასუხი უნდა მივცეთ: ახალციხეზე ჩვენი დაცემა შეუძლებელია, რადგანაც ჩვენზე სამჯერ მეტი ჯარი იცავს ამ ქალაქს. ხალხს, ჩვენი საზღვრები გავამაგროთ და რუსის ჯარი ჩვენს ფარგლებში არ შემოვიშვათო — დაარიგა თანამებრძოლები შერიფბეგმა.

— დაგვიჯერებს სულთანი? — იკითხა აბდულ ლორთქიფანიძემ.

— შეიძლება არ დაგვიჯეროს. მან კარგად იცის, რომ ომს მოწყურებული რეადატის აჭარელი ახალციხეს თუ არ გაანადგურებს, დიდ ზიანს მაინც მიაყენებს... ჩვენი მოქმედებით დრო უნდა გავაჭიანუროთ და სულთანს თვალი ავუხვიოთ.

— დასარწმუნებლად მარტო სიტყვები საკმარისი არ იქნება — თქვა ბერიძემ.

— სწორია. ამიტომ საჭიროა ხანდახან რუსის საზღვარზე ყალბი სროლა ავტებით, ვაჩვენოთ სულთანს, რომ უსაქმური არა ვართ და ვფხიზლობთ.

— ეს ყველაფერი შეიძლება მართლაც მშვიდობიანად დამთავრდეს, მაგრამ მე იმედი არ მაქვს. ნურიბეგმა გვაჯობა. ჩვენ ისე ვერ გავედით ხალხში, როგორც საჭიროა. ამიტომ არ იციან, რა გააკეთონ და შეიძლება სრულიად მოულოდნელად იარაღი ჩვენსკენ მოაბრუნონ. — თავისი ვარაუდი ასე გამოხატა მრავალ ბრძოლაში ნაწრობმა მუსტაფა გაბაიძემ.

იგი არ ცდებოდა.



ჭოროსის სეობის ადების შემდეგ რუსეთსა და თურქეთს შორის საზღვარი უკან დაებრუნებინა. სიმშაშვილმა იცოდა მთის საღისის სულის მოძრაობა და კანონები. ესმოდა, ასეთი განიარაღება რუსეთის მხარეზე მდკომ აჭარლებში დიდ ეჭვებს რომ გამოიწვევდა, მაგრამ ბრძანების შეუსრულებლობა არ შეიძლებოდა. იარაღი და ტყვია-წამალი შეკრიბა, ყუთებში ჩააწყობინა და ცხენებით ბათუმისაკენ გაისტუმრა. საკუთარი ძვირფასეულობა და სხვა ქონება ხანდო კაცებს დაურიგა. ფირმანები, სიგელ-გუჯრები და ეკლესიებიდან გადანახული სატები ერთ დიდ ორმოში ჩაფლა, თვითონ კი ცოლ-შვილიანად ქოჩასში გაიხიზნა. აქედან ასალცი-ნეში შვილი აფრინა და რუსეთის სარდალს დახმარება სთხოვა.

შერიფი სიმშაშვილისა და მისი თანამებრძოლების ვარაუდი გამართლდა. იარაღის თურქეთში დაბრუნება გაიგეს თუ არა, აჭარაში სულთანის აგენ-ტები ამოქმედდნენ. მათ შერიფი სიმშაშვილი მოღალატედ მონათლეს, ხალხი დაარ-წმუნეს, რომ შერიფბეგი რუსეთს ღალატობდა, აბა, იარაღს თურქეთს რატომ გა-უგზავნიდაო, ამბობდნენ ისინი. იარაღი და ტყვია-წამალი წონიარისში ჩაიგდეს ხელთ, ყუთები დახსნეს და რეაათასი კაცი ახლა თავისი სურვილით შეიარაღდა, შემდეგ სარდლები ამოირჩიეს და ხიჭაურში დაბანაკდნენ. გადაწყდა გაენადგუ-რებინათ შერიფი სიმშაშვილის მომხრე ყველა პირი და თვით შერიფბეგიც.

ერთი ჯგუფი სხალთას დაეცა. ბეგის სახლში შესული მეამბოხეები სახტად დარჩნენ. საწოლ ოთახში შერიფბეგის ყველაზე უფრო გამორჩეული და საყვარე-ლი შვილის, მურთაზის უსულო გვამი იპოვეს. ევრაფერი გაიგეს, ვისმა ხელმა იმსხვერპლა ახალგაზრდა სიმშაშვილი.

სანამ მოითათბირებდნენ, ხიჭაურში შერიფბეგის კაცი, ჭკუით და გონებაშ-ვილობით განთქმული იუსუფ ბერიძე მოვიდა. აჯანყებულები მაშინვე მას მისც-ვიდნენ.

— მოვეკლათ!

— ჩაქელოთ! — გაიძახოდნენ აღელვებულნი.

— ხალხო, მისმინეთ! — გაისმა სმა.

წამით სიჩუმი ჩამოვარდა. შემადლებულ დარეზე სულეიმან ისტიარი წამო-მართულიყო და იქედან მიმართავდა ხალხს.

— ხალხო! ბერიძე მე მომეცით. ჩემი გვარის სისხლი აქვს ვალად და მე გაუუსწორლები.

— ჩვენ გაუუსწორლებით! — კვლავ იდრიალეს, მაგრამ ერთმა სარდალთაგანმა ხალხი დააწყნარა.

— გადავცეთ შუამავალი სულეიმან ისტიარს. ხელ ერთი არ არის, მოსაკლა-ვი მოკვდება, ეს კაცი სისხლსაც აიღებს და გულიც დაწყნარდება.

იუსუფ ბერიძეს ხელები გაუკრეს და მოხისხლე მტერს გადასცეს. იმან კი წინ გაიგდო და ტყისაკენ გასწია.

— შეჩერდი, — იუსუფ ეფენდი! — ტყეში შესვლისთანავე შესახა ისტიარმა. ბერიძე მორჩილად მობრუნდა, თავი ამაყად ასწია და თვალები მოშულარს გაუსწორა;

ისტიარს თოფი გადმოეღო და თითი სახსლეტზე ეღო.

ბერიძემ უნებურად ერთი ნაბიჯით დაიხია და თვალები დახუჭა.

— დღეს გავასწორებდით ანგარიშს, იუსუფ ეფენდი, მარა... შენ ახლა ხალხის სასიკეთო შუამავალი ხარ და... ვალი ვალად დარჩეს... ახლა წადი შენს საქმეზე; ეს ამბავი მოთადღეს და როიცხა მერე შევხვდებით ერთმანეთს ვიწრო გზაში.



ისტორიამ პეპუსი იძრო, ტყვეს მიუახლოვდა, ხელები გაუთავისუფლა და უშვლდა.

იუსუფმა ნელი ნაბიჯით გასწია ტყის სიღრმისაკენ. ამ დროს თოფიც გაგარდა. ერთჯერ... ორჯერ...

გასროლის ხმამ აჯანყებულებამდეც უწია.

იუსუფ ბერიძემ მასობრივად მცხოვრებ შირინ-ალა დავითაძეს შეაფარა თავი. ბერიძის ვითომ მკვლელი უკან რომ აღარ დაბრუნდა, აჯანყებულებმა ეჭვი აიღეს და შირინალას სახლს მოადგნენ. იგი ზემო აჭარაში გულადობითა და სტუმარ-მასპინძლობით განთქმული კაცი იყო. მაღალ კოდეზე გადმოშდვარ მის საცხოვრისს კაცი მხოლოდ ერთი მხრიდან მიუდგება. იცოდა, ზიმშიაშვილთან ახლობლობას თავგზააბნეული ხალხი არ აპატიებდა და თადარიგი ადრე დაიჭირა. ქაღები და ბავშვები/ნათესავეებთან განიხნა, თვითონ კი იუსუფ ბერიძესთან ერთად იმ ერთი მისასვლელის მხრიდან გაიძაგრა საფარი. საბრძოლოდ კარგად იყო მომზადებული, ტყვია-წამალი და თოფები ბევრიც ჰქონდა.

— მოგვეცი იუსუფ ეფენდი! — ყვიროდნენ აჯანყებულები და სახლს თოფებს უღერდნენ.

შირინალა მშვიდად პასუხობდა:

— იუსუფ ეფენდი ჩემი სტუმარია, ნებით ვერ მოგცემთ და თუ ვაჟკაცები ხართ, ძალით წაიყვანეთ.

ოცამდე თოფი გაგარდა. ზოგმა ტყვიამ წაბლის ფიცარიც გახვრიტა, მაგრამ შირინ-ალა შედგრა დასვდა შემოტყუას.

— რომ მინდოდეს, ყველას ამოგზოცავთ, მარა, ისიც ვიცო, ხეალ ნამდვილ ამბავს გეიგებთ და დაწყნარდებით. არ მინდა თქვენს სისხლში ხელი გავისვარო და ღამანებეთ თავი! — გადასმახა მომხდურებს.

რამდენიმე ზალბი კიდევ დასცეს, ვიღაც ცალთვალა შეუჩერებლად აყრის ტყვიას დავითაძის სახლს.

— ეს ბრუციანი ვინაა? — იკითხა შირინ-ალამ.

— ზინგოთიდანაა, ღურალა ოდაბაში. ნურიბეგს შეუგზავნეს, უღალატა, გაუგეს, მაგრამ გადაურჩათ. მერე მირზა აბესლამიძეს კზიდან გაქცევია და ახლა შერიფ-ბეგთან მოუგზავნიათ — უპასუხა იუსუფმა.

— გამოაგდე ბერიძე, თორემ სახლს დაგიწვავთ! — იღრიალა ოდაბაშმა და სახლს წყვილად დაახალა თოფი. შირინალამ ყურზე მოივლო ხელი, ყაბალანში სისხლმა გამოჟონა. დაჭრილმა თვალები დახუჭა და თავი შეანჯღრია. იუსუფ ეფენდიმ ყაბალასი მოხადა.

— ყური გაუხვრეტია მაგ ძაღლს!

— ეგ არაფერი, სხვა ნუ იქნება, — თქვა დავითაძემ.

— გამოუშვი ბერიძე! — ისევ იღრიალა ოდაბაშმა.

— ბერიძეს არა და, ცხელ ყურშუმს გამოუშვებ! — გადასმახა დავითაძემ სიცილით, — რომელ თვალში გირჩენია, ღურალა დედაგაღლეტილო!

გაგარდა შირინალას თოფი და ოდაბაშმა ხელი ამოთხრილ თვალზე იტაცა, შეტორტმანდა, ქვას გადაასკდა და ხევში გადაიხნა. მომხდურები დარწმუნდნენ დავითაძეს ვეღარაფერს დააკლებდნენ, უაზროდ ამოახოცინებდნენ თავს და უკუიჭცნენ.

იუსუფ ბერიძე გათენებამდე ქონახში ავიდა, შერიფბეგს აცნობა, რაც ნახა, თანაც ურჩია, შენი გაწერება ქონახშიც საშიში არისო. ალიონზე ზიმშიაშვილი აიყარა და ახალციხისაკენ გაემართა.

აჯანყებულები ხულოში იმ დროს ავიდნენ, როცა აქ ორასამდე რუსი ჯარის-

კაცი მიხუდიყო. რვაათას კაცს შეემლო ერთის დაკვრით წაეღეკა ჯარისკაცთა მცირე ჯგუფი, მაგრამ თეთრი ბაირალებით გამოცხადდნენ მათთან და შეერივნენ იმთხულებს.

ამასობაში ბათუმიდანაც მოვიდა ამბავი, ქალაქი რუსმა დაიჭირა და ოსმა. ღელს იქ არაფერი ესაქმებო. აჯანყებულები სულოში სამი დღე დარჩნენ. რუსეთის ჯარს ისინი დიდი პატივით ეპყრობოდნენ, ყოველ წასვლა-მოსვლის დროს თავიანთ შეიარაღებულ ყარაულს ატანდნენ, რომ ვინმე პროვოკატორს ენება არ მიეყვებინა. ამასობაში ახალციხიდან შემოვიდა რუსეთის ჯარი გენერალ ტრეიტცის მეთაურობით. ჯარი მოქმედებდა ცენტრალური სარდლობის ბრძანებით, რომელშიც ნათქვამი იყო: „დაე გასხოვდეთ, რომ თქვენს წინ ვაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის მოსახლეობა წარმოშობით და ენით ეკუთვნის იმ ერთ ოჯახს, რომლის ათასობით მილიციელი და შოღაშქჩე აქამად ჩვენს რიგებში იბრძვის საერთო საქმისათვის“. ამ მოწოდებას მოსახლეობაც შევსებულად შესვდა და ჯარი ისე ჩავიდა ბათუმამდე, რომ ერთი თოფიც აღარ გასროლიდა.

* * *

აჯანყებულები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ სულთანის აგენტები და პროვოკატორები არ ცხრებოდნენ. ისინი ტერორზე გადავიდნენ, მაგრამ ეს კიდევ ცოტა იყო. აჭარას, შავშეთს, მთელს სამხრეთ საქართველოს უფრო დიდი უბედურება ელოდა — მუჰაჯირობა. ვინ ოსმალთა აგენტების, ფანატიკოსთა რჩევა-დარიცხებით თავგზაბნეულნი, მოტყუებულნი, გამარცხულ-გაპარტახებულნი ტოვებდნენ მშობლიურ მიწას, ვის კიდევ ძალდატანებით მიერეკებოდნენ სულთანის დამკაცვები.

სამ წელს, მხოლოდ სამ წელს გაგრძელდა ეს აუბედითი აფრა-გადასახლება და არანაკლები ზიანი მიაყენა ქართველ ხალხს, ვიდრე თვით ოსმალთა სამსა-უკუწოვანმა ბატონობამ.

თითქოს ყველა და ყველაფერი, გარეშე და შინაური მტერი აღსდგა ამ ერთი უწყა ზალხის წინააღმდეგ. სულთანი დიდ ჯილდოს პირდებოდა ყველას, ვინც აქტაურად იმოქმედებდა აჭარელთა გადასახსნელებლად; გამოჩნდნენ ოქროს და წინემს დახარბებულნიც, მაგრამ საღ აზრსაც არ ეძინა. მოწინავე ქართველობამ სმა აღიშალა ამ ტრაგედიის აღსაკვეთად. შემოიკრიბა აჭარა-შავშეთის გავლენიანი პირები.


მართისხვეული ლომან ქარცივაძე, რომელსაც უმაღლესი სასულიერო განათლება ოსმალეთში მიეღო, საგანგებოდ წავიდა იმ ადგილების მოსახილავად, სადაც მუჰაჯირებს უნდა დაედოთ ბინა. რას ნახავდა სასიკეთოს. გადამწვარ-გადანგრეული მიდამოები, უწყლო, უტყეო და უკაცრიელი ველები. ლომან ეფენდიმ იქედან მცისვე აფრინა კაცი, რომ ზალხი ადგილიდან აღარ დაძრულიყო. ლომან ეფენდის მეცადინეობით გადასული მუჰაჯირებიც კი აიყარნენ ახალი საცხოვრისიდან და უკანვე გამობრუნდნენ.

ძალე თვით ლომანიც დაბრუნდა, ბევრ თავისიანს და შეზობელსაც დაუმტკიცა, თუ რას წარმოადგენდა ოსმალეების „აღქმული ქვეყანა“ და ზალხი სახლებში დაბრუნა.

დიდ აგიტაციას ეწეოდა გრიგოლ გურიელიც. მას საკუთარი ფელუკით გზაბნეული ზალხი ოსმალეთიდან უფასოდ უკან გადმოჰყავდა...

მაგრამ რამდენს აუხსნი და რამდენს გადმოიყვან, რამდენი შეიგნებს, რომ მამა-პაპის მიწა არ უნდა მიატოვო... უფრო დიდი ძალა იყო საჭირო.

ნურბეგ ხიმშიაშვილმა თავისი ზალხი გავზავნა და ემრუღას ჩამოყვანა და-



ავალა, მაგრამ მთელი რაზმი თავის მეთაურთან ერთად სადღაც უკუზო-უკველით
ვალაგარგულიყო. ერთნი ამბობდნენ, გურჯისტანში გადავიდნენო, მეორენი
მუჰაჯირებს გაჰყვნენო.

— ემრულაი მუჰაჯირებს არ გაჰყვებოდა, — ამბობდნენ მისი კარგად მცნო-
ბნი. — თუ გაჰყვა, ყველას უკან მოაბრუნებს.

სწორედ ამიტომ ნატრობდა მალაყმამეს ნურბიბევი.

* * *

ოლთისის ფაშის ქერივს — აიშე ხანუმს ალი ეუბოლიმ ოთხად გაკეცილი
ქაღალდი მიუტანა. ხანუმმა მეზობელი მოლა მოიგვანა და წერილის წაკითხვა
თხოვა.

„აიშე ხანუმ! არ გამკიცხო, უცნობი წერილს რომ გიგზავნი. შენთან დამოუ-
ვრება მწაღია. ამ საქმეზე დიობნელ ემრულა მალაყმამეს შენი ნახვა უნდა. თუ
შენთვის უზერხული არ იქნება მოგვწერე, როდისთვის დაგვრთავ ამის ნებას. თუ
არ ინებებ, ისიც მოგვწერე“.

სხვა დროს გულზვიადი ხანუმი რისხვით გაისტუმრებდა წერილის მომტანს,
მაგრამ ამჯერად რაღაც უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„ეიშულაში საქონელი რომ მყავდა, ემრულა იქ ყოფილა. მაშინ არ მნახა: რაღა
ახლა გავასხენდი, ბარგი რომ შეკრული მაქვს და მუჰაჯირად მივალ“, — გაიფი-
ქრა ხანუმმა.

— პასუხს გამატანო? — იკითხა ეუბოლიმ.

— მოვიფიქრებ! — მოკლედ მიუგო აიშე ხანუმმა, — საღამოს მოგცემ პა-
სუხს.

წერილის მომტანი იქაურობას ისე გაეცალა, რომ არავის დამშვიდობებია.

— ფირალეზმა ეს როგორ გაგვიბედეს, აიშე ხანუმ! — მოლა ინუსამ განცვი-
ფრება გამოხატა.

— ფირალეზი ყველაფერს ბედავენ. — ცოტა არ იყოს უკმესად მიუგო ხანუმმა.

— რა პასუხს აპირებ? — ჩაძია მოლა.

— ეფენდი, შენ ჩემი კაციც გენდობოდა და ჩემი ოჯახიც.

— ჰელბეთ, ჰელბეთ, აიშე ხანუმ.

— ჰოლა, ჩემი დაქცეული ბედას თლათ დანგრევას არ ისურვებ, მგონია.

— რაღა გეკადრება, ხანუმ.

— მოვიდეს ემრულაი და მითხრას, რა უნდა. — გაბეღულად გაამხილა გულის-

ნადები ხანუმმა.

მოლა ინუსა ჩაფიქრდა.

— არ ვარგა იმის შენთან მოსვლა, აიშე ხანუმ, — დაარიგა მოლამ.

— არა, მოვიდეს! — ხმაში ცოტა ქალური სიკაპასეც გაერია;

მოლამ ხეშეშ წვერზე ჩამოისვა ხელი და გვერდულად გახედა მოსაუბრეს.
იმანაც აგრძნობინა, რომ აზრს აღარ შეიცვლიდა.

— დამიწერე წერილი, — სთხოვა აიშე ხანუმმა და შორს გაიხედა, — ჩაწერე
რომ მეორე კვირას ამ მხარიდან მივიდვიარ, ემრულა შაბათს ჩამოვიდეს... მეტი
არაფერი.

მოლას წვალეებით გამოჰყავდა ასოები ქაღალდზე.

— ინუს ეფენდი! — წყნარად უთხრა ხანუმმა, — აგი შენი საჩუქარი იყოს და
ამ მიღებაში ქერივ ქალს ნამუსი შემიძახე.

— ჰელბეთ, ჰელბეთ. ეგეც რომ არ იყოს, პირზე კლიტეს დევლებ, — უთხრა
ქალს, პატარა ქისა ხარბად მომჯიდა და ჯიბეში ჩააცურა.

დღე-ღამე იყრებოდა, როცა ეუბოლი აიშე ხანუმის ეზო-კარს მიაღწა. ხანამ

ჭიშკარს მიუახლოვდებოდა, ხესთან ატუზულ კაცს მოჰკრა თვალი. იგი ხეს უკმალოდ მოშორდა და ეუბოლიმ ბინდებუნდში მოლა ინუსა იცნო.

— ხანუმი ავად გახდა. აგი გადმოგცათ წერილის საპასუხოდ. — უთხრა მოსულს და შესვეული ქაღალდი გადასცა.

ეუბოლიმ გამოართვა, მაღლობა გადაუხადა და უკან გაბრუნდა.

სახლისაკენ არც ინუს ეფენდი წასულა. იქვე მიბმულ ცხენს ადვირი ამოსვლო, შეჯდა და გასწია იშხანისაკენ, სადაც სედრამ ანუთინოლი ეგულებოდა.

* * *

ემრულა შორიასლო ელოდებოდა ეუბოლის. როგორც კი ალი მივიდა და შესვეული წერილი აჩვენა, რაზმმა ტყვისაკენ აიღო გეზი. ბიჭები პირველივე კარავში შევიდნენ და კვარის მამხალა აანთეს.

ემრულამ ასლად გამოართვა წერილი, გადახედა და სახე მოექუფრა;

— აიშე ხანუმი ქირდათ გვლებულობს, ბიჭებო! — იქუსა ემრულამ და წერილი ძირს დააგდო.

ყველა ეუბოლის შემოესვია.

— იმ ქალისთვის ისეთი არაფერი შემიმჩნევია. ჩვენი წერილი იქაურმა მოლამ წაიკითხა და აიშე ხანუმისაც იმან გადმოცა. — სცადა ემრულას დაწინარება ეუბოლიმ.

— აიშე ხანუმი დავკცინის! — ხმას ოდნავ დაუდაბლა ემრულამ და ხელები დამუშტა.

ბურანმა ქაღალდი აიღო და მამხალას მიუახლოვდა.

„შენისთანა სალახანასთან მე არაფერი მესაქმება. ბევრი ღლე არ გიწერია; თურქებმა თუ ვერ გიშველეს, რუსები მოგიყვანენ ტყუაზე, შენ ქვეყნის მცარცველი ემრულავ“.

ირემაძემ ქაღალდი ხელში დამუშტა.

— რას აპირებ? — ჰკითხა ემრულას. იგი ხმას არ იღებდა.

— აიშე ხანუმის ქმარი ოლთისის ფაშა იყო. იმდენი ქონება აქვს საწყალო ხალხის ზურგზე ატყავებული, რომ ას ოჯახს ეყოფა. წავიდეთ, გოგოც, ოქროც წაერთვათ და ისე გაეუშვათ მუჰაჯირად. — თქვა მეხეშიმემ.

— გოგო არ იყო სახლში, — ჩაერია ეუბოლი.

— ჯერ გავივით გოგოს ასავალ-დასავალი.

— ოქრო, ფულები? — ახლა ნიაზმა იკითხა.

— ჩვენ ჯერ გოგოს გაყვანაზე ვიფიქროთ, სხვას მერეც მოვასწრებთ, — თქვა ეუბოლი.

— არც გოგო და არც ფული, ეგ საქმე ასლა გადავლოთ. მაგის დრო მოვა. ახლა ჩვენს აწიოკებულ მეზობლებს, მათ დაქცეულ ოჯახებს მივხედოთ, ბიჭებო.

— თქვა აქამდე გაჩუმებულმა ბექსია სოლომონიძემ და ემრულას გადასცა.

მალაყმაძეს ხმა არ დაუძრავს. ადგა. იარაღი შეისწორა და კარავიდან გავიდა.

* * *

ოცდაცხრა ცხენოსანი ჩიქუნეთს უახლოვდებოდა. რაზმს ერთი კაცი აკლდა, ენვერ მახაჭაძე.

შარაგზაზე ორი ცხენოსანი გამოჩნდა. ერთს რუსეთის ასეულის მეთაურის, მეორეს სალდათის ფორმა ეცვა. რაზმი შედგა და მათ დაელოდა.

კოწია ერისთავი და კუზმა ალიოშკინი იყვნენ.

კოწია ცხენიდან გადმოიწია და ისე გადაესვია ემრულას.

— შენთან მოვიღივარ, ემრულავ! — დაასწრო კოწიამ, — ნურიბეგმა გამომგზავნა, მაჭახლის პირზე გიცდის.



— მშვიდობაა? — იკითხა მალაყმაძემ.

— საქმე ცუდადაა, ემრულავ! — მიუგო კოწიამ. — შენ ხომ იცი, აჭარაში და მთავრად ამ ომის დროს ბევრი ხალხი არ დახოცილა. ხომშიაშვილების ჭკუა-გონებათა და რუსეთის სარდლობის გამჭრიახობით სისხლისღვრა უმნიშვნელო იყო. სამაგიეროდ ქობულეთმა დიდი ზარალი ნახა. აქ ორივე მხარის ჯარმაც დიდი ზარალი განიცადა და ბევრი ქობულეთელიც დაიხოცა. ახლა მუჰაჯირობამაც უწყია. აღიფრთხილ და მისმა ავენტებმა ვინც ნებით და მუქარით ვერ დაიმორჩილეს, ძალით ყრიან სახლებიდან. სახევარი ქობულეთი დაცარიელდა.

ემრულა დადუმდა.

— ვის ვებრძოლო, ეს მაინც ხომ უნდა ვიცოდე.

— ჩვენი ახლანდელი მტრები ფულით მოყიდული პირები და ოსმალების მო-გზავნილი ხალხია. ისინი აგულიანებენ აქაურებს, აშინებენ. ძალას სმარობენ.

— ძალა ჩვენც უნდა ვისმართო, — თქვა ემრულამ. — ძალით აყრილი ხალხი ძალითვე უნდა დავაბრუნოთ, სხვა გზა არ არის.

ამ ლაპარაკში რაზმი სოფელში შევიდა. ეს მალაყმიეთია, ფერდობზე შეფენილი ლამაზი სოფელი. ემრულას წინაპრები აქედან გადმოსულან იმერხევში.

სულიერის ჭაჭანება არ ისმის.

დიდი კაკლის ძირში, წყაროსთან შეჩერდნენ მხედრები.

ხის სახლის აივანი, სვეტები მოიწყურთმებულია. ემრულა ჯერ კიბესთან გასწვრივ, სახლს ახედა, მერე გვერდით მდგომ სულოს და ბურანს გადახედა და ნელა აუევა საფეხურებს. ბიჭებიც გაჰყვნენ.

ოთახის კარები ღია დახვდათ. ლოვინი დაგლეჯილია, ავეჯი დაჩეხილი, მთელი სახლი თიხის ქოთნების, ჯამებისა და ხის ჭურჭლის ნატეხებითაა მოფარული. ზეღელში ტომარები სულ ხანჯლებით იყო დაჭრილი, სიძინდი, ლობიო და ბრინჯი ერთმანეთშია არეული. მთელი წლის სარჩო ტალახში დაეხვევაებინათ. ყველაფერი უწყმინდურის ფეხით იყო გათელილი.

ეზოში ნახევრად დამწვარი აკვანი ეგღო, იქვე — ბრტყელი ნაჯახი, სისხლში ამოხსერილი.

უხმოდ მოიარეს უბედური მუჰაჯირის სახლ-კარი, ასევე უხმოდ შესხდნენ ცხენებზე და გზა განაგრძეს.

სოფლის ბოლოს ერთი სახლის აივანზე ქალი ასვეტილიყო. ცხენები დალანდა თუ არა, მთელი ტანით გადმოიხნიქა, თითქოს გადმოხტომას აპირებო. ცხენოსნები რომ მოუახლოვდნენ, კიდევ უფრო გადმოიწია მოაჯირიდან.

— ვინ ხართ თქვენ! — იკივლა ქალმა და პასუხს არ დაელოდა. — რად გინდათ მაი თოფები და ხანჯლები... თქვენც შეგაშინეს, ყურებნამოყრილი რომ მიდიხართ? ნახეთ ჩემი დაქცეული ოჯახი, მოდიოთ, თუ არ შეგრცხვებიან!

ქალი აქეითინდა და იქვე ჩაჯდა.

— მოდიოთ! — შეშლილივით გოდებდა იგი. მერე ბოლმა გადაყლაპა, ისევ წამოიწია, ამოაყოლა: — მე გურჯის ქალი ვარ და თქვენსაგით შეიარაღებულ კაცებს რომ ვხედავ, გეკითხებით, რატომ ვერ იხსენით თქვენი მიწა და ხალხი, რატომ გააოხრებინეთ ურჯულოებს?

რაზმი უხმოდ ისმენს გაკიცხვას.

ქალი არ ცხრება:

— ვოფილიყო ემრულაი და იზამდა საქნელს, მარა ისიც საცხა გადვიკარგა... სიტყვა არავის დასცდენია. დამუხჯებული გაუყვნენ თავიანთ გზას.

ძველ ხიდთან ბერიკაცი ჩამოძვდარიყო.

ახლა კი ჩამოხტა ემრულა და მიესალმა. სხვებიც ჩამოქვეითდნენ.

- რა ხდება, დედო, სოფელში? — შეეკითხა მოსუცს.
ბერიკაცმა ცალი ხელი ყურზე მიიღო და კითხვა შეუბრუნა.
— შენ ვისი ხარ, ვის გეტყვიან?
— მორთულად ვარ, კიბედან. — იცრუა ემრულამ და კითხვა გაუმეორა.
მოსუცი ახლა სხეებს მიაშტერდა. მერე ისევ მალაყმამეს მოუბრუნდა.
— რა გითხრა, რა ვიცი. ყველაფერი მინახავს და გამოგონია, მარა ხალხი
ახე ავდება ჯერ არ ყოფილა. „არ მინდა“, „ვერ წავალ“, არ არის, ვერ იტყვი.
ყველას პირზე აკერია. „წახვიდე-ნა, აქ დეიდუკები“. ამას ამბობს თურქიც, სოჯაც.
მოლაიც. დღეს დილას ხალხი მოყარეს და ჩიქუნეთს ჩადენეს — იქ სოჯამ-ნა
გვიქადაგოსო.
- რომელი სოჯაა? — იკითხა ემრულამ.
— არ ვიცი. დიდი სოჯააო, ცხენიდან ყვიროდა ქიბარაღა.
ემრულამ ბაგე მოიკენიჭა.
— ხომ იცი, ვინაა? არ იცი? რავარ არ იცი. ქიბარაღა ზაფთიების უფროსი,
ხალხს თვითან ქუცავს. ახლა მათი სისხლით რომ ვერ გაძღა, რაც მძარცველები
იყო ამ დღელში, ყველას მოუყარა თავი და ხალხს იქით ოსმალეთში მიდენის
აღიფაშას დუუვალებია და დიდ ჯილდოსაც ელის მისგან.
ამასობაში ნიაზ ვანლიშმა მოაგლო ცხენი.
— ხანუტა მასაჭამის ოჯახს აბდულა-ყაჩაღის ბრბო დასცემა. დედაბულია-
ნად ყველა სახლიდან გამოუყრიათ და სხვა მუჰაჯირებთან ერთად ბათუმშიაკენ
წაუყვანიათ. იქედან გემით აპირებენ ხალხს გასახლებას. ხანუტა მძიმე ავაღ-
მყოფია, ბათუმამდე ვერც ჩააღწევსო.
- ემრულა უკვე ცხენზეა. წამში ყველანი ამხედრდნენ.
სოფლის ბოლოს, ტყეში, ჩამოქვეითდნენ. ცხენები ხეზე მიაბეს გუბოლღო
დარაჯად დატოვეს. დანარჩენები ჯგუფ-ჯგუფად სოფლისაკენ გაემართნენ.
სოფლის შუაგულში ორსართულიანი შენობა დგას, თუ მიუახლოვდები, შე-
ამჩნევთ, რომ კიბის სვეტებიც, დერეფნის მოაჯირებიც, ბალავარიც და კარიბჭეც
სულ ქართული ჩუქურთმებითაა მორთულ-მოპირკეთებული.
- ეს ჩიქუნეთის ჯამეა. რამდენი გონება დაბნელებულია აქ... მაგრამ როგორც
ხელოვნების ნიმუში, შესანიშნავია, ქართველი ხითსუროს ნამუშავევია.
ჯამესთან ხალხს მოეყარა თავი. ჩუმად დგანან, რაღაცის მოლოდინში. რაზე-
ლები ხალხს შეერივნენ, თავი ისე უჭირავთ, როგორც ამ სოფლელებს.
ყაბალახით თავპირახვეული ემრულა ერთგან ასეთ საუბარს იხმენს:
— ვინ უნდა გვიქადაგოს ნეტაი? — ეკითხება ერთი გლეხი მეორეს.
— გამეშვიძე მოუყვანიათ, ჩიქუნარი. ბაღდადიდან მოსვლია თხოვნა, რომ
იკისროს და მთელი აჭარა-შავშეთი გადაიყვანოს ბაღდადში.
— მას რა ხეირი აქვს, ამდენ ხალხს რომ აწიოკებს?
— ბევრ ოქროს შეპირდნენ.
— მაგას ჩვენს ხალხში ისეთი გასავალი აქვს, რომ თუ მართლა უქადაგა-
ერთიანად გადასახლდებიან, კაცი აღარ დარჩება.
- ხალხში რაღაც ჩოჩქილი ატყდა. ყველამ მინარეთს მიაპყრო თვალი. სოჯა
აივანზე გამოვიდა და მოაჯირს ცალი ხელი მოავლო. მინარეთის აივანის კარებში
მალაღი კაცი იდგა.
- ქიბარ-აღა, — თქვა ვიღაცამ, — ხედავ, სად აყუდებულა?
— მართლმორწმუნე მუსულმანებო! — დაიმახა სოჯამ, — ღმერთი ჯერ გვი-
თმენს, ელის, რომ გონს მოვალთ და გავცევებით უწმინდურ მიწას, ხოლო თუ ეს
არ შევასრულეთ, ჩვენთვის ჯენნეთის კარი დაიკეტება.

აქა-იქ ხალხის გმინვა გაისმა.

— წავალთ ჯოჯოხეთში! — ხმას აუმაღლა მქადაგებელმა, — იცით, რაა ჯოჯოხეთი? პირში გველები ჩაგბერებია და ჩვენი წვლებიდან ამოყოფენ თავს, პირიდან ცეცხლს ამოისვრიან.

— ღმერთო, შენ შეგვაბრალე! — ამოიგმინა ხალხმა.

— არსიდან შეველა არ იქნება, თუ დაწყევლილ მიწას არ გავეცვლებით, — გააგრძელა სოჯამ. — იქით წასვლა ძველი ცოდვებისგანაც გაგვათავისუფლებს, მარა რაც გაჭირდება არ უნდა ნახოთ — უსახლობა, შიმშილი, სიტიტყლე, ეს მხარე შინაც უნდა დღეიწყოთ, აქაური არაფერი აღარ უნდა გაინსენოთ — წაწმედლია. აქ მოსვლაზე აღარ უნდა იფიქროთ, იქ უნდა მოკვდეთ და წმინდა მიწაში დაიძარხოთ.

მოაჯირს ქიბარ-ალა მოადგა.

— ხალხო! — ბოხი ხმით დაიძახა მან, — აქ ჩამოიფვანეს აჭარის მუფთიც. ამობრძანდეს აქ და იქადაგოს!

ყველა იქეთ-აქეთ იტყირება. მუფთი არ ჩანს.

— მაქ ამოსვლა ხასან ეფენდიმ არ ისურვა, — დაიძახა ვილაცამ — აქედან იქადაგებს!

— ხასან ეფენდი ვინაა? — ეკითხება ემრულა ირემამძეს.

— ხაღორეთელია, სურმანიძე, მაგანაც თუ ასე იქადაგა, მივალ და წვლებს ვადმოვაყრევინებ!

— ქიბარდას ჩამოყვანილი სოჯა აბა რას იქადაგებს. — თქვა გვერდით მღვდომმა შავჩოხიანმა.

ემრულამ მას თვალი აარიდა.

— ნუთუ ესეც ვასწირავს ხალხს? — შეეკითხა ემრულას ბურანი.

— ისე აირ-დაირია ყველაფერი, არავინ იცის, რა მოხდება, ისე სოჯა სოჯაა, სახვიროს არც მაგისგან უნდა ველოდეთ.

— არა, ემრულ მე მგონია მაგი ხალხს წასვლას არ ურჩევს — ამბობს კოწია.

— რატომ?

— მაღებული კაცია. ხიმშიაშვილებს თბილისშიც ასლდა მუხრან-ბატონის სასახლეში. — დაიძახა ერისთავმა.

ამასობაში ღობეზე ორი ძელი გაბოგეს და ზედ კაცი წამოიმართა, პატარა ტანისა, თეთრი კამკამა წვერი და მალალი შუბლი აქვს.

ხასან ეფენდის პირველივე სიტყვებზე ხალხი ამობრძალდა, ანურხულდა, მოულოდნელობამ მოიცვა.

— მუჰაჯირად მიგიღვართო, რომ ამბობთ, როგორ უნდა წახვიდეთ? — მშვიდად ამბობდა სურმანიძე, — იცით, რა ძნელი რამ არის მუჰაჯირობა?

ქიბარალა მოაჯირთან აღარ ჩანდა. ის მინარეთიდან ჩამოსულიყო, ხალხს მარღვევდა და მქადაგებლისაგან მიიწეოდა. უცებ ხასან ეფენდის უკან აბდულა ყაჩალი წამოიმართა, სოჯას ხელი წააგლო და მთელი ძალით მოქაჩა, საცა იყო, ფიცრებიდან გადაადგებდა, მაგრამ ამ დროს ირემამძემ რაღაც დაჰკრა მკლავზე, ხელი გააშვებინა და ბიჭობის დახმარებით ავერღზე გაათრია.

ხასან ეფენდისაგან ქიბარ ათამაჯ წაიწია, მაგრამ მისგან ზურგით მღვდომი გაბალახიანი მკვეთრად შემობრუნდა. ქიბარალა მონუსხულივით შედგა, სახე შეეცვალა, მის ჭროლა თვალებს ემრულას ბრიალა თვალები გაუსწორდა.

დიდხანს ასე იღგნენ მამა-შვილი, შემდეგ ერთმანეთს სახე მოარიდეს.

მქადაგებელი კი სიტყვას აგრძელებდა.

— რომ ამბობთ, მიწა წაბილწულია და ვერ ცხონდებითო, — მიწა ყველგან

მიწა. მიწა ღმერთმა გააჩინა და მისია. ჩვენ არც ფადიშახი გვაცნობებს და არც მიწა. კაცი ცხონდება მხოლოდ სიკეთით, კარგი საქმით. ვინც ავი კაცია, იმას არაფერი არ აცხონებს, გინდა მექას და მედინას წავიდეს... გირჩევთ, მუჰაჯირობა დაეწიოს ამოივლოთ და სასლებში ცოლ-შვილიანად დაბრუნდეთ.

სახან ეფენდიმ თავისი სიტყვა დაასრულა და სწრაფად ჩამოსტა ძირს.

— სწორია! — იყვირა ვიღაცამ.

— არ გვინდა მუჰაჯირობა! — გამოვხმაურა მეორე.

— დაბრუნდეთ სასლებში! — ერთხმად გაიხმა სხვა მხარეს.

ძელებზე მალაყმაძე ახტა.

— ძმებო! მთელი აჭარა ისე ვააბრიყვებს, ბათუმში წაახსეს, ახლა გემებში ძალით ყრიან და მშვიერ-ტიტველ ხალხს წივილ-კივილით ოსმალეთში აგზავნიან.

— წავიდეთ, მივესმართო!

— წავიდეთ, — გუგუნებს ხალხი.

— ყველას რა ვინდათ, — დაიძახა კოწია ერისთავმა, — უმჯობესია, ისინი წამოვიდნენ, ვისაც ძალა ერჩის და შეიარაღებულია.

რამდენიმე წუთში მეჩეთის ეზო დაცარიელდა.

ემრულას რაზმიც გაორმაგდა და ბათუმისაკენ გაემართა.

* * *

ნური ხიმშიაშვილი მაჭახლისპირზე, ახმედ ხალვაშის კანცელარიაში დახვდა ემრულას, ზეზეურად მოიკითხეს ერთმანეთი და გზა გააგრძელეს.

მირვეთს გამოღმა, მოსახვევში, ხალხს მოჰკრეს თვალი. რაღაც ჯალამბრის მსგავსი გაეღო მხარზე და მიჰქონდათ. ახლოს მივიდნენ და ჯალამბრის შინა საცეცხურზე მხარშედგმული ენვერი იცნეს. სახელდახელო საკაცით მამას მოასვენებდა. სახუტას ადლიამდე ჩაედწია ცოცხალს, იქ დაეღია სული. რაზმს განრიდებული ენვერი ჯერ სახლში ჩასულა, რომ არავინ დახედრიო, მუჰაჯირებს კვალდაკვალ დასდევნებია და დასწევია. მამა ცოცხალი უნახავს... ჯალამბარს უკან მოაყვებოდა მტირალი ჯავაირა და მიხი სამი შვილი.

— უცეცხლოდ რომ დამწვი, ვინ გამამთილებს... უწყლოდ რომ დამხსრჩე, ვინ გამაცოცხლებს? ჯერ რა იციან შენმა ბაღნებმა, ვინ დაკარქეს, მეძრე მისდებოდა... მისდებოდა, აბა, რას იზამენ. პაწაწა ხელებით რომ დეიწვოვენ ღობის ღობვას, შეშის დამზადებას, ხარის შებმას, ყანის მოხნას და გათოხნას, მაშინ მისდებოდა რა მამა ვეყავიდაო. უფროს ბიჭს რომ ყავხარ ფხარზე შამოდებული, იმ ფხარით უნდა არჩინოს ახლა შენი დაქცეული ოჯახი, პაწა დ-ძმები... აბა სხვა ვინ შეიძლება შენს საყვარელ სახლ-კარს. რაფერ გიყვარდა და რაფერ მიატოვე ცოლ-შვილი, შენ საწყალობელო... რაფერ მომჭარი მარჯვენაი ხელი, შენ უბედურო... — ვოდებდა გულდამწვარი ქალი.

ეს ოჯახის ერთგული ქალის ჩუმი მოთქმაც, ობლად დარჩენილ შვილებზე რჩევა-დარიგებების მიცემაც იყო. ქალი გლოვობდა საყვარელ ქმარს, მაგრამ არ ტეფებოდა, მომავლის იმედს შვილებს ამ მწარე ფამსაც უნერგავდა. მგლოვიარენი არ გაჩერებულან, ისე გააგრძელეს გზა. ემრულა ენვერთან მივიდა, მხარზე ხელი მოჰკიდა, ჯალამბარი ბეჭზე შემოიღო და ენვერი გაათავისუფლა. მოვიდნენ ბექშია სოლომონიძე, სულ მესემიძე, კოწია ერისთავი, კუშმა ალიოშკინი... იმათაც შეცვალეს დადლილა კაცები. სინდიეთამდე არ შეჩერებულან, იქ ბრტყელ ქვაზე დაასვენეს ცხედარი და ჩამოსხდნენ.

ემრულა არ დამჯდარა, ენვერთან მივიდა და რაღაც უთხრა. ისინი ბილიკს გაუყვნენ. დიდ მუხასთან ემრულა შეჩერდა. ერთხანს შესცქეროდა ენვერს, რომელსაც თავი დაეხარა და უაზროდ ფეხის წვერით ჩიჩქნიდა მიწას.

— ჩემთან მხარში ამომდგომი პირველი ამხანაგი შენ ხარ, ენვერ, და ჩვენს შორის წყენა ასე იოლათ არ გეიმართება. თუ რაზე გაცხინე, მაპატიე იმ ცნობილ ბულ მაძის სულს გაფიცე.

ენვერი ღუძღა.

— ერთი ძმა მყავდა. ის აღარ მყავს და დღეიდან ჩემი ძმა შენ იქნები.

ემრულამ ხანჯალი ამოიღო და მარცხენა ცერზე დაისვა.

ახლადა ასწია თავი ენვერმა, ემრულას სისხლიან ხელს და შიშველ ხანჯალს რომ მოჰკრა თვალი, თითქოს გამოცოცხლდეთ, მისივე იმრო ხანჯალი, ხელი გაიხიხლიანა და ემრულას სისხლიან ხელს შეუერთა. ერთხანს ასე იყვნენ. შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ, ხის ფოთლებით ხელები გაიწმინდეს და მგლოვიარათ შეუერთდნენ.

— მე და სულო ამას გავეცებით სოფლამდე. — უთხრა ემრულას სოლომონიძემ.

ჯალამბარს წინ ბექსია და სულო შეუდგნენ, ემრულა, კოწია და კუზმა მაჭახლისპირისაკენ დაბრუნდნენ და რამდენიმე ხანში რაზმელებს წამოეწივნენ.

მხედრებმა ქვემო ხერთვისის ბოლოს მოაღწიეს თუ არა, გაღმა, აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ხალხის ქარავანს მოჰკრეს თვალი. თავი და ბოლო არ უჩანდა ადამიანთა უწყესრიგო მწყრივს.

— მუჰაჯირები! — დაიძახა ვიღაცამ.

ცხენოსნები შეჩერდნენ. ნური ხიმშიაშვილმა თვალებზე ხელი მოიხრდილა და წყალგაღმა გახედა. მერე ემრულას მიუბრუნდა:

— ვიჩქაროთ, ვისაც მივეუსწრებთ, უკან დავაბრუნოთ.

ცხენებს მათრახები გადაჰკრეს და მდინარე აჭარისწყალში შეაგდეს. აქედან უფრო მალე გადაუჭრიათ გზას მუჰაჯირებს.

რამდენიმე წუთში გზაზე იყვნენ. საცოდავი სურათი გადაეშალათ თვალით. ზოგი ფეხით, ზოგი ბორბლებმობრეცილი ურმით კეცავდა გზას, დაღლილობისა და შიმშილისაგან დაოხებულნი, ტანსაცმელშემოხეულნი და ქალამწებდაცეითილნი. ზოგიც ფეხშიშველნი. რაც ხელში მოჰყვათ ყველაფერი შეუკრავთ და ზურგზე მოუვლიათ. ქალებს ბავშვები აუხუტებიათ, მოზუცები და ავადმყოფები, ძლივს მძლავრად მოლასლასებენ. ბავშვების ტირილი, მოზრდილთა კვნესა და გოდება ერთმანეთშია არეული.

ხანდახან ხალხის ქარავანს ცხენოსნებიც ჩამოუვლიდნენ, მაგრამ ესენი უფრო მძიმეებლებს გვანდნენ, ვიდრე მუჰაჯირებს ან მათს შემწეთ.

ხიმშიაშვილი და ემრულა თავისი რაზმით ქარავანს წინ მოექცნენ და შეჯეგუფდნენ. ხალხის დინება შეჩერდა.

ხიმშიაშვილმა ხელი ასწია.

— ხალხო! — დაიწყო მან. — მე ოსმალბობის დროს შავშეთის მმართველს ვიყავი. ახლა რუსეთის მთავრობამ ბათუმის ოლქის მილიციის უფროსად დამნიშნა. ორივე მთავრობას და მათ კანონებს კარგად ვიცნობ. მომიწმინეთ და შემდეგ თქვენ განსაჯეთ. იქ, სადაც წასვლას აპირებთ, იცით, რა დაგხვდებათ? არაფერი უწყლო და უსიცოცხლო მინდორი. იქ თქვენ უნდა აიშენოთ სახლ-კარი, გააშენოთ ბაღ-ბოსტნები, ყანა-ჭაღა. როდის ააწყობთ ისე ცხოვრებას, რომ საკუთარი ცოლ-შვილი არჩინოთ?.. ამოირჩიეთ, რაც გსურთ — ან მუჰაჯირად წასვლა და ვაზზე სიკვდილი, აი ისე, ხახუტა მასაჰადე რომ ამოასვენეს ახლა კახაბრიდან, ანდა საკუთარ ოჯახში დარჩენა და წყნარი ცხოვრება. ვიმეორებთ, რუსნი თქვენ არაა გერიანი!

თვითონ რუსის ხელმწიფე რას გვიბრძანებს? — იკითხა ვიღაცამ.

— Что он сказал — მიუბრუნდა აღიოშიანი კოწიას.

კოწიამ უთარგმნა და კუხმამ მოჭრით წარმოთქვა:



— Я не сомневаюсь, что ни народ Руси, ни солдаты Гурджистана и его народа руку не подымут!

— ნურბეგ, — დაიძახა საიდანღაც მოსულმა ერთმა ცხენოსანმა, — ხალხს გემზე აგვიანდება, გავევივო, ხელს ნუ გვიშლი.

— ხალხი არსად არ წამოვა, — უთხრა ემრულამ. — თუ ახლავე უკან არ გაბრუნდებით, ამ ხალხის ფეხლა წამქეზებელსა და დამღუპველს ახლავე შეგკრავთ და სამართალსაც გაგინჩნთ!

ხალხში ჯერ ჩუმი ლაპარაკი ატვდა, რაც ხაერთო ყაფანში გადაიზარდა. ვერ გადაეწვიტათ რა ექნათ, თუმცა ნურბეგ სიმშაიშვილის სიტყვამ ბევრს საკუთარ სულში ჩაახელა, ოჯახი გაახსენა და მუჰაჯირთა ბედკრული ცხოვრებაც წარმოუჩინა.

მაინც ორჭოფობდნენ...

კლდის ქიმს მივრდნობილი მოხუცი, ზეზეურად რომ ისვენებდა და ისე უსმენდა სიმშაიშვილს, წინ წამოღდა:

— მეზობლებო! ასეთ გასაჭირში აჭარა ჯერ არ ყოფილა. თქვენთან ერთად წამოვედი, აბა რა მექნა, ამ ხნის კაცი მარტუბი რომ არ დავრჩებოდი? ხელს სანამდე ჩავიტან, ღმერთმა იცის, მოგვევებით, მარა თავს რომ ძალით ვიღუპავთ, რომ ხედავთ? ვინც მოკვდება, მოიხვეწებს, ვინც დარჩება იმან, როგორც ერჩიოს, ისე მოიქცეს: უნდა დარჩეს და უნდა წავიდეს. ღუუჯეროთ ნურბეგს, ამხელა კაცი ტყვედ რაზე გვეტყვის.

ხალხს უკვე ხეერა, მაგრამ უკან მობრუნებას ვერავინ ბედავს. ემრულა ცხენიდან ჩამოხტა და პირველი ურემი ხარებიანად თვითონ მოაბრუნა. მას სხვა რაზმელებმაც მიბაძეს. ხალხმა ნელ-ნელა იბრუნა პირი და ახლა ქარავანი აჭარის სეობას შეუფეა.

ცხენოსნები, ქარავანს რომ ახლდნენ, ახლა ხიდზე გახულან და ქოროხის ნაპირ-ნაპირ მიაჭენებენ.

— ბათუმში ხალხის ნაწილმა ჩაგვასწრო. — უთხრა ემრულას სიმშაიშვილმა, — ჩვენ იქ მაინც უნდა ჩავიდეთ და თუ მივუსწარიოთ, ისინიც უკან გამოვადრწოთ.

— ხალხი უნდა მივიდეთ? — იკითხა ემრულამ.

— პირდაპირ ნავსაყუდელში, გემზე.

ემრულა წამით ჩაფიქრდა.

— თქვენ წადით, — უთხრა სიმშაიშვილს, — მაჭახლელებიც გამოგვევითან. ჩვენ სხვა გზით ჩამოვალთ.

— რა გზით? — იკითხა ნურბეგმა, — გზა ერთია.

— ჩვენ ჩამოვალთ, — გაიმეორა ემრულამ — შეიძლება, კიდევ ჩაგასწროთ ბათუმში.

სიმშაიშვილი აღარ ჩაეძია, იცოდა, რომ მაღაყმაძე მუჰაჯირთა გამოხსნის ცუდ გზას არ აირჩევდა. ცხენი მოაბრუნა და მაჭახლელებთან ერთად ბათუმისაკენ გაემართა.

ემრულამ თავისი რაზმით მდინარე გადალახა და მირვეთელ მენაქეებს მიაღება.

* * *

შუადღეა. ჩქამიც კი არ ისმის არსაიდან. მგუდროებას ხანდახან ღამის ფრთხილები თუ დაარღვევენ. შუაზაფხულის სვატი ღამეც საგრძნობია და ხანდახან კალერიც აჭრიჭინდებიან.

აიშე ხანუშის თეთრი შენობა უმთვარო ღამეშიც ჩანს. სახლს სამი ლანდი უახლოვდება. ჭიშკარს გვერდი აუარეს, სახლს უკნიდან მოექცნენ და შეჩერდნენ.

მათი ხმა არ ისმის, მაგრამ ეტყობა, რაღაცაზე ბჭობენ. ერთმა მათგანმა თოფი ჩამოიხსნა, თანმხლებს გადასცა, აკალთული თოკი გამოართვა, წელზე ჩამოიკიდა, ღობეს მოეწვლო და გადასტა. სადღაც ახლოს ძაღლმა დაიყეფა. ლანდი სასლის კედელს მიეკრა, სხვები ღობესთან ჩაწვნენ.

ძაღლი აღარ ყეფს. ლანდი შენობის კუთხესთან გადავიდა, თან ხელით სინჯავს კედელს. შემდეგ ისევ ღობესთან მივიდა. მხლებლებს რაღაც უთხრა და პირველი სართულის ღია ფანჯარაზე მიუთითა. ღობეს მეორე ლანდიც გადაეწვლო. ბევრი აღარ უფიქრიათ, პირველი ბეჭეზე შეასტა მხლებელს, მცირე კამარა შეკრა, ფანჯრის რაფას ხელი მოაწვლო და ოთახში გადასწიალდა.

ორიოდე წუთიც არ გასულა და რაღაც შეხვეული გადმოეშვა ფანჯრიდან. ახლა შესამეც გადასტა ღობიდან. მათ შეხვეულს ხელი ჰკიდეს, ამასობაში ფანჯრიდან ლანდიც გადმოხტა, ყველანი ღობეზე გადაცვივდნენ და საჩქაროდ იქურობას გაშორდნენ.

თითქოს იმათ წასვლას ელოდნენო, ჭიშკართან სუთმა მხედარმა მოაგლო ცხენი. ერთი მათგანი ცხენიდან ჩამოხტა, კიბეებზე ავიდა და პირველი სართულის კარებზე დააკაკუნა.

— რომელი ხარ? — გაისმა მამაკაცის ხმა.

— აიშე ხანუმი სახლში ბრძანდება? — იკითხა მოსულმა.

— ჯერ მითხარი, რომელი ხარ! — გაიმეორა ოთახში მყოფმა.

ამასობაში დანარჩენი მხედრებიც ამოვიდნენ კიბეზე.

— მე ემრულამ გამომგზავნა, — ხმას დაუწია მოსულმა, — ხანუმიდან სურს შეხვედრა.

მასპინძელი ხმას არ იღებს. მისი ფეხის ხმა ისმის, კარებს რომ მოშორდა და სადღაც გაქრა. ცოტა ხანში ურდულმა გაიჩხაკუნა. ყველანი კარებს მიაწყდნენ. როგორც კი კარი გაიღო, პირველი მათგანი ხანუმის მსახურს ეცა და გულზე დამბაჩის ლულა მიაბჯინა.

— კრინტი არ დახმრა! — უბრძანა და კედლის კუთხეში მიაშწყვდია.

სხვები ოთახებში შეცვივდნენ. კარადები, საწოლები, ყუთები და სკივრები სჯულ პირქვე დაამხეს და მთელი ქონება ოთახებში დაახვავეს. ერთი დიდი სკივრიდან პატარა ჩაქეტილი სკივრი ამოიღეს, ხანჯლებით გაამტვრიეს და ოქროს ფულები გადმოყარეს. შემდეგ ფული პატარა ტომარაში ჩაყარეს, ნივთებიდან რაც მოეწონათ, ტომარებში ჩატენეს და გარეთ გაზიდეს.

— სადაა ხანუმი? — ახლა იკითხა ერთმა.

— სახლშია. — უპასუხა მსახურმა.

ორივე სართულის ოთახები მოიარეს, მაგრამ აიშე ხანუმი ვეღარ ნახეს.

— გადაეცი ხანუმს, — უბრძანა ერთმა მმარცველმა, — რომ ემრულა დაცივას არავის აპატიებს! — თქვა და გარეთ გაეშარდა.

მსახური ხანუმს ეძებდა ოთახიდან ოთახში, მაგრამ არც ხანუმი და არც ვლევანა. ბოლოს სამზარეულო ოთახში ჭურჭლის კარადის უკან მიაგნო ელდანაცემ აიშე ხანუმს.

როგორც კი იგრძნო ქალმა, სტუმრები მსახურს ემუქრებიანო, ეტყობა მას შინე უშველა თავს და ამ ადგილს შეეფარა.

მსახურმა კარადა ოდნავ მისწია და აიშე ხანუმიც გამოვიდა.

— ყაჩაღი მაინც ყაჩაღია. არ შეგარჩენ, ემრულავ, ჩემს ასე ფეხქვეშ გათელვას! — თქვა და ტუნები მოიკვინტა.

ვლევანას ოთახში ყველაფერი ხელუხლებელი იყო, მისი ტანსაცმელიც საწოლთან ეწყო, მაგრამ გოგოს კვალს ვერ მიაგნეს.

ერეკლე

1.

მეფე იყო ნაომარი,
ნაცადი და გამოცდილი...
ახლაც მისი თაყვანი ვარ,
აგერ, საწოცს გამოცვილდი.

მტრებს ერთხელც არ დაუხარა
ხმალი მადლა აწეული,
ო, რამდენი ხიფათიდან
იყო ის თავდაღწეული.

ხან ეომა ყაჩაღ ლეკებს,
სულის მოთქმა არ აცალა,
ლეკთა ბელადს, კოხტას, მეფემ
თავი ხვალთ წააცალა.

ხან პირისპირ შეეჯახა
იმ თავგასულ ხანთა ურდოს,
არც დაინდო შინაური,
ვინც ქვეყნისთვის იყო უნდო.

2.

აჭარისა თავკაცს, მამაცს
უთქვამს სელიმ ზიმშიაშვილს:
— ერეკლეო, მეც მხარს მოგცემ
ჩაფუღებები შენს მტრებს გზაში,
ერეკლეო, გულსაც მოგცემ,
გყავდე მუდამ სათვალავში!

აჭარისა თავკაცს უთქვამს:
— არც შაჰი მსურს, არც სულთანი,
შენ ხარ ჩვენი ხელმწიფე და
ხმაც გაქვს ქვეყნად საკუთარი,
მეც მიგულე შენს მხარდამხარ,
მე შაჰიც მძულს და სულთანიც!

მეფეს ჩეტად გაეხარდა,
არც თქვა სიტყვა შევოვნებით:
— ყოჩაღ, სელიმ! საიმედოდ
ჭირში, ლხინში მეყოლები!

3.

...და სელიმი ქართლის მეფეს
მუხასავით მხარში ედგა,
ჩაგრამ კი ქართლს, სათაყვანოს,
გაუღიმა განა ბედმა?

გული მტკივა, სული მტკივა,
რომ ვივონებ, ძმაო, კრწანისს,
შაჰმა, ალა-მაჰმად-ხანმა,
ქართლის მინდვრებს, მოსილს
მწევანით,

სისხლის ტბორი ჩაულვარა,
ამოშხამა ყველგან წყალი.

გადაბუგა თბილისი და
ძარცვით გული მოსჯერა,
ბთებში შევლიც უცოდველი,
თუ გადარჩა, არა მჯერა...

სულთნის ჯარი იმერეთში
შიშის ზარებს რეკდა, რეკდა,
ზარნაცემი გლეხკაცობა
საბუდრიდან აირეკა.
აქეთ შაჰი, იქით ხანი,
იქ სულთანი, აქ ლეკები...
როგორ გასძელ ერის სულო,
ვით დაიცავ შენი კერპი?!

სისხლი ჩვენი დაიშრიტა,
აკვნები არ ირწეოდა,

კოცონები, ცეცხლის ალი
ცისკენ, ცისკენ იწეოდა.
სულს ჰკორტნიდნენ, გულს
ჰკორტნიდნენ

მოღალატე თავადებიც,
და მეფის გულს აღტყინებულს
ხმა აღმოხდა თავად ნებით:
— მე, ერეკლე მეფე, ვაზბოზ,
და ძმანო, ნურც გაიოცებთ,
ირგვლივ მტრები მოგვესია,
დღე-დღე სპობენ ჩვენს
სიცოცხლეს,
თუ რუსეთი გვეყოლება
თან მფარველად, თან მეგობრად,

მტრები ვერას დაგვაკლებენ,
მოვსპობთ შინაც ვერაგობას!

4.

— იეოს, ანინ! შენი გვეჯერა! —
ჰქუხდა ქართველ გმირთა ხმები...
და რუსეთმა გაუწოდა
საქართველოს ძმობის ხელი...
და ზემის მქუხარება
ედებოდა ქართლის მთა-ბარს...
მორჩა ქართველთ მწუხარება...
და აქ შევწყვეტ ჩეც ამ ამბავს.



მამად გაეფიცა...

გეორგიევსკი...

შორი გზები გამოუვლია.

გეორგიევსკი...

ქართლის ბედზე ხალხის

წუხილი...

ღვას გარსევანი,

საქართველოს შავ-ბნელი სვედრის

გამოძახილი

ესმის, როგორც ჭექა-ქუხილი.

გმინავს ვაჟაკი,

ქართლის ჭირი ისე მწარეა.

და ტანჯვის გზასაც

თითქოს არსად არ უჩანს ბოლო...

იმ დღეთა ხილვა

საოცრების ერთი წამია,

და გახსენებაც

საოცრების წამია მხოლოდ.

როდი ყოფილა

უიმედო ფიქრი რჩეულის,

ამაღ როდი

გაუთელავს შორი მანძილი:

რომ ქართლის ბედი

ერეკლემან სიბრძნით ჩვეულებით,

გარდაიწყვიტა,

ქართლს მშვიდობა ერგოს

ხანგრძლივი!

გეორგიევსკი...

ეს ამბავი თითქოს წამია...

შორეულ ლაჟვარდს

სივყარულის თვალით გავხედავ,

ო, ეს თარიღი...

გამბობ, განა გული წყნარია?!

ჩას გადარჩენა

და სიკეთე ჰქვია სახელად,

შორს მწვერვალებზე

არწივებმა გაიტყლაშუნეს,

ქართლის არწივნიც

ძიებალენ გუნდად და გუნდად,

დიდება მარად

ხანატრელს და იმ ჟამს

სასურველს,

ახლა ოცნება,

რაც ოდითგან ქართველ ხალხს

სურდა.

გეორგიევსკი...

სამეგობროდ დაწერილ

ტრაქტატს,

ჰა, რუსი ხალხი

იხუტებს და ქართლი იხუტებს,

ჩემო მაწულო,

აწ სულთანს ხმალს ველარ

დაგკრავს.

შაჰი ვერაგი

და თავნება აწ ვერ გიმუხთლებს!"

ეს ვისი ხმაა? —

ერეკლეს თუ მთის ძახილია?!

ქედს კავკასიის

ნისლები სულ გადაეცრიცა.

გეორგიევსკი

ხალხთა ძმობის დიდი ხილია,

რუსი ქართველს და

ქართველი რუსს ძმად გაეფიცა.

სარგები ესენინი

პირველი თოვლი

სიწყნარეა, მხოლოდ ნალი
წკრიალებს და თოვლსა ფანტავს.
ველზე ყვავებს ვკიდე თვალი,
ყური მოკარ იმათ ყრანტალს.
სიზმარ-ცხადში თვალეbs

ლულავს,

აჯადოებს ტყეს ზღაპარი.
ფიჭვი წელში მოკაკულა,
ხურავს თეთრი თავსაფარი,
ჯოხის კაკვსაც ჩაფრენია,
თავს იმაგრებს დედაბრულად.
კენწეროზე აფრენილი,
აკაკუნებს ხეკაკუნა.
გაშლილ ველზე მიქრის ლურჯა.
ქარი თოვლის ბამბას პენტავს.
დასასრული გზას არ უჩანს
და სივრცეში მირბის ლენტად.

მოსუცი ყანადის სიმღერა

ჩაქრა უკვე სიჭაბუკე,
დამელარა პირი.
აღარ მომდევს სიჩაუქე,
რა მაკლია ტირილს!
ხუთს ვაწვენიდ ერთანეთზე
ერთ ღროს ჩემი კეტით.
ავწუწუნდი ახლა ბელზე,
რალა დარჩა მეტი.
რიჟრაჟიდან დაისამდე
ღრო გაჩქონდა მღერით.
დღეს კი დარდი გულზე მადევს
შავი, ბინდისფერი.
გულმაგარი ვიყავ წინათ .
ახლა არვის ეპარცვავ.
ღრომ იმგვარად დამაკინა,
უქვენაც ხედავო, რაც ვარ.

●

კარგი იყო ტანიუშა, სოფლის თვალი იყო მართლაც.
ალისფერი ფურფუშები უმშვენებდა კაბის კალთას.
ლამდაობით გაპარული მიდიოდა ზრამთან თურმე.
მთვარე ბურუსს მიაპობდა, თამაშობდა ღრუბელ-ღრუბელ.
თმახუჭუჭა ბიჭი დახვდა, მიესალმა თავდახრითა:
„გეთხოვები, სანუკვარო! ქორწილი მაქვს, სხვა ქალს ვირთავ“.
გოგოს ფერი დაეკარგა, შუბლი ცივად დაეცვარა.
ნაწნავები გაეშალა მახრჩობელა გველის დარად.
„ცისფერთვალა ჩემო ბიჭო, არ გეტკინოს შენაც გული,

მოვედი, რომ გავიზილო, მეც სხვას ვყავარ დანიშნული“. არ გეგონოთ ცისკრის ზარი — მაყრიონის ისმის ხმები, ფორნებს მოაგრიანებენ, პირს ზალავენ ცხენოსნები. გუგულები კი არ კვნესენ — ნათესავნი ცრემლსა ღვრიან — ტატიანა მძიმე კისტენს საფეთქელში დაუჭრია. შუბლს წითელი გვირგვინით დამჩნევია სისხლის კვალი, კარგი იყო ტანიუშა, მართლაც იყო სოფლის თვალი.

პუშკინს

იმ მძლავრი ნიჭის შემნატრე დავრჩი,
რუსეთას ბედი რომელიც გახდა.
მე ვდგავარ ახლა ტვერის ბულვარში,
ჩუქად ვსაუბრობ საკუთარ თავთან.
ხუჭუჭა თმები — მზის ბურბუშელა.
ლეგენდის ნისლი შემოიკარი,
დაუდეგარი იყავი შენაც,
როგორაც მე ჯერ დღეს ხულიგანი.
იმ ცუდლუტობით როდი მცირდები.
ამისთვის შენზე ვინა თქვას ავი
და ბრინჯაოთი ნაჭედ დიდებით
შემართული გაქვს ამაყად თავი.
დასამალავი ჯერა მაქვს, აბა,
ვით აღსარებას ალაღად გეტყვი:
ბედნიერება მომკლავდა ალბათ,
რომ მღირსებოდა ასეთი ბედი.
დევნას გაფუძლებ, არც შვებას ვეძებ,
მთელ ჩემს სიცოცხლეს სიმღერებს მივცემ,
ოღონდ ჰანგები, ნათქვამი ველზე,
აწკრიალებულ ბრინჯაოდ იქცეს.

თარგმნა გიორგი სალუშვაძემ.



გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული გნიშვნელობა

გეორგიევსკის ტრაქტატმა, რომლის 200 წლისთავსაც დიდი ზემოთ აღვნიშნავთ, უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. 1783 წლის აქტით საქართველომ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა რუსეთს, რითაც საბოლოოდ გაარღვია მტრული გარემოცვა (ფიზიკური განადგურებით რომ ემუქრებოდა), დაძლია ბატონყმური ჩიხი (სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის პირობებს რომ უზშობდა) და უზრუნველყო თავისი განვითარება პროგრესის გზით.

გეორგიევსკის ტრაქტატი ამავე დროს იყო ქართველი და რუსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გამოხატულებაც და ლოგიკური დაგვირგვინებაც. ორი ხალხის კონტაქტები ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიური იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში. მართალია, ეს ურთიერთობა მისი არსებობის მთელ მანძილზე არ იყო ერთგვაროვანი, ყოველთვის არც აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი ხელს უწყობდა ორივე ხალხის დაახლოებას, ინტერესებისა და მიზნების გაერთიანებას-შესწავლას; რამაც ბუნებრივია, თავისი წვლილი შეიტანა აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებაში.

საერთოდ, ტრაქტატი მოამზადა გვიანფეოდალურ ხანაში საქართველოს ისტორიულმა ავებელობამ. სამეფო-სამთავროებამ დაშლილი და აზიელ დამპყრობლებთან ბოლომოდებელ უთანასწორო ბრძოლებში დასუსტებული ქვეყანა XVIII საუკუნეში ეროვნული კატასტროფის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში პროგრესისტების წინაშე მწვავედ დაისვა საგარეო ორიენტაციის საკითხი, რადგან გამოსნა-აღდგომის (ქვეყნის დაშლაობის ლიკვიდაცია და აღრინდელი ძლიერების აღდგენა, დეკავშირებული ტერიტორიების დაბრუნება და საქართველოს მეთაურობით ამიერკავკასიის გაერთიანება) დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა ძლიერ მოკავშირესა და საიმედო მეზარეულს მოითხოვდა. ამიტომ ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ (1744-1798) არჩევანი რუსეთზე შეაჩერა.

ამ გადაწყვეტილების უპირველესი საფუძველი იყო მეფის თავდაუზოგავი საქმიანობა ქვეყნის „ვერობული“ (ბურჟუაზიული) გარდაქმნისათვის, რადგან მხოლოდ ამას შეეძლო მისი გამოყვანა ხანმოთევლი ბატონყმური ჩიხიდან და პროგრესის გზით განვითარება. „ლონისძიებანი სამხედრო იუ სამოქალაქო ასპარეზზე, რეფორმები სხეულმწიფო თუ კერძო სამართლის საქმეში, ახალი წამოწყებანი ეკონომიკასა თუ კულტურის დარგში, — თანხმობით მოწმობდნენ, რომ მზადდებოდა პირობები ახალი საქართველოს წარმოქმნისათვის, რომ თავადურ-ბატონყმური სისტემა პომეშიკურ-ბატონყმური სისტემით უნდა შეცვლილიყო, რომ ქვეყანა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე უნდა დამდგარიყო“.¹ ცხადია, გამკრიანი ერეკლე ხედავდა, რომ „ვერობული“ საქართველოს შექმნაში მას დაეხმარებოდა არა თავად ჩამორჩენილი ირანი ან ოსმალეთი, არამედ მხოლოდ რუსეთი. ეს იმიტომ, რომ რუსეთიც მაშინ სწორედ ამ გზით, ბურჟუაზიული ურთიერთობის გზით ვითარდებოდა. ამიტომ იყო იგი პროგრესული სახელმწიფო, რომელსაც ერთადერთს შეეძლო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან საქართველოს გამოყვანა.

საერთოდ, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

საქმარისია ითქვას, რომ რუს-ქართველთა პირველი შეხვედრები VIII-X საუკუნეებში განეკუთვნება. XVI საუკუნიდან ამ ურთიერთობას ახალი შინაარსი მიეცა ქართველი პოლიტიკოსები რუსეთს მიიხრევიდნენ მოკავშირედ და სიმძლავრედ მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვანაირად არც შეიძლებოდა — ქრისტიანული რუსეთი იყო ის ერთადერთი ძალა, რომლის პოლიტიკური მისწრაფებები ამიერკავკასიაში არ უპირისპირდებოდა გამოსნა-აღდგომისათვის მებრძოლ ქართულთა ინტერესებს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან.

ამიერკავკასიის საკითხს საიმპერატორო კარმა, საეკლესიო სწორად, დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. ქართლ-კახეთს, როგორც ამ მხარეში შედარებით ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს, შეეძლო გადამწყვეტი როლის შესრულება მისი გეგმების განხორციელებაში. ამიტომ სამხედრო კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტსა და მეფისნაცვალს გრ. პოტიომკინ-თავრიდელს და მის ახლო ნათესავს გენერალ-პორუჩიკ პ. პოტიომკინს დაევალოთ საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარება. 1782 წლის შემოდგომაზე პ. პოტიომკინი ჩაივიდა გეორგიევსკში. აქედან იგი დაუკავშირდა მეფე ერეკლეს და აცნობა, რომ თუ მფარველობას ისურვებდა, მთავრობა მას მაშინვე დააკმაყოფილებდა.

საიმპერატორო კარმა ერეკლეს საქმით დაუმტკიცა მეგობრობა (დაუპატიმრა ტახტის მოცილე ალექსანდრე ბაქარის ძე და ამით უარყო ქართლის ტახტზე ვახტანგის მემკვიდრეთა „კანონიერ“ პრეტენზიები, დარუბანდელ ფათალიხანს დაათხოვინა ქართლ-კახეთზე სალაშქროდ შეყრილი დიდი ჯარი და სხვ.). 1782 წლის დამლევს ერეკლემ მის წინაშე ოფიციალურად დასვა რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი, 21 დეკემბრის ე. წ. „სათხოვარის პუნქტებით“ ერეკლე მეორე ითხოვდა რუსეთის მიერ საქართველოს დაცვას ირან-ოსმალეთისა და ლეკების თავდასხმებისაგან, დახმარებას დაკარგული მიწების გამოხსნაში, ტახტის შენარჩუნებას მისთვის და მისი მემკვიდრეებისათვის, სამაგიეროდ კი პირდებოდა საუკუნო ერთგულებას, სამსახურისათვის თავის დაუზოგველობას.

რუსეთში დაუყოვნებლივ განიხილეს წარდგენილი პირობები და მის საფუძველზე საგარეო კოლეგიის წევრმა ა. ბეზუბოროდკომ შეიმუშავა ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი. იგი მოიწონა იმპერატორმა ეკატერინე მეორემ (1763-1796) და დათანხმდა საქართველოში გამოგზავნას. ერეკლე და სამეფო დარბაზი გაეცნენ აღნიშნულ დოკუმენტს და 1783 წლის ივლისში ქართველთა დელეგაცია (24 კაცი) იოანე მუხრანბატონისა და გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით მასზე ხელის მოსაწერად კიდევ გაიგზავნა პ. პოტიომკინთან. 18 ივლისს დელეგაცია ჩაივიდა გეორგიევსკში. რუსთა სარდლობა მას ზემოთ შეხვდა.

გეორგიევსკში შეხვედრა-მოლაპარაკებისას ორივე მხარის წარმომადგენლებმა ერთმანეთს კიდევ გულდასმით განიხილეს ხელშეკრულების ტექსტი და 24 ივლისს ხელი მოაწერეს მას. დოკუმენტის რატიფიკაცია მოხდა 1784 წლის 24 იანვარს, როდესაც ერეკლე მეფემ იგი თავისი ხელმოწერითაც დაადასტურა. ამით ტრაქტატი, რომელსაც „მეგობრობითი პირობა“ ეწოდებოდა, შევიდა ძალაში.

ტრაქტატი შედგებოდა პრეამბულის (შესავალი), 12 ძირითადი და 4 სეპარატიული (სავანებო ანუ საიდუმლო) არტიკულისაგან (მუხლი). იგი ორმხრივ ვალდებულებას ითვალისწინებდა. ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან საქვეყნოდ უარს აცხადებდა ირან-ოსმალეთთან ყოველგვარ ურთიერთობაზე და ცნობდა მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაეს ძალაუფლებას, იქნებოდა მისი ერთგული და ყოველთვის ემსახურებოდა „შეწვევისათვის სარგებელისა“. თავის მხრივ მფარველი იმპერატორი ვალდებული იყო

კართლ-კახეთის ტახტზე დაემტკიცებინა ჯერ ერეკლე, შემდეგ კი მისი მემკვიდრეი და გამოეგზავნა მათთვის სიგელი და დროშა, აგრეთვე „კვერთხი საბრძანებელი, მანტყაპის წამოსასხმელი ყარყუმისა“.

ქართველი მეფე მოვალე იყო თავის სამფლობელოში შვეიწროებისა და შეურაცხყოფისაგან დაეცვა რუსეთის ქვეშევრდომები, დახმარებოდა რუს ვაჟრებს და მათთვის გზაც მიეცა სხვა ქვეყნებისაკენ, ეზრუნა რუსი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებაზე და სხვ. ამის სანაცვლოდ იმპერატორი ქართველ თავადაზნაურობასა და ვაჟრებს რუსეთში არსებული უფლებების, პრივილეგიებისა და შეღავათების სრულ გარანტიას ამლევდა. ტრაქტატის საიდუმლო ნაწილის მეოთხე მუხლის თანახმად იგი აგრეთვე დაპირებას იძლეოდა, რომ საგარეო მტრებთან (ირანი, ოსმალეთი) ომის შემთხვევაში და შემდეგ ზავის გაფორმებისას იზრუნებდა მათ მიერ მიტაცებული მიწების განთავისუფლებასა და ქართლ-კახეთისათვის დაბრუნებაზე.

ამრიგად, 1783 წლის ტრაქტატი იყო დიდი მსხვერპლის, ხანგრძლივი ლოდინისა და ოცნების ბედნიერი დასასრული — ქვეყანა საბოლოოდ დაუმოყვრდა რუსეთს. ძლიერ ქრისტიანულ ქვეყანასთან მეგობრობას თუნდაც ავტონომიურ საფუძველზე, ქართველი ხალხი იმედებით შესიქეროდა და მას გამოხსნა-აღდგენის წარმატებულ გეგმებს უკავშირებდა. ამიტომ ტრაქტატი „საქართველოს ისტორიაში იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი. გაირღვა ბარბაროსული გარემოცვა, რომელიც 231 წლის განმავლობაში სულს უხუთავდა პროგრესულ ქვეყანას, რომელიც ასაზრდოებდა მის პოლიტიკურ დაცემას და სოციალურ-ეკონომიკურ დაჩხულობას. ამ აქტით საქართველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ. „არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა“.²

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებისთანავე რუსეთმა დაუყოვნებლივ შეუსრულა ხელდებულს თავისი ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება. 1783 წლის 2 ნოემბერს თბილისში შემოვიდა რუსთა ორი ბატალიონი რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის პოლკ. ს. დ. ბურნაშოვის მეთაურობით. ხელშეკრულების რატიფიცირებასთან დაკავშირებით ჩამოვიდა აგრეთვე პოლკ. ტამარა. ქალაქი დიდი ზეიმით შეხვდა რუსთა წარმომადგენლებს. ტამარას ჩამოსვლა, მაგალითად, 1784 წლის 22 იანვარს თბილისელებს ამცნეს რუსული ზარბაზნების 101 გასროლით. სალუტით, ისევ 101 ბათქით, აღინიშნა 24 იანვარს ტრაქტატის რატიფიცირებისა და ერეკლესათვის სამეფო რეგალიებისა და იმპერატორის საჩუქრების გადაცემის ცერემონიალი. მეორე დღეს საღამოსასწაულო წირვა ჩატარდა სიონის ტაძარშიც.

ასეთი ზარ-ზეიმი არ იყო შემთხვევითი. ხალხი თვლიდა, რომ ამ აქტით ახალი ეტაპი იწყებოდა ქვეყნის ცხოვრებაში, რომ ქრისტიანი მფარველი დაიცავდა მამამდიანური აგრესიისაგან, დაემარებოდა მტრების მიტაცებული მიწა-წყლის გამოხსნაში და უზრუნველყოფდა მის მშვიდობიან ცხოვრებას თუ ეროვნულ ერთიანობას. ეს განწყობილება ყველაზე კარგად გამოხატა არქიმანდრიტმა და თელავის სემინარიის რექტორმა გაიოზმა 1783 წლის 20 აგვისტოს ტრაქტატის მნიშვნელობისადმი მიძღვნილ სიტყვაში,³ რომელიც უაღრესად საინტერესოა მომხდარი აქტისადმი მაშინდელი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით. მან კერძოდ აღნიშნა: ერეკლე მეფემ „ნავი სამეფოსა თვისისა სიბრძნისა საჭითა მიაყენა ნავთსაყუდელსა უღელვოსა“, ერს „დაუმტკიცა საუკუნო მშვიდობა და მყუდროება“, რითაც „დაჴფარა მამული ჩვენი“ და „განამტკიცა სიკბირთა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა“. მან დიდებულისა და საკვირველისა რუსეთის ძალით მტრები „დაჯაზნა ვითარცა კურდღელი“. ამიტომ „ამას ბედნიერობითსა შემთხვევასა შინა“ შეუძლებელია ქართველობა


„არა პერძნობდეს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა და დღესასწაულობით არა მოთხრობდეს ძილოცვისთა ხმისა განსვენებისა თვისისასა“.

მართალია, რუსთა ჯარი ჯერ-ჯერობით მცირე იყო, ორ ბატალიონს (დაახლოებით ორი ათას კაცს) არ აღემატებოდა, მაგრამ მისი დაუყოვნებლივ ჩაბმა და სისტემატური მონაწილეობა ბრძოლებში ქართველებს მაინც იმედინად განაწყობდა. მართლაც, რუსთა და ქართველთა ჯარებმა 1784 წლის დამდეგს შეუტეს ჭარ-ბელაქანს და ლეკებზე გაიმარჯვეს მულანლოსთან ბრძოლაში. ამით ერეკლე მეფემ შემოიმტკიცა განჯის სახანო. 1785 წლის აპრილში ახალციხიდან შემოჭრილ „ათას ხუთას ლეკს და ხუთას თათარს“, რომლებიც „ქართლის წასახდენად“ მოდიოდნენ, სურამთან დახვდნენ ქართველთა და რუსთა რაზმები მაიორ თეოდორ სენენბერგის მეთაურობით. ოთხ საათიან ბრძოლაში მან, როგორც მეფე ერეკლე აცნობებდა გრ. პოტიომკინს, „ამოწყვიტა და დაარჩო მდინარესა შინა ათასხუთასამდინ“ მოთარეშე. იმავე წლის მაისში ლეკ-ოსმალებმა კვლავ ცადეს ქართლში შემოჭრა, მაგრამ მოკავშირეთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ისევ დაამარცხა ისინი და სხვ.

ტრაქტატმა და ამის საფუძველზე რუსთა ჯარის შემოსვლამ საქართველოში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ამიერკავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში. რუსული ზარბაზნების გრიალმა განსაკუთრებით შეაშფოთეს ამიერკავკასიის მაჰმადიანური სახანოები. მეტად მკვეთრი იყო ოსმალეთის პოზიცია. იგი საქართველოს თავის საკუთრებად თვლიდა, არასგზით არ ცნობდა 1783 წლის აქტს და ამიერკავკასიელ ერთმორწმუნეებს რუსეთ-საქართველოსთან ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

გეორგიევსკის ტრაქტატს და ამის საფუძველზე რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. დავიწყით თუნდაც იმით, რომ რუსეთმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებასა და ისტორიულ საზღვრებში აღდგენაში. ამ მხრივ უპირველესი მნიშვნელობისა იყო ის, რომ რუსეთმა გააუქმა სამთავროები და სათავადოები. მაშასადამე მოსპო ცალკეულ კუთხეთა საუკუნოვანი სეპარატიზმი, მათი განკერძოებულობა, მტკიცე ხელით ალაგმა ფეოდალური შინა ომი და საქართველო არსებითად შეკრიბა-გაერთიანა, რითაც იგი პროგრესული განვითარების გზაზე გაიყვანა. ამასთან ქვეყანას დაუბრუნდა მტრის მიერ მიტაცებული დიდძალი ტერიტორია. XIX საუკუნეში ოსმალეთთან ომების დროს რუსეთმა გამოიხსნა: 1812 წლის ბუქარესტის ზავით — სოხუმი, ყულევი (რედუტკალე) და შეკვეთილი; 1829 წლის ადრიანოპოლის ხელშეკრულებით — ფოთი, ახალციხე, და ახალქალაქი ძველ სამცხე-საათაბაგოს ნაწილთან ერთად; 1878 წლის სან-სტეფანოს შეთანხმებით (და შემდეგ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით) ყარსი, არდაგანი, ბაიაზეთი და ბათუმი აქარიითურთ. მართალია, ზოგიერთი მიწაწყალი ჯერჯერობით კვლავ რჩებოდა მტრის ხელთ, მაგრამ ქვეყნის გამთლიანება და ძირითად ისტორიულ საზღვრებში აღდგენა იყო გამომხსნა-აღდგომისათვის ქართველი პროგრესისტების საუკუნოვანი ოცნებისა და მედგარი ბრძოლის ლოგიკური დაგვირგვინება. კიდევ ამიტომ ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნულ ომებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსთა გამარჯვებაში.

რუსეთთან გაერთიანებამ საქართველოს შოუტანა გარეშე მტრების თავდასხმებისაგან შესვენება და ნანატრი ხანგრძლივი მშვიდობა. 1799 წელს რუსთა ჯარის შემოსვლას რომ აფასებდა, ილაი ჭავჭავაძე ამ ფაქტის ასი წლის თავზე, სამართლიანად წერდა: „ამ ღირსასხოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა, აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ჰბუგავდა ჩვენს



მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სასოვრად-და დაგვრჩია. დაუღდა ახალი ხანა ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა... საქართველოს“.

აგრესიისა და მუდმივი საფრთხის ლიკვიდაციამ მკვეთრად გაზარდა ქართველი მოსახლეობა, შესამჩნევად მოაშენა XVIII საუკუნეში გაუქცირებულ სოფლები, მომრავლა ქალაქები. ამან და საერთოდ, მშვიდობიანმა ეპოქამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის აღმავლობა, ვაჭრობის მნიშვნელოვანი დაწინაურება, მანუფაქტურული მრეწველობის შემდგომი განვითარება. რუსეთის მეშვეობით საქართველო ჩაება მსოფლიო საქონელბრუნვაშიც. ეს კი, ვ. ი. ლენინის სიტყვით, „ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარნაქცილობის ნაშთს“ და აჩქარებდა ქვეყნის ასვლას საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე. მართლაც, XIX ს. მეორე ნახევარში საქართველოში ჩამოყალიბდა კაპიტალისტური ურთიერთობა, რამაც ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანებასა და ისტორიულ საზღვრებში აღდგენასთან ერთად დაასრულა ქართველი ხალხის ერად ფორმირების პროცესიც.

რუსეთის შემადგენლობაში შესვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის შემდგომი წინსვლისათვის. მართალია, მოსკოვის ქართულმა კოლონიამ პირველმა მიაწოდა საქართველოს მოწინავე რუსული (და ევროპული) ცივილიზაციის მიღწევები, მაგრამ ეს მაინც ზედაპირული გაცნობა იყო. ქართველი ხალხი კვამარბიტად მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ ეზიარა პროგრესულ რუსულ კულტურას, შეითვისა მისი რევოლუციური და დემოკრატიული ტრადიციები და ამით შემდგომ გასაფართოა და გაამდიდრა სულიერი ცხოვრება. ილ. ჭავჭავაძე სამართლიანად აღნიშნავდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგაინობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომკმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან... რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულსავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰყვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.

ცხადია, მთავარი, რაც ამ ორი ხალხის გაერთიანებას მოჰყვა, მაინც იყო მათი საბოლოო-რევოლუციური კავშირი. რამდენადაც ცარიზმი მტერი და მჩაგვრელი იყო რუსი ხალხისა, ამდენად ეს უკანასკნელი თავისთავად წარმოადგენდა ქართველთა ბუნებრივ მოკავშირეს ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც. ამიტომაც აქტიურობდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და რევოლუციურ მოძრაობაში. ქართველმა ხალხმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად მოიპოვა სრული ეროვნული და სოციალური თავისუფლება და თანასწორობა საბჭოეთის ძმურ ოჯახში უზრუნველყო თავისი განვითარება პროგრესის გზით.

შენიშვნები

- 1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 176.
- 2 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.
- 3 შ. ხანთაძე, ვაიოხ რეპტორის სიტყვა. ჟურნ. „დროშა“, № 5, 1959, გვ. 10.
- 4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

სოფლის მეურნეობის ტერმინები რუსულსა და ქართულში

გეორგიევსკის ტრაქტატის მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს მისი კულტურულ-საგანმანათლებლო მხარე, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, როგორ აისახა ენაში რუსეთთან ურთიერთობა, რა სიტყვები და ტერმინები დამკვიდრდა ქართულიდან რუსულში და რუსულიდან ქართულში სოფლის მეურნეობიდან.

ჯერ კიდევ გრიბოედოვთან გვხვდება ისეთი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, როგორცაა მანგალი, რომელიც უძველესი ქართული სიტყვაა. ი. აბულაძის ლექსიკონში ფიქსირებულია ძველ ქართულში ამ სიტყვის ხმარების ხუთი შემთხვევა. ივ. ჯავახიშვილი ვრცლად ეხება ამ ტერმინს და ხაზგასმით შენიშნავს, რომ თავდაპირველად, იმ ხანაში, როცა ძველი და ახალი აღთქმა ქართულად ითარგმნებოდა, როგორც მარცვლოვანი საკვები მცენარეულობის, ისე საქონლის სამკელი ბალახის მოსაყრდელ შეყოფილა მიღებული და იმ დროს საქართველოში მხოლოდ ნამგლით მუშაობდნენ.

ძველ ქართულში გვქონდა მანგალი, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „ყანის მოსაჭრელი“ (1928, გვ. 194), მითითებულია საილუსტრაციოდ ესაია (2, 4), სადაც მართლაც არის საანალიზო სიტყვა, ეს სიტყვა ფიქსირებულია დ. ჩუბინაშვილთანაც (1887, გვ. 666). საინტერესოა, რომ ორივე ლექსიკოლოგთან მანგალთან ერთად ნამგალიც დასტურდება. ასე რომ, საბა — ჩუბინაშვილის დროს ეს ლექსიკური ერთეულები სინონიმებადაა გაგებული (მანგალი — ნამგალი. მოხდა მეტათეზისი. გვაქვს გვარებიც: მანგალაძე — ნამგალაძე).

ა. პუშკინის თხზულებებში დასტურდება სიტყვა მარანი. „მარანი საღვინე სახლი“ (საბა), ილია აბულაძის ლექსიკონში შეტანილია მემარნე (გვ. 231); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით, იგი ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილია.

ამ სამეურნეო ნაგებობის სახელწოდების წარმოშობის შესახებ სპეციალისტები არაფერს ამბობენ. ისე კი ვარაუდობენ, რომ იგი ეკლეთიკის ძირეულ ქართულ სიტყვათა რიგს.

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ქართული ყურძნის სხვადასხვა სახელზე, რომლებიც უთარგმნელად დამკვიდრდა რუსულში. ესენია: აფხაზური, ალაბური, ალადასტური, ალექსანდროული, ბროლა, ბუდეშური, ბუდეშური წითელი, ბუდეშური შავი, ვორულა, გრძელმტევანა, ჯავახეთურა, ჯანი, ძელშავი, ხარისთვალა, თითა, ქისი, კოლოშო, კრახუნა, კუნძა, მტევანდიდი, ოჯალეში, ოცხანური, რაჭული თეთრა, რაჭუნთელი, საფერავი, თავკვერი, უსახელოური, ციქვა, ცოლიკაური, ცხენისძეძუ, ჩერგავალი, ჩინური, ჩიტისთვალა, ჩხავერი და სხვ. ესენი ამ ფორმითაა შესული რუსულ პერიოდიკაში, ზოგიერთი რუსი მწერლის ნაწარმოებებში, თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურაში, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსი მოსახლეობის მეტყველებაში. ეს და სხვა ლექსიკური ერთეულები დეტალურად აქვს აღწერილი პროფ. გ. გოლეთიანს, საიდანაც ჩვენც ვისარგებლეთ. აი, მაგ., ის სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია ყურძნთან და მელვინეობასთან (უთარგმნელად შევიდა რუსულში): გასხვლა,

დაბლარი, მდლარი, რთველი, ტალავერი, თხლე, შეყეღვა, შესარვა. ან კიდეც, ავილოთ ღვინის, კონიაკისა და არაყის სახელები; ღვინოები: ალადასტური, ალექსანდროპოლისური, ანაგა, არგვეთა, ატენური, ახაშენი, აზმეტა, ბახტრიონი. გურჯაანი, იმერული, კარდნა-ხული, კახური, ყვარელი, ქვიშხური, ქინძმარაული, კრახუნა, მანავი, მუხრანული, ნაფარეული, ოჯალეში... კონიაკები: აფხაზური, ვარძია, ვარციხე, გრემი, ენისელი, ყაზ-ბეგი, თბილისი... არაყი: ყიპიტური.

ხისა და მისი ნაყოფის სახელები: აისი (მსხლის ახალი ჯიში), ალიბურახი (სპარს., ქლიავის ახალი ჯიში), ახალსოფელი (კომში), ბეო, (მსხლის ახალი სახე), გოგრა, კახა-ბალი, ქაშაფაშლი, კეხურა, ქისანდური, კიტრა, ქუთაისური (კომშის ახალი სახე), მერე-თულა, პანტა, თეთრლედვა, ტყემალი, თურაშაული, ჭანჭური, ჩიტლედვა, შავმსხალა, შაქარა, შილდური, შირაქელა და სხვ.

სიმიინდი, როგორც ცნობილია, უძველესი ქართული ბოტანიკური მცენარის სახელია, როგორც ეს დაადგინა აკად. ს. ჯიქიამ (1947). რუსულ ენაში ღიღი ხანია ფუნქციონირებს იგი. პროფ. ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს, სიმიინდის კულტურა ქართულში ამერიკი-დან შემოიტანეს, მაგრამ დაუდგენელია სახელწოდების წარმოშობის გზები. აქვე იმა-საც შენიშნავს, რომ კოლხურად სიმიინდს ლაზური ან ლაიტი ჰქვია, რაც „ლაზების მცენარეს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება შესულია თურქულშიც. ჩანს, სიმიინდის კულტუ-რა ლაზებში ადრე გავრცელებულა და იმავე მკვლევარის ვარაუდით, აქ გასცნობიან მას თურქებიც.

ბოსტნეულის სახელწოდება: ქინძი, კონინდარი, ქონდარი, ლობიო, პრასა, რეჰანი, ტარხუნა, წიწმამი, ჭლავი. საჭმლის სახელები: აჯაფანდალი, ბაყე, ბოზბაში, ბულა-მა, ლობი, ჯანჯუხა, ჯიჯლაყა, ჯონჯოლი, ჭადა, ყაურმა, კვერი, კეცის მჭადი, კროკოტი, კუპატი, ლავაში, ლობიო, მაწონი, მოთალი, მხალი, მჭადი, ნაღული, ნაზუქი, ფელამუ-ში, საცივი, სულგუნი, სუნელი, ტყემალი, ტყლაპი, ტოლმა, ხარჩო, ხაჭაპური, ხაში, ხაშლაძა, ხინკალი, ჭადი, ჩანახი, ჩახოხილი, ჩიხირთმა.

აქედან მხოლოდ ერთ სიტყვაზე შეგვიჩვენებთ. ეს არის მჭადი. პროფ. ი. იმნაი-შვილმა ეს სიტყვა დაადასტურა X საუკუნეზე გადაწერილ ძეგლში ჭადის სახით. XVI საუკუნის 80-იან წლებში ჭადს თავში უკვე ჰქონია დამატებული მ-ანი (მჭადი), რომე-ლსც აკად. არნ. ჩიქობავა ფონეტიკურ დანართად თვლის. ივ. იმნაიშვილის სიტყვი-ლო, მჭადი ქართულიდან შესულა ამიერკავკასიის ხალხთა ენებში (სომხურში ჯერ კიდევ XV საუკუნეში).

მცენარეთა სახელები, რომლებიც უთარგმნელად შევიდა რუსულში: ასფოთოლა, მულრა, დეკა, ჯონჯოლი, ძელქვა, ქარქვეტა, პირიზზე, ბზა, და სხვ.

მეტად მრავალფეროვანია მიწათმოქმედებასა და სამეურნეო საქმიანობასთან დაკა-შვებული სიტყვები, რომლებიც უთარგმნელადაა შესული ქართულიდან რუსულში: ანეული, ანეური, ახო, აჩაი, ბაგა, გობი, გოდორი, გუთნეული, გუთნის დედა, დოქი, ყანწი, ქვევრი, კეცი, კოდი, კოკა, კომბალი, ქილა, ლიტრა, მათარა, ორშიმო, ფილა, (ბერძნ. წარმოშ.), სუფრა, თაბახი (არაბ.), თამადა, თორნე, ტიკი, ხრიკა (კუთხ., იმერ., გურ., რაქ.), წალდი, ქინწილა, შამფური. შნაკვი (კუთხ.. ლენჩუმი).

პროფ. გ. გოლეთიას ათავს წიგნში 1300-ზე მეტი ლექსიკური ერთეული აქვს შე-ტანილი. ისინი განლაგებულია თემატიკურ რეალბად. გამოყოფილია 35 რაკო. ამთ შორის სოფლის მეურნეობის ლექსიკას გარკვეული ადგილი უჭირავს. ისინი გვხვდებიან სხვადასხვა ენარისა და ხასიათის ქართულ თხზულებათა რუსულ თარგმანებში, ყველაზე მეტად კი პერიოდიკაში, განსაკუთრებით — თანამედროვე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც საქართველოში გამოდის.

სოფლის მეურნეობის ქართული ტერმინოლოგია მდიდარია და მრავალფეროვანია. თვითონ რუსული ენა უდიდეს კეთილშეყვებულ გავლენას ახდენდა და ახდენს ქარ-

თული სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება-გაფორმებაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქართული სოფლის მეურნეობის ტერმინების უმრავლესობა ხალხურია, ხალხში შეკრებილი და დადასტურებული“, — სამართლიანად წერენ „სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის რედაქტორები. ზოგიერთი არ არის ქართული წარმოშობის, მაგრამ რუსულში მაინც ქართული ფორმით იხმარება; მაგ., ტარხუნა, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, როდის გაჩნდა საქართველოში, არ ვიცით. საბასთან იკითხება: „ტარხუნა სხვათა ენაა, ქართულად ტეგანი ჰქვია“, ხოლო დ. ჩუბინაშვილი პირდაპირ აღნიშნავს, რომ იგი წარმოშობით სპარსული სიტყვაა.

გეორგიევსკის ტრაქტატის კეთილმყოფელი გავლენა ქართული სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიასაც დაეტყო: ქართულ-რუსული ლექსიკონები გამდიდრდა ამ სახის ტერმინებით, რაც ორივე ენისათვის სასიკეთოა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს, სოფლის მეურნეობის რა და რა ტერმინი შემოვიდა რუსულიდან ქართულ ენაში და რა სახით დამკვიდრდნენ ისინი.

რევოლუციამდე ქართულ ენაში რუსული სიტყვები შემოდიოდა უსისტემოდ და ხშირ შემთხვევაში ქართული ენის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. მაგ., ჯერ კიდევ ალ. ყაზბეგის მოთხრობებში გვხვდება ისეთი რუსული სიტყვები, როგორიცაა: ზოჩკა, იამშჩიკი, კუჩერი, მუჟიკი, პოვარი, სპიჩკა, სტაჟანი, სტოლი, ტრაიკა, უჩასტკა, შამფანსკი, ფეჩი და სხვ., რომელთაგან ზოგი სოფლის მეურნეობის ტერმინია; მაგ., „ჩინოენიკ ელურიძეში“ იკითხება: „იმათ შუა შამფანსკიმ იმოქმედა“. აქ მეღვინეობის ტერმინი „შამპანსკი“ რუსული ფორმითაა წარმოდგენილი. ეს სიტყვა საკუთრივ რუსულია. გაჩნდა XVIII ს. შესიტყვებიდან „შამპანური ღვინო“, რომელიც თავისთავად ფრანგულის კალკია („შამპან“ საფრანგეთის ერთ-ერთი პროვინციის სახელია).

შემდეგ და შემდეგ თანდათან გათავისუფლდა ქართული ბარბაროზში რუსიციზმებისაგან და ენაში იჩყო შემოსვლა დახვეწილმა, სრულქმნილმა ტერმინებმა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში,


1959 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია“ აკად. ნ. კეცხოველის რედაქტორობით. წიგნი ორენოვანია, შეიცავს 25 ათას რუსულ-ქართულსა და ქართულ-რუსულ ტერმინსა და ტერმინოლოგიურ გამოთქმას. აქედან, ჩვენი დაანგარიშებით, ორმოც პროცენტზე მეტი რუსულიდან და რუსული ენის გზით არის ქართულში შემოსული, დამკვიდრებული. წიგნის წინასიტყვაობაში პირდაპირაა აღნიშნული, სიტყვა-ტერმინების შერჩევისას „ამოსავალი იყო რუსული ტერმინოლოგია“.

რუსულიდან ქართულ ენაში შემოვიდა და დამკვიდრდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია — მემინდვრობის, ნიადაგმცოდნეობის, ენტომოლოგიის, მებოსტნეობის, მეტყვეობის, მესილვობის, აგროქიმიის, მიწათმოქმედების, შევენახობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის. მეცხენეობის... მაგ., რუსულიდან არის ქართულში შემოსული აგრონომი. აგრობიოლოგია, აგროტექნიკა, აგროქიმია, აგროპროპაგანდა, აგროუქტი, აგრომინიმუმი... მართალია, ტერმინი „აგრონომია“ წარმოშობით ზერძნულია („აგროს“ მინდორი, „ნომოს“ კანონი), მაგრამ იგი ქართულში რუსული ენის მეშვეობით უნდა იყოს დამკვიდრებული.

„აგრონომი“ კი, საიდანაც „აგრონომია“ აწარმოეს, რუსულმა ენამ ისესხა ფრანგულისაგან XIX ს. დასაწყისში, ხოლო ფრანგული თავისთავად ეყრდნობა ზერძნულს.

გვაქვს ტერმინი „აერაცია“, რომელიც წარმოშობით ფრანგულია და განივდება ნიშნავს (ნიადაგის აერაცია). იგი რუსულის გზით დამკვიდრდა ქართულში.

ავიღოთ ტერმინები: ბულდოზერი და კომბაინი. წარმოშობით ორივე სიტყვა ინგლისურია. კომბაინის ცნობილი გერმანელი აკად. მაქს ფასმერი თვლის ინგლისურიდან



ახალ ნასესხებად. (იგი პირველად უშაკოვის ლექსიკონშია ფიქსირებული 1934 წელს).
აქედანაა ნაწარმოები კომბაინერი, რომელიც ქართულშიც გვხვდება; ბულდოზერი ახ-
ლად შემოსულია ჩვენს ენაში. სიტყვა ტრაქტორი რუსულში პირველად გვხვდება 1923
წ. პრალაში გამოსულ ერთ-ერთ წიგნში. ქართულში 1930 წლიდან გადაიქცა ტრაქტო-
რისტი ტრაქტორის წამყვანის აღსანიშნავად.

ადაპტაცია წარმოშობით ლათინურია, მაგრამ ქართულში, როგორც სოფლის მეურ-
ნეობის ტერმინი, რუსული ენიდან შემოვიდა; აკლიმატიზაცია ფრანგულია, ქართულში
რუსული გზით დამკვიდრებული; რუსულიდან ქართულში შემოსულია სოფლის მეურ-
ნეობასთან დაკავშირებული აცია-სუფიქსის შეშცველი ტერმინები; მაგ., დეფორმაცია,
დეფეკაცია, დესულფიტაცია, ირიგაცია, კულტივაცია, დეგაზაცია, ჰიბრიდიზაცია, კო-
ლექტივიზაცია, მინერალიზაცია, ქიმიზაცია, ჰერბარიზაცია, გენერაცია, კასტრაცია, პლან-
ტაცია, დეგუსტაცია, ამუნიცია, სელექცია, დეზინფექცია, დეგაზაცია, დეგრადაცია და
მრავალი სხვ.

აქვე ვასახელებთ იმ სიტყვებს, რომლებიც წარმოშობით უცხოურია, მაგრამ ქარ-
თული ენის სოფლის მეურნეობის ლექსიკაში რუსული ენის საშუალებით დამკვიდრდა:
ბრიგადირი, გრუნტი, კუჩერი, კარტოფილი (გერმანულიდან), დეგუსტაცია, ზებრა
(ფრანგულიდან), კექსი (ინგლისურიდან), დეფეკაცია, ინკუბაცია, ვეგეტაცია, ირიგაცია,
მელიორაცია (ლათინურიდან), ოდა, ზოოპიგენია, ზოოტექნიკა (ბერძნულიდან), ბრინჯა
(რუმინულიდან).

მაგრამ ჩვენს განკარგულებაშია ასეთი სიტყვებიც, რომლებიც წარმოშობით
წმინდა რუსულია, უშუალოდ შემოსული ქართულში, ესენია: ბლინი, ბორში, არშინი,
დესეტინა, დროგი, დროჟკა, კულაკი, ნადელი, ნები, საყენი, სტანიცა, სტები, ფუთი,
ხუტორი და სხვ. აქედან ზოგი უკვე დაძველდა, არქაიზმად იქცა (მაგ., დესეტინა, კუ-
ლაკი, ნები..., უმეტესობა — ფუნქციონირებს.

რუსულიდანაა შემოსული სახელები — ხეხილიდან: ანტრონოვკა, ბისმარკი, ეორონ-
ცოკურა, ოლეგი, პოხედა, სლაფურა, ტიტოვკა და სხვ.; პომიდორი რუსულში ნასეს-
ხებია ფრანგული ენის მეშვეობით იტალიურიდან, სადაც „პომიდორი“ სიტყვა-სიტყ-
ვით ნიშნავს „ოქროს ვაშლებს“; არაქისი რუსულმა ისესხა XX ს. იგი ლათინური მეც-
ნიერული სახელია მიწის თხილისა.

შეიძლება დაბეჭდებით ითქვას, რომ რუსულიდან სოფლის მეურნეობის ტერმინთა
ხესხება (ან მისი მეშვეობით სხვა ენებიდან ქართულში დამკვიდრება) გაცილებით
სკარბობს ყველა დანარჩენი ენიდან ქართულში შემოსულ ამ რანგის ლექსიკური ერ-
თეულების ხესხებას. ეს აიხსნება არა მარტო რუსული ენის სიმდიდრით, არამედ იმ
განსაკუთრებული ხელსაყრელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობებით, რაც საბჭოთა
ხელისუფლებამ შექმნა სსრ კავშირის ხალხთა ენების განვითარებისათვის. სწორედ ამის
წყალობითაც მოხდა, რომ „ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებელთა წრე —
ამ ენის მთელი ისტორიის მანძილზე — არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი, როგორც ეს
არის დღეს; არასოდეს არ ჰქონია ამ ენას ასე მრავალმხრივი გამოყენება“ (არნ. ჩი-
ქოძე).

რაზიელ ზამელაზვილი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



საბრძოლო თანამეგობრობა

ქართველ და რუს ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ამის შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა შ. მეგრელიძემ დაწერა წიგნი, რომელშიც განხილულია რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, რუსეთის არმიის სამსახურში მყოფი ქართველი ოფიცრებისა და გენერლების ბიოგრაფია, მათი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეობა. ამ წიგნს ღირსეული წვლილი შეაქვს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ორი მოძმე ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ბოლოქარ ღღევებში.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო წელს ივნისში გამართული ძმობისა და მეგობრობის დიდი ზეიმი, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

სტავროპოლში საზეიმო სხდომაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. კითანავამ დარბაზიდან ასეთი შეინაარსის ბარათი მიიღო:

„1943 წელს ნოვოროსიისკთან ბრძოლებში მძიმედ დამჭრეს, სამკურნალოდ თბილისის ერთ-ერთ ჰოსპიტალში დამაწვინეს, რომელიც საბურთალოს მდებარეობდა. ჩემს მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს თბილისელმა დონორებმა, რომლებმაც ოთხი ლიტრი სისხლი გაიღეს. (ასე, რომ ჩემს ძარღვებში ქართული სისხლიც ჩქექეს). პროფესორმა გიორგი ყანჩელმა კი სასწაულებრივ მისხნა ფეხის მოკვეთისაგან. აქვე მადლიერებით მინდა მოვიხსენიო მკურნალი ექიმი მერი გრამიტონის ასული ბრეგაძე, რომელმაც ყველაფერი იღონა ჩემი გამოჯანმრთელებისათვის. ასევე გულისყურით ვვეკიდებოდნენ დაჭრილებს ჰოსპიტლის სხვა ექიმები და მედლები. მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ქართველ მედიკოსებს მათი ღვაწლისათვის, პატივისცემით პ. ჩერევევი“. ეს წერილი თბილისში წამოიღო და ხალხთა მეგობრობის მუზეუმს გადასცა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. კომახიძემ. მანვე გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა საინტერესო სტატია „გულს გული იცნობს“, რომელშიც გადმოცემულია ის გულთბილი დამოკიდებულება, რომელსაც საქართველოს წარგზავნილების მიმართ იჩენდნენ რუსი მეგობრები.

როგორც ცნობილია, მარტო აჭარიდან დიდ სამამულო ომში წავიდა 24 ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სიცოცხლე შესწირა 8 ათასამდე მეომარმა.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, მამაცობისა და თავგანწირულობისათვის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს 8.952 მეომარი. ამ რჩეულთაგან ყველაზე სახელმოხვეჭილ 11 მეომარს — ისრაფილ ჯინჭარაძეს, მიხეილ გორბაჩოვს, ისაი კაზინეცს, ალექსანდრე გორბაჩევსკის, ვარი მერკვილაძეს, დავით თავაძეს, გიორგი ინსარაძეს, ბორის ლიტვინჩუკს, კონსტანტინე ოლშანსკის, ალექსანდრე ბუგაევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო ალექსანდრე სულაბერიძემ ეს საპატიო წოდება ჯერ კიდევ 1939 წელს თეორეტიკული ბრძოლაში მოიპოვა.

ფრონტის სხვადასხვა უბანზე მტერს მამაცურად ებრძოდნენ მეთაურები, კონსტანტინე და პოლიტმუშაკები: პოლკოვნიკები ა. ბაჯელიძე, ხ. ბეჟანიძე, კ. ჩიხრაძე, ლ. ლიხაძე, ე. ბილინიძე, ვ. კომახიძე, გ. იოფისი, ი. კაკაბაძე, მ. ცინცელიძე, ფ. კონიძე, ა. ზუზიკი, ი. შვედკოვი; პოდპოლკოვნიკები გ. ჩიტიშვილი, ი. შონია, დ. ძნელიძე, მ. მენიშვილი, დ. შავიშვილი, ნ. გირკელიძე, გ. ჭიჭინელიძე, პ. ცინცაძე, ნ. დარჩია, მ. ბარათაშვილი, ა. მარტინენკო, ბ. ბედნიაკი; მაიორები ა. ვერტულიძე, ს. გრძელიძე, მ. ანანიძე, ე. ტაბიძე, გ. ბრეგვაძე. ა. თაღლაშვილი, ა. ღორია, ა. გიორგაძე, თ. ყურაშვილი; ა. წულუკიძე, მ. ჯორბენაძე, ა. ხობუა, ვ. მაქაყარიძე, ჯ. ბაქურიძე, ზ. მოისწრაფიშვილი, ა. გურგენიძე, ვ. თოძიძე, ვ. გოგიტიძე, გ. კილაძე, მ. დარჩია, ი. კეიჭიძე, მ. ჩხარტიშვილი, გ. მუჟანაძე და სხვები.

სამამულო ომის ფრონტებზე აჭარიდან მამაკაცებთან ერთად 600-მდე ქალი იბრძოდა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ხუროე ანანიძემ, ჟუჟუნა ინიშვილმა, ნინა ნიკოლაშვილმა, დარეჯან ლლონტმა, ალექსანდრა მასხუღია, ქეთევან ქილიფთარმა, მარგალიტა კარანაძემ, ნადია კომახიძემ, ვენერა დვალმა, ზინაიდა სოკოლოვამ, ევრა გუგუშვილმა, ლუბა წეროძემ, ლიდა ტაბაღაძემ და სხვებმა.

აჭარიდან ფრონტზე წარგზავნილმა ათასობით მებრძოლმა სამშობლოს სიყვარულის, გმირობისა და თავდადების შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა.

1944 წლის ივნისში გაზეთი „პრავედა“ წერდა: „ბედნიერია საქართველო, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, უძლეველია ქვეყანა, რომელმაც თავისი ხალხი აღზარდა ურდევით მეგობრობით“.

სწორედ ხალხთა ურდევმა მეგობრობამ მოგვაბოვებინა გამარჯვება დიდ სამამულო ომში. ეს იყო ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო წმიდათა-წმიდა ომი. ჩვენი პარტიის მოწოდებით საბჭოთა ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად იქცა. 1941 წლის შემოდგომაზე ფაშისტთა ურდოები ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს, მოსკოვს მიუახლოვდნენ. 7 ნოემბერს წითელ მოედანზე, ისევე როგორც ყოველთვის, პარადზე გამოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები, პარადიდან კი ბევრი მათგანი პირდაპირ ფრონტზე წავიდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოიმუშავეს ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან მტრის ჯარების განდევნისა და განადგურების სტრატეგიული გეგმა, რომელმაც განსაზღვრა მთელი ომის ბედი და საბრძოლო გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

ომმა ჩვენს ქვეყანას აურაცხელი ზარალი მიაყენა, მაგრამ განსაკუთრებით დიდი უზედურება დაატყდა თავს უკრაინის და ბელორუსიის. უკრაინაში ფაშისტებმა განადგურეს ყველაფერი, რაც მშრომელებმა შექმნეს პირველი ხუთწლეულების განმავლობაში. ნანგრევებად იქცა 16 ათასი საწარმო, ფაშისტებმა გაძარცვეს და დაანგრეს ასობით ქალაქი და სოფელი. დასავლეთის ეკონომისტთა აზრით, უკრაინის ეკონომიკის აღდგენას დასჭირდებოდა 50 ან 100 წელიც კი. სწორედ ასეთ მძიმე პირობებში გამოიჭიკნა საბჭოთა რესპუბლიკების მიერ შექმნილ ერთიან სახელმწიფოს უზრეტი ძალა და უძლეველობა. დაიწყო საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენის გრანდიოზული სამუშაოები. საბჭოების ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან უკრაინისაკენ შეუწყვეტელ ნაკადად დაიძრა სამშენებლო მასალებით, მოწყობილობებით, ყველა სამუშაო იარაღებითა და მანქანებით დატვირთული ეშელონები. საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობამ ომამდელ დონეს მიაღწია მხოლოდ ერთი ხუთწლეულის განმავლობაში.

სამი წლის მხეტარე თარეშის მანძილზე ფაშისტებმა დაანგრეს ბელორუსიის მთელი სახალხო მეურნეობა. ბელორუსიამ დაკარგა მოსახლეობის ერთი მეოთხედი, ოკუპანტებმა დაანგრეს და დაწვეს 209 ქალაქი და 9.200 სოფელი.

ბელორუსიის სამართლიანად უწოდეს „პარტიზანთა რესპუბლიკა“. ბელორუსიაში

შეიქმნა 1.108 პარტიზანული რაზმი, რომლებშიც 370 ათასზე მეტი მებრძოლი გაერთიანდა. გარდა ამისა, მტრის წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა 70 ათასზე მეტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ შეუწყვეტია მუშაობა პარტიის არალეგალურ საოლქო კომიტეტებს, რაიკომსა და პირველად პარტიზანულ ბრძოლებს. ბელორუსიის სწორედ ამიტომ უწოდეს „პარტიზანთა რესპუბლიკა“. უკრაინისა და ბელორუსიისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის 30 ეროვნების წარმომადგენელი მონაწილეობდა. 800-ზე მეტ მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მათგან 35-ზე მეტი მზიური საქართველოს შვილია. უშიშარი მფრინავები ქიქიკ ბენდელიანი და ისრაფილ ჭინკაძე უკრაინისათვის ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცნენ.

1979 წლის სექტემბერში იპოვეს ისრაფილ ჭინკაძის საფლავი. იგი 1943 წლის 27 ოქტომბერს დაიღუპა უკრაინის სსრ ვერხნენდნეპროვსკის რაიონის განთავისუფლების დროს. 1983 წლის ივლისში მახინჯაურის ი. ჭინკაძის სახელობის საშუალო სკოლის დღევანდელი საპასუხო ვიზიტით ეწვია უკრაინელ მეგობრებს. მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება 40 წელი ისრაფილ ჭინკაძის დაღუპვიდან. ქალაქ ვერხნენდნეპროვსკის განთავისუფლების ორმოცი წელიც ოქტომბერში აღინიშნება. სტუმრებმა მასპინძლებს საჩუქრად მიართვეს ი. ჭინკაძის ბიუსტი, რომელიც დაიდგა სკოლის საბრძოლო დიდების მუზეუმში, სადაც მზიური აჟარის სახელოვანი შვილის საბრძოლო გზის ცალკე გეგმაა მოწყობილია წარმოდგენილი. სკოლის პედაგოგიური კოლექტივის გადაწყვეტილებით, ვერხნენდნეპროვსკის განთავისუფლების 40 წლისთავთან დაკავშირებით № 2 სკოლას საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჭინკაძის სახელი ეწოდოს.

ათასობით მებრძოლი შეეწირა ვერხნენდნეპროვსკის რაიონის განთავისუფლებას. საჩუქო საფლავში განისვენებენ ჩვენი თანამემამულეები ნ. ბოლქვაძე, ლ. მოღუაშვილი, ი. სეფიაშვილი, ს. ბერიძე, გ. კუჭუხიძე.

საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა ეროვნების შვილები მამაცურად იცავდნენ დედამამუშობლოს თითოეულ მტკაველ მიწას, ანადგურებდნენ ფაშისტ დამპყრობლებს. დიდი სამამულო ომის მატანეში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ბრესტის ციხე-სიმაგრის, კიევის, ოდესის, სევასტოპოლის გმირული დაცვა, გრანდიოზული ბრძოლები ჭოქოვის მისადგომებთან, ლენინგრადთან და სტალინგრადთან, ჩრდილოეთ კავკასიასა და კურსკის რკალზე, ბრწყინვალე შეტევითი ოპერაციები უკრაინაში, ბელორუსიაში, ზალციისპირეთში, ყირიმში, მოლდავეთში, ტულაში, ფრონტის სხვა უბნებზე.

ფაშისტური არმიის განადგურების დამამთავრებელი აქტი იყო ბერლინის ოპერაცია.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გააძევეს ფაშისტი დამპყრობლები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან. ფაშისტთა ბატონობისაგან გაათავისუფლეს ავსტრიის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის ხალხები, მათ ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი.

საბჭოთა ხალხის გამარჯვება ისტორიულად კანონზომიერი იყო. მას საფუძვლად ედო ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურდევითი მეგობრობა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. გამარჯვების მთავარი შემოქმედი იყო მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა.

დღეს, როდესაც ქართველი და რუსი ხალხების დამოყვრების 200 წლისთავის საზეიმო დღეებში თვალს ვავლებთ, ჩვენი საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვან გზას, კიდევ ერთხელ ნათლად ვრწმუნდებით, თუ რაოდენ სწორი იყო ჩვენი წინაპრების არჩევანი, თუ რა დიდი ძალა ჰქონია ხალხთა ძმობასა და მეგობრობას.

იასონ ტერცაძე,

ომისა და შრომის ვეტერანი, გადამდგარი მაიორი.

ამას წინათ წავიკითხე ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, გამოჩენილი თურქმენი მწერლის ათა შთაჯანოვის პოემა „ქუშის ციხე-სიმაგრე“, რომელშიც აღწერილია თურქმენეთის უკიდურესი სამხრეთის ბასტიონის უძირული დაცვა. ცნობილია, რომ ქუშის ციხე-სიმაგრე 1918 წელს ალყაში მოაქცევს საბჭოთა ზელისუფლების დაუძინებელმა მტრებმა — რუსმა თეთრგვარდიელებმა და ინგლისელმა ინტერვენტებმა. სწორედ იმ დროს იმ შორეულ ციხე-სიმაგრეში იყვნენ და თურქმენეთში საბჭოთა ზელისუფლების გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ქართველი ხალხის საამაფო შეილები — ქუშის დეპოს მემანქანები, ძმები ივანე და ბესარიონ თელიები.

ბესარიონ თელია ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. არმიიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ფოთის რკინიგზაზე. 1905 წლის რევოლუციის დღეებში აქტიურად მონაწილეობს საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანასა და რევოლუციური რაზმების შეიარაღებაში. იგი პოლიციამ დააპატიმრა, მაგრამ მალე გაიქცა საპატიმროდან და მუშაობა დაიწყო ქ. ქუშის დეპოს მემანქანედ. ბესარიონ თელიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1917 წლის რევოლუციაში. 1918 წლის მაისში იმიერკასპიისპირეთის ოლქის მე-7 ყრილობამ ბესარიონ თელია თურქესტანის სასკომსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩია. იმავე წლის 12 ივლისს მემარჯვენე ესერებმა ქ. აშხაბადში კონტრრევოლუციური გადატრიალება მოახდინეს, დააპატიმრეს აშხაბადელი კომისრები და 22 ივლისს ვერაგულად დახვრიტეს ისინი ყარა-ყუმის უდაბნოში. დახვრეტილთა შორის იყო ბესარიონ თელია, რომელიც დაკრძალულია ქ. აშხაბადში მარქსის სახელობის მოედანზე. ამ უშიშარი კომუნისტის სახელი ჰქვია ქ. აშხაბადისა და ქუშის ქუჩებს, რკინიგზელთა კულტურის სახლს.

არქივები ასევე სათუთად ინახავენ ძმების — იოსებ და პავლე ბრეგაძეების უკვლავ საქმეებს.

იოსებ ბრეგაძე დაიბადა ქ. ქუთაისში, 1885 წლის 15 სექტემბერს, თერძის ოჯახში. ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის ფოსტაში. 1903 წლიდან აქტიურად ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, ავრცელებს არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას, პროკლამაციებს, არჩევს კონსპირაციულ ბინებს, აწყობს წითელ ტერორს მეფის ოხრანკის წარმომადგენლებზე.

პოლიციას მხედველობიდან არ გამოჩნა იოსებ ბრეგაძის საქმიანობა. მას თვლიდნენ მუშათა რევოლუციური გამოსვლების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ 1903-1904 წლებში. რევოლუციის აზვირთების დღეებში, ი. ბრეგაძე ქ. ბათუმში ხელმძღვანელობდა საბარიკადო რაზმს, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გაუშარათა დამსჯელ არმიას.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, ი. ბრეგაძე კვლავაც აქტიურად განაგრძობს მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. პოლიცია მკაცრ მეთვალყურეობას აწესებს მასზე და 1907 წლის ივლისში აპატიმრებს კიდევ. ი. ბრეგაძე ჯერ ფოთის, შემდეგ კი ბათუმის ციხეში გადაჰყავთ.

1908 წლის 13 ნოემბერს ქ. ბათუმის სამხედრო სასამართლომ იოსებ ბრეგაძეს „სხვადასხვა დანაშაულისა გამო“ მიუსაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში. ჯერ სამარის (1908 წ.), შემდეგ ირკუტსკის ციხეებში იხდიდა სასჯელს იოსები, ხოლო 1912 წლიდან საცხოვრებლად ირკუტსკის გუბერნიის მარტინოვ-

შპის თემაში განაწესეს.

1914 წელს ი. ბრეგაძე გაიქცა გადასახლებიდან და ვლადიმერ ბერიძის სა-
ბუთებით ცხოვრობდა აშხაბადში; ერთხანს მეფის არმიასაც მსახურობდა, სადაც
დაამთავრა საბოლოო სკოლა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ი. ბრეგაძე არმიიდან დაით-
ხოვეს. იგი საცხოვრებლად რჩება სამარაში, სადაც უანლოვდება რევოლუციუ-
რად განწყობილ მუშებსა და ინტელიგენციას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური
რევოლუციის გამარჯვებას ღლეტში ი. ბრეგაძეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუ-
ტატების საბჭოს წევრად ირჩევენ, იმავე წელს შედის იგი ბოლშევიკების პარ-
ტიის რიგებში.

1917 წლის 27 ოქტომბერს სამარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.
ორი დღის შემდეგ იოსებს სამარაში შექმნილ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ
მებრძოლ შტაბთან არსებული რაზმის მეთაურად ნიშნავენ. ამ რაზმს დაევალა
ქ. სამარაში საბჭოთა ხელისუფლების დაცვა.

სამოქალაქო ომის მძვინვარე ღლეტში ი. ბრეგაძე თურქესტანის ფრონტის
სწავლასხვა უბანზე უშიშრად ებრძვის საბჭოთა ხელისუფლების ყველა ჯურის
მტრებს, ალაფრთოვანებს და მამაცობისა და გმირობის მაგალითებს უჩვენებს
როგორც წითელარმიელებს.

1918 წლის ივლისში ი. ბრეგაძეს ნიშნავენ ჯერ მეოთხე არმიაში სადაზ-
ვერკო რაზმის მეთაურად, შემდეგ გადაჰყავთ ვოლსკის დივიზიის სამხედრო კო-
ნტროლის პუნქტის უფროსად ქ. ბალაკოვში; 1919 წლის 25 მარტს მას ნიშ-
ნავენ თურქესტანის სსრ განსაკუთრებული განყოფილების მთავარ ინსპექტორად,
არის თურქესტანის რევოლუციური საბჭოს წევრი, ხოლო იმავე წლის ოქტომბ-
რიდან უკვე თურქესტანის რესპუბლიკის ჯარების სარდალია და ჩვეული მგზნე-
ბარებით იღვწის არმიაში რეინისებული დისციპლინის დანერგვისათვის. სწორედ
იმ პერიოდში თურქესტანის ფრონტის ჯარების სარდალი იყო ნიჭიერი მხედართ-
მთავარი და ერთგული ლენინელი მიხეილ ფრუნზე, ხოლო ფრონტის სამხედრო
საბჭოს წევრი — ჩვენი თანამემამულე შალვა ელიავა.

ი. ბრეგაძის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა თურქმენეთის წინა-
აღმდეგ ამხედრებულ თეთრგვარდიელ ავანტიურისტთა და ბასმაჩთა შეიარაღე-
ბული ბანდების განადგურება ქ. აქტიუბინსკის, იმიერკასპიისა და ვოლგისპირე-
თის ფრონტებზე.

წითელმა არმიამ 1919 წლის პირველ სექტემბერს შტურმით გაათავისუფ-
ლა ქ. აქტიუბინსკი და განაგრძო შეტევა. სულ მალე თურქესტანის წითელმა
ჯარებმა გაათავისუფლეს ქ. საქალსკაია, ტყვედ ჩაიგდეს ე. წ. თურქესტანის
პირველი პოლკი, ბრძოლის ფრონტიდან გაიქცა პლასტუნთა პირველი და მეორე
პოლკი, კაზაკთა პირველი პოლკის მეორე ასეული. იმ დღისშესანიშნავ ღლეტში
შიმდინარე თურქესტანის მე-8 ყრილობამ დეპუტატი მიულოცა საბჭოთა ჯარებს
რევოლუციის მტრებზე გამარჯვება. დეპუტატი ეწერა: „ყრილობა მიესალ-
მება აქტიუბინსკის ფრონტის ჯარების გამარჯვებას სოციალისტური
რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანდებზე... შიილეთ მხურვალე საღამო
და მადლობა მთელი თურქესტანის პროლეტარიატისაგან. „ამ მისალმებით
ალფრთოვანებულმა ფრონტის ჯარებმა 1919 წლის 10, 11 და 12 სექტემბერს
ზედიზედ გაათავისუფლეს ტუგუზი, ჩელკარი და ბერნოგური, დაატყ-
ვევეს მოწინააღმდეგის ოთხი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგ-
დეს დიდძალი საომარი მასალა და სურსათ-სანოვავე, კოლჩაკის „სამხრეთის
არმიის“ კანცელარია დოკუმენტებითა და სამხედრო რუკებით.

მავე წლის 13 სექტემბერს აქტიუბინსკის ფრონტის ჯარები შეხვედნა-
რუსეთის პირველი წითელი არმიის მოწინავე ნაწილებს. რევოლუციის მტრულ
გამარჯვება ეცნობა ვ. ი. ლენინს, აქტიუბინსკის ფრონტის რევოლუციურ-სამხე-
დრო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბრეგაძემ წითელი დროშები გადასცა აქტიუბინს-
კისა და კუსტანაის კომუნისტურ პოლკებს.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის წითელი არმიის
სარდლობამ ი. ბრეგაძე ოქროს საათით დააჯილდოვა. დადგენილებაში წერია,
რომ ი. ბრეგაძის საჩუქარი ეძლევა „მისი ჭეშმარიტად რევოლუციური მოღვა-
წეობის გამო, რამაც... უდიდესი სარგებლობა მოუტანა პროლეტარიატის მსო-
ფლიო რევოლუციის საქმეს მსოფლიო კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში“.

1919 წლის 22 ოქტომბერს თურქესტანის მთავრობამ ი. ბრეგაძე რესპუბლი-
კის შეიარაღებული ჯარების მთავარსარდლად დანიშნა და ცაქის შემადგენლობა-
ში შეიყვანა. ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ პარაშეხდნენ საბჭოთა თურ-
ქესტანის დაუძინებელი მტრები — ზივის ხანის სეიდ-აბდულასა და ბუხარის
ემირის სეიდ-ალიმის ბანდები, რომლებსაც აქეზებდნენ ზივასა და ბუხარაში მო-
კალათებული ინგლისის ავანტიურისტები აგენტები. რესპუბლიკის საზღვრებთან
შექმნილი საშიში მდგომარეობა სწორად შეაფასა თურქესტანის მთავრობამ და
შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალი ი. ბრეგაძე შეთავსებით თურქესტანის
წითელი არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. იმავე
წლის 8 ოქტომბერს რსფსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით შეიქმნა თურქესტა-
ნის საქმეთა კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა შალვა ელიავა, ზო-
ლო წევრებად მ. ფრუნზე, ვ. კუბიშევი, ი. რუძუტაკი, ვ. გოლუშჩეკინი და გ.
ბოკი. კომისია წარმართავდა რესპუბლიკის მიერ სიღმურ-პოლიტიკურ, სამხედ-
რო, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას.

ი. ბრეგაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა თეთრი კაზაკებისა და ინტერვენ-
ტების წინააღმდეგ ბრძოლას. 1920 წლის მარტში ფერგანის დაბლობი მთლია-
ნად გაიწმინდა ბასმაჩთა ბანდებისაგან. ვ. კუბიშევმა დიდად შეაფასა ი. ბრეგა-
ძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბრძოლები: „ამ ოპერაციის წარმატება. —
წერდა კუბიშევი, — ჩემი აზრით, აიხსნება სამხედრო შეტევისა და პოლიტიკუ-
რი მუშაობის მოხდენილი შეხამებით. ცალ-ცალკე არცერთი ამ ფაქტორთაგანი
არ მოგვეცემდა ასეთ ბრწყინვალე შედეგებს“.

ფერგანის ფრონტზე ბასმაჩთა ბანდების განადგურებაში დიდი წვლილი მი-
უძღვის ფერგანის წითელი დივიზიის შტაბის დაზვერვის უფროსს პავლე ბრეგა-
ძეს, რომელიც იყო იოსებ ბრეგაძის უმცროსი ძმა, პავლე 1905 წლიდან ბათუ-
მის ტელეგრაფში მუშაობდა, რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეო-
ბისათვის მეფის ოხრანამ დააპატიმრა და 1909 წელს ადმინისტრაციული წესით
შორეულ პენზის გუბერნიაში გადაასახლა. პ. ბრეგაძის არც იქ შეუწელებია რე-
ვოლუციური მუშაობა. 1916 წელს იგი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში,
ხოლო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩაირიცხა სამარის წითელ
გვარდიაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემ-
დეგ იყო სამარის დაცვის შტაბის უფროსის თანაშემწე. 1918 წლის ზაფხულში
ჩეხოსლოვაკთა კორპუსისა და თეთრგვარდიელთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლე-
ბში მეთაურობდა ქ. ბალაკოვის სამხედრო კონტროლის რაზმს, იბრძოდა აქტი-
უბინსკის ფრონტზე, ხოლო ბასმაჩების ბანდების წინააღმდეგ დაზვერვის მაღალ
ღონეზე დაყენებისა და საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის
რსფსრ ცაქმა პ. ბრეგაძე დააჯილდოვა.

პ. ბრეგაძემ შემდგომ ბრძოლებშიც ისახელა თავი, რისთვისაც მეორედ და-

აჯილდოვებს. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რევოლუციური-სამხედრო საბჭო, — ნათქვამია დადგენილებაში. — გაჯილდოვებს 1918 წელს აღმოსავლეთის ფრონტზე, ქ. ბალაკოვში სამხედრო-საველე კონტროლის რაზმის უფროსისა და 1919 წელს თურქესტანის ფრონტზე ფერგანის დივიზიის შტაბის დახვერვის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას სოციალისტური სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცური გამბედაობისა და ენერგიის გამოჩენისათვის... მაჯის საათით, წარწერით: „პროლეტარული რევოლუციის მებრძოლი და მცველი, — სსრ კავშირის რევოლუციური-სამხედრო საბჭო-საგან“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პავლე ბრეგაძე ბრუნდება სამშობლოში და ხელმძღვანელობს ხრამჭკის მშენებლობას, დიდხანს იყო თბილისის ელექტროქსელების სამმართველოს უფროსი.

პავლეს უფროსი ძმის — იოსებ ბრეგაძის რევოლუციის საქმისადმი თავდადებასა და გმირობაზე მიუთითებს თურქესტანის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს დადგენილება მისი იმდროისათვის ყველაზე უმაღლესი ჯილდოთა — წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

1920 წლის აპრილში ი. ბრეგაძე ბაქოშია და მონაწილეობს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

1920 წლის 27-28 აპრილს ბაქოს პროლეტარიატმა ბოლშევიკური პარტიის წინამძღოლობითა და ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის დახმარებით დაამხო მუსავატელების უღლეური მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ქვეყნიდან გაქცეულმა მუსავატელებმა და დენიკინელთა ბანდებმა თავი შეაფარეს ირანს და იქიდან ემზადებოდნენ ახალგაზრდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე თავდასასხმელად. მოსალოდნელი ინტერვენციის აღსაკვეთად კავკასიის ფრონტის სარდლობამ სასწრაფოდ ჩამოაყალიბა საექსპედიციო არმია „ირანის არმიის“ სახელწოდებით, რომლის განყოფილების უფროსადაც დაინიშნა უშიშარი რევოლუციონერი ი. ბრეგაძე.

„ირანის არმიის“ გამანადგურებელი დარტყმების შედეგად აზერბაიჯანის ტერიტორია საბოლოოდ გაიწმინდა მტრული ელემენტებისაგან.

1921 წლის თებერვალს ი. ბრეგაძე მეთერთმეტე არმიას შემოჰყვა თავის მშობლიურ საქართველოში და აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. იმავე წლის აპრილში ი. ბრეგაძეს ნიშნავენ პირველი ქართული მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლკის უფროსად. 1922 წლიდან იოსებ ბრეგაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დუშეთში, ბათუმსა და აჭარაში. კომუნისტური პარტიისა და სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის იოსებ ბრეგაძე დაჯილდოებული იყო ორი წითელი დროშის ორდენით. იოსები სრულიად ახალგაზრდა, ოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა.

სამოქალაქო ომისა და რევოლუციის უშიშარი რაინდების, კომუნისტური პარტიის ერთგული ჯარისკაცების, მგზნებარე მამულიშვილების — ძმების ივახე და ბესარიონ თელიების, იოსებ და პავლე ბრეგაძეების ლეგენდატყეული სახელები კვლავაც დიდხანს იცოცხლებენ ჩვენი მრავალეროვანი დიდი ქვეყნის ხალხთა სსონაში.

ქართული ხალხის მეგობრები

ხელოვნის ღვაწლი

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა სახვითი ხელოვნების შესანიშნავი მოღვაწის, ზსრ კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური, სახელმწიფო და რეპინის სახელობის პრემიების ლაურეატის არკადი ალექსანდრეს ძე პლასტოვის დაბადების 90 წლისთავი. მის სახელს მადლიერებით იხსენიებს ჩვენი რესპუბლიკის ყველა ხელოვანი.

ა. პლასტოვს დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის მხატვართა კოლექტივის ორგანიზაციულ სრულყოფაში. იგი, როგორც სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 1939 წელს ბათუმს ეწვია და მასი უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა მხატვართა კავშირი.

ა. პლასტოვი იყო დაზგური ფერწერისა და გრაფიკის უბადლო ოსტატი, შესანიშნავი პორტრეტისტი, პეიზაჟისტი, პლაკატისტი, წიგნის ილუსტრატორი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მიღრეკილება — ფართოდ წარმოეჩინა მშობელი ერის წარსული და აწყო, თვალსაჩინოდ აღებეჭდა რუსეთის რევოლუციის შემდეგდროინდელი ცხოვრების სინამდვილე.

იგი დაიბადა და აღიზარდა სიმბიისკის გუბერნიაში. ახლანდელი ულიანოვსკის ოლქის სოფელ პრისლონიხაში. ბავშვობიდანვე ძლიერ მოზიზღული იყო მშობლიური ბუნების სილამაზით და სურვილი აღეძრა ფანქრით შეესრულებინა ჩანახატები. ერთი წლის მანძილზე დაგროვილმა ნახატებმა ახლო ნათესავები და მეზობლები განაცვიფრა, ბევრს არ სჯეროდა, რომ ისინი არკაშამ შეასრულა, როგორც მას პატარაობაში ეძახდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ა. პლასტოვი ახალი საბჭოური წესების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება, იგი აირჩეს სასოფლო საბჭოს მდივნად, ღარიბ გლეხთა დამხმარე კომიტეტის წევრად, ერთ-ერთი პირველი შევიდა ახლადშექმნილ კოლმეურნეობაში და თავისი თავდადებული შრომით ყველასათვის მისაბაძი გახდა.

ასეთ ვითარებაში ხელოვანის შეგნებაში ჩამოყალიბდა დაუცხრომელი სიყვარული თავისი კუთხისადმი, რომელსაც მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ეტრფოდა. ა. პლასტოვი ხშირად იტყოდა, ყოველ ხელოვანს უნდა უყვარდეს თავისი ერი, რაც მისი შემოქმედების შთაგონების უშრეტი წყაროა. მას ბევრჯერ გაუმეორებია, მეტად ძვირფასია რუსული ხასიათი, მაგრამ უფრო ძვირად ფასობს რუსი ადამიანი, რაც დამაჯერებლად უნდა აისახოს ჩემს შემოქმედებაში. მან შესანიშნავად განახორციელა კიდევ თავისი ჩანაფიქრი, რაც განაპირობა მხატვრის გადაწყვეტილებამ — მუდმივად ეტხოვრა მშობლიურ სოფელ პრისლონიხაში.

არკადის არა მარტო ახლო ნათესავები, არამედ მთელი მოსახლეობა მიიჩნევდა სოფლის თავკაცად, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის.

1966 წელს არკადი პლასტოვს მიანიჭეს ლენინური პრემია. მისი ნიჭის თავგანთავსებას მცემელთა ერთ-ერთ შეკითხვას მხატვარმა ასეთი პასუხი გასცა:


„ლენინური პრემია მივიღე სურათების ციკლისათვის „საკოლმეურნეო სოფლის ადამიანები“. სოფლის ცხოვრებას ბავშვობიდანვე ვიცნობ. მე სოფელში დავიბადე, ჩემი წინაპრები სოფელლები იყვნენ, და ბუნებრივად, სოფლის ცხოვრება ჩემი შემოქმედების ერთადერთი თემა გახდა მთელი ცხოვრების მანძილზე. გლეხური ყოფითა და შრომით მრავალი წელიწადი ვიცხოვრე და მე არ ვცნობ სხვა სამყაროს, სხვა სინამდვილეს. ამაზე უფრო პოეტურსა და გულში ჩამწვდომს. თუმცა ჩემი პროფესიის პირობების გამო, ხანდახან ცხოვრება მიხდება ისეთ დიდ ქალაქში, როგორიცაა მოსკოვი. მხატვრის შრომა მეტად საკირკიტოა და, ბევრის შეხედულებით, ვითომცდა მეტად დამლ-ლეულიც, მაგრამ ნახევარ საუკუნეზე მეტი გამოცდილება უფლებას მაძლევს ვამტკიცო, რომ ეს შრომა უჩვეულოდ მიმზიდველი, ხალისიანია, რომელიც მარადმასს გაგვებს უღრმესი კმაყოფილების გრძნობით, რომ შენ შესაძლებლობის ფარგლებში უხსნი ადა-მიანებს მშვენიერების უსაზღვრო და უღვე სამყაროს.“

არკადი პლასტოვის მრავალწინაგოვან ქმნილებებში მაინც არჩევენ რამდენიმეს, რომლებმაც მის ავტორს საყოველთაო აღიარება მოუპოვა. ასეთ ქმნილებათა რიცხვს ჭანჭყთავენება „ტრაქტორისტები ვახშობენ“, „საკოლმეურნეო ნახიში“, „ფაშისტი ვადაფრინდა“, „ზაფხული“, „წყარო“, „საძოვრებზე“, „დედა“, „ველოსიპედიანი გოგო-ნა“, „პირველი თოვლი“, „მკა“, ა. ჩხვოვის, ლ. ტოლსტოის, ნ. ნეკრასოვის ნაწარმოე-ბთა სიუჟეტებზე შესრულებული ილუსტრაციები. საკოლმეურნეო სოფლის ადამიანების პორტრეტები

ა. პლასტოვს კარგად ესმოდა, რომ ეროვნული სპეციფიკის ძიებით მხატვარი ახე-რხვებს ჩამოყალიბდეს საკუთარი ხელწერის მქონე ოსტატად. ასეთი განწყობილების შედეგად მან გამოავლინა შემოქმედებითი ძიების ფართო გაქანება. იგი ყოველთვის იღწეოდა აღმოეჩინა ისეთი მოხდენილი ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მიუწვ-დომელ საიდუმლოებათა წარმოჩენას გამოშავებული საშუალებებით.

ზემოთ ითქვა, რომ ა. პლასტოვის სახელთან არის დაკავშირებული აჭარის მხატვ-ართა კავშირის ჩამოყალიბება. იგი, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 1939 წლის მაისში ეწვია თბილისს და ეცნობოდა ქართველი მხატვრების შემოქმედებას. ამა-სთან დაკავშირებით, როგორც აჭარის მხატვართა გაერთიანების ხელმძღვანელი, თბი-ლისში გავემგზავრე და ეთხოვე სტუმარს ბათუმში ჩამოსულიყო. საუბარი საკმაო ხანს გაგრძელდა. ა. პლასტოვმა დამავალა მასალების შეგროვება კითხვარის მიხედვით. ისიც მითხრა, თუ ადგილზე არ აღმოჩნდება მხატვართა კავშირში მიღების ღირსი 13 მხატვარი მაინც, დამოუკიდებელი კავშირის შექმნა არ მოხერხდება.

მაისის ბოლოს ა. პლასტოვი და საორგანიზაციო კომიტეტის მეორე წევრი თ. რე-შეტნიკოვი ბათუმს ეწვივნენ და კმაყოფილი დარჩნენ ადგილობრივი მხატვრების ნაშუ-შევართა საანგარიშო გამოფენით, რომელიც მოწყობილი იყო სტალინის პროსპექტის დასაწყისში მდებარე შენობის პირველ სართულზე. მასალების ღრმად გაცნობის სა-ფუძველზე, მხატვართა კავშირში მიიღეს ფერმწერები ვ. ილუშინი, ა. ქავთა-რაძე, ნ. პელიბენკო, ა. სტრაშელინი, ვ. ბარადაი, ნ. ნოსოვი. გრაფიკოსები ლ. იმნი-შვილი, გ. სეჩენიანი, გ. წილოსანი, მოქანდაკე ტ. ჭანტურია, დეკორატორები ვ. სოვე-ტოვი, ნ. პოგოდინი, გამოყენებითი ხელოვნების დარგში მოღვაწე ი. ფერემოვი, ხე-ლოვნებათმცოდნე ლ. შარაშიძე, წვერობის კანდიდატებად — ო. გრომოვი და ა. ელ-ტიევი/



ა. პლასტოვი და თ. რეშეტნიკოვი სამი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ მხარეს და ძლიერ მოიხიბლნენ ბათუმისა და მისი შემოგარენის, განსაკუთრებით ტანიკური ბაღის სილამაზით.

ა. პლასტოვს შემდეგში ორჯერ შეეხვდა. 1966 წელს მოსკოვში ყოფნისას მოვინახულე და მივეულოცე ლენინური პრემია. საღამო მეგობრულ ატმოსფეროში გავატარეთ. მხატვარმა გამაცნო ცნობილი რუსი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი... პოეტი მელაპარაკა იმ სიყვარულზე, რაც მას საქართველოსთან აკავშირებდა. თქვა საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა. დაუვიწყარი იქნება ჩემი მეგობრული ურთიერთობა ქართველ მწერლებთან გალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, მიხეილ ჩიქოვანთან, კოლაუ ნადირაძესთან, ირაკლი აბაშიძესთან. ნიკოლოზ ტიხონოვმა აღტაცებით მოიგოხა საქართველოში მოგზაურობა, რის შედეგადაც შექმნა ლექსების მთელი სერია, რომლებიც გამოქვეყნებულია მის წიგნებში: „ლექსები კახეთზე“ (1935 წ.) და საქართველოს გაზაფხული“ (1948 წ.). პოეტმა შემოგვთავაზა საქართველოსადმი მიძღვნილი სადღეგრძელო.

არკადი პლასტოვის წინადადებით, ნიკოლოზ ტიხონოვს მივეულოცეთ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება.

ა. პლასტოვი ღღენიადავ დაძაბულად შრომობდა, ბუნების წიაღში იყო. ან თავის სახელოსნოში ჩაკეტილი, მიუჯდებოდა მის მიერ ორიგინალურად გაკეთებულ მოლბერტს და მანამდე სხვა საქმეზე არ მოიცილდა, ვიდრე ჩანაფიქრს საბოლოო წერტილს არ დაუსვამდა.

მოსკოვში თუ საზღვარგარეთ ყოფნის დროს, პლენერზე ჩანახატებთან ერთად, ქმნიდა მის საყვარელ მწერალთა ნაწარმოებების ილუსტრაციებს. იგი ბუნებაში ეძებდა არა მარტო მის ფერწერულ ელერადობას, არამედ ყოველთვის ცდილობდა გადმოეცა ბუნების სიდიადე, მისი განუმეორებელი სახე.

ა. პლასტოვის ნაწარმოებები ექსპონირებულია მოსკოვის ტრეტიაკოვსკის გალერეა-ენოს დადგენილებით მოსკოვში უნდა გამართულიყო მხატვრის პერსონალური გამოფენა, რომლის ხელმძღვანელობა იკისრა მისმა შეილმა — მოსკოვში მოღვაწე მხატვარმა ნიკოლოზ პლასტოვმა. შეკრიბეს 10 ათასამდე ნაწარმოები, რომლებიც სრულყოფილად წარმოგვიდგენდა დიდებული მხატვრის შემოქმედებას (გამოფენა გაიხსნა მოგვიანებით, 1976 წელს).

ა. პლასტოვის ნაწარმოები ექსპონირებულია მოსკოვის ტრეტიაკოვსკის გალერეა-ში, ლენინგრადის რუსულ მუზეუმში და საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის მუზეუმებში.

ა. პლასტოვი გარდაიცვალა 1972 წლის 12 მაისს და, ანდერძის მიხედვით, დასაფლავებულია მის საყვარელ მშობლიურ სოფელ პრისლონიხაში. იმ სახლს კი, სადაც ა. პლასტოვი დაიბადა და მუდმივად ცხოვრობდა, ამჟვენებს ორიგინალურად შესრულებული მემორიალური დაფა.

არკადი პლასტოვი თავისი განუმეორებელი შემოქმედებით განეკუთვნება იმ რჩეულ ხელოვანთა რიცხვს, რომლებიც სამუდამოდ დამკვიდრდნენ მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

ლადო შარაშიძე.

«ბილეთები კომბის დღესასწაულს»

ბათუმში სტუმრად იყო სსრ კავშირის აკადემიის აკადემიკოსი, ლენინგრადის ა. ფ. იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ლენინური პრემიის ლაურეატი ჟორეს ივანეს ძე ალფეროვი. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა სტუმარს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— პატივცემულო ჟორეს, ლენინგრადის ელემენტარული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თქვენ მუშაობთ ლენინგრადის იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში. გთხოვთ, ორიოდე სიტყვა გვითხრათ ამ ინსტიტუტზე.

— მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც მისი პირველი დირექტორის, უკვე მაშინ საქვეყნოდ განთქმული მეცნიერის აკადემიკოს ა. ფ. იოფეს აქტიური მონაწილეობით შეიქმნა, ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში — მის კედლებში აღიზარდა ბრწყინვალე ფიზიკოსების მთელი პლეადა. მოგაგონებთ მხოლოდ ორ მათგანს. ესენი არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახლანდელი პრეზიდენტი ა. პ. ალექსანდროვი და აკადემიკოსი ი. ვ. კურჩატოვი. ცხადია, მემამუცებოდა ამ ინსტიტუტში მუშაობა.

— გვიამბეთ, თუ შეიძლება, რას მიუძღვნით ძირითადი მეცნიერული შრომები?

— ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტი, რომ ვიყავი, ნახევარგამტარებით დაინტერესდი. ორმოცდაათიან წლებში დაიწყო ფიზიკისა და ნახევარგამტარების ტექნიკის მძაფრი განვითარება და ამ მიმართულებით წარმოებულ გამოკვლევებს საფუძველი ჩაეყარა ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში აკადემიკოს ა. ფ. იოფეს ხელმძღვანელობით.

ოცი წლის წინათ ხელი მივყავი ნახევარგამტარებში პეტეროგადასკლების შესწავლას. ეს არის ორი სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის ნახევარგამტარების კონტაქტები. იმ დროს მათ არაერთი პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონდათ და მეცნიერულ ეგზოტიკად მიაჩნდათ. მეტიც, ფიქრობდნენ, რომ მათი ფართოდ გამოყენება არ შეიძლება, რამდენადაც პრინციპულად შეუძლებელია მივიღოთ პეტეროგადასკლა გაყოფის ზღვარზე დეფექტების გარეშე.

ჩვენ კი არათუ შევძელით უდეფექტო პეტეროგადასკლა, არამედ წინადადება წამოვაყენეთ და ექსპერიმენტულად განვახორციელეთ პეტეროგადასკლების შექმნის ზოგადი პრინციპები ნახევარგამტართა სხვადასხვა მასალის საფუძველზე, შევნიშნეთ, რომ აგრეთვე შესაძლებელია ამავე საფუძველზე ახალი ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების დამზადება. ესენია უპირველესად ნახევარგამტარიანი ლაზერები და ფოტომოდულები, მზის ენერგიის გარდამქმნელები, მძლავრი ნახევარგამტარიანი ხელსაწყოები — გამმართველები.

— სად იყენებენ მათ?

— პრაქტიკულად ოპტიკურ ბოჰკოვან კავშირგაბმულობაში, რომელმაც უნდა შეცვალოს კაბელიანი სატელეფონო კავშირი. ეს სისტემა წარმოიშვა პეტეროგადასკლიანი ლაზერების შექმნის შედეგად.

მზის ენერგიის ფოტოელექტრულ გარდამქმნელებს პეტეროსტრუქტურათა საფუძველზე აქვთ მარგი ქმედების ყველაზე მაღალი კოეფიციენტი — 30 პროცენტი და არ-

სეზონის მისი 34-45 პროცენტამდე გაზრდის რეალური პერსპექტივა. გამომწვევად ტექნიკის განვითარება — ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება — ამჟამად მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება პეტროგადამსუვლებიანი სწრაფად მოქმედი ტრანზისტორებით. მათ საფუძველზე შეგვიძლია შევქმნათ კომპიუტერები, რომლებიც წამში მრავალმილიარდ ოპერაციას აწარმოებენ;

— პატივცემულო ჟორეს, თქვენ მხოლოდ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეებით?

— დიახ. მაგრამ სხვა ბევრი საქმეც მაქვს, მაგალითად, შარშანს აქეთ ჟურნალის „ნახევარგამბარტა ფიზიკა და ტექნიკა“ მთავარი რედაქტორი ვარ.

— ალბათ, ხშირად გიმოგზაურიათ საზღვარგარეთ მეცნიერული მიზნებით.

— ცხადია, ემონაწილეობდი მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც განხილვებოდა ნახევარგამბარტა ფიზიკის, ნახევარგამბარტაიანი ლაზერების, მყარსხეულიანი ხელსაწყოების საკითხები. კონფერენციები იმართებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. კარგი და სასარგებლო კონტაქტები გექონდა ამერიკელ კოლეგებთან, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ამერიკის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა რეიგანის ადმინისტრაცია, ეს კონტაქტები თითქმის მთლიანად შეწყდა. ამის გამო სინანულს გამოთქვამენ როგორც საბჭოთა, აგრეთვე ამერიკელი მეცნიერები.

— გვიანტერესებს თქვენი, როგორც საქართველოს სტუმრის შთაბეჭდილებები.

— თქვენი რესპუბლიკა მშვენიერია, ხოლო ბათუმი ჩემთვის ყველაზე საყვარელი ქალაქია სამხრეთში. ბევრი მეგობარი მყავს თბილისშიც და ბათუმშიც. მკიდრო შემოქმედებითი კონტაქტები მაქვს თბილისელ ფიზიკოსებთან, ელექტრონიკოსებთან, ინჟინრებთან. 1981 წელს ბათუმში წავიკითხე ლექცია ფიზიკისა და ნახევარგამბარტების დარგში ბოლოდროინდელ მიღწევებზე.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმის დღეებში სულითა და გულით ვულოცავ თქვენი რესპუბლიკის მშრომელებს, ბათუმელებს, ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსი და ქართველი ხალხების ძმობასა და მეგობრობას.

საუბარი ჩაიწერა ნიკოლოზ კავაჯისმა.



კინოს სენარი

რობერტ სტურსა

შეშფოთების თქმის ქრონიკა

ერთელ ბრძენიც მეცდებო, ზომ გაგიგონიათ? მეკნეირზე ბრძენი ქვეყნად ვინ უნდა იყოს, მაგრამ ხანდახან ვიოლინოზეც უკრავს და სოლო კონცერტზეც ოცნებობს. მწერალი კიდეც კალმის ნაცვლად ფუნჯს იღებს ხელში და თავისი ნახატები გამოფენაზე გამოაქვს, სამაგიეროდ, ისტორიულ რომანებს ბულაღტერი წერს, ლექსებს — ინჟინერი და პიესებს — ვეტერინარი... ერთი სიტყვით, კაცია და გუნება. პოლა, ნუ გაგიკვირებთ, თუკი თეატრალურმა რეჟისორმა გუნებაში დიდი ხნის ოცნების 5 პროცენტით შესრულება გადაწყვიტე — მინდა თეატრზე, კინოსურათი გადავიღო. ჯერ კიდეც სათქმელია, გადაიღებს თუ არა ამ ნაციოკი-ლარის ავტორი ფილმს, მაგრამ ერთ რამეს წყალი არ გაუვა: როგორც ყველა გრაფომაწამა, მანაც გადაწყვიტა, თავისი ქმნილება დაბეჭდილი იხილოს. მეგობრებმა და ახლობლებმა რომ ხელი არ შეუშალეს, ეს რა გასაკვირია, მაგრამ არც მტრებმა ატკინეს გული და ამ შედეგის ნაკლოვანებებზე არაფერი უთხრეს. წამხდარ საქმეს რაღა ეშველება, მაგრამ ერთი აღსარება მაინც უნდა მომისმინოთ: სცენარის ლიტერატურულ ღირსებაზე ავტორი პრეტენზიას არ აცხადებს (ჯერ ისიც დასადგენია, მიაკუთვნებენ თუ არა სცენარის ჟანრს ლიტერატურას). წაკითხვის შემდეგ თქვენი პრეტენზიები შეგიძლიათ ან ჩემს მეგობრებს წაუყენოთ ან მტრებს, თუმცა ცალ-ცალკე მათი გამოცნობა გაგიჭირდებათ, რადგან ერთხმად დაუწყებენ ამ შედეგის ლანძღვ-გინებას.

დიდდი მოხარულ ვარ, რომ ჩემი ნამოღვაწარი „ჰოროსში“ იბეჭდება — იმ ქალაქში გამოშვებული ჟურნალის ფურცლებზე, რომელიც მსოფლიოს ყველა ქალაქზე უფრო მიყვარს, და ბედნიერი ვიქნები, ამ შესანიშნავი ქალაქის მოქალაქეები, სცენარის დაბეჭდვის შემდეგ, თუკი ძველებურადვე მომესალმებიან.

ავტორი.

გაშლული სუფრის თავში ზის გამხდარი, სახეგავითრებული კაცი — მირიანის მამა. მის მოპირდაპირე მხარეს ნინო ჩამომჯდარა (ნინო ჰქვია ამ მშვენიერ გოგონას). მირიანის მამა ღვინოს აჭაშნიკებს, ნინო კონიაკს წრუპავს. ორივე მირიანს შეჰყურებს. მირიანს შესცქერაინ მეგობრებიც და სიცილს ძლივს იკავებენ, სერიოზული და საქმიანი ჩვენი გმირი კი ნატახტარს სვამს ჩაის ჭიქით. როცა მირიანი მეხუთე ჭიქას დაცლის, დიდი გოგი ბანქოს ერთ ქალაღდს პატარა გოგის მისცემს და თვითონაც დაიდებს (ისინი ყველასათვის კარგად ცნობილ „ოცდაერთს“ თამაშობენ). პატარა გოგომ თავის ქალაღდს დახედა და ომანიანად მოითხოვა:

— ორი ჭიქა!

— ინებეთ! — თავი დაუქნია გაღიმებულმა დიდმა გოგომ და ქალაღდი გაუწოდა. მოწინააღმდეგემ დახედა და კიდევ ერთი გამოართვა, კარგა ხანს იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა:

— ჯანდაბას, ერთიც მომეცი! — ქალაღდს რომ შეხედა, გაბრაზებულმა რაღაც წაიბურტყუნა და ქალაღდი მაგიდაზე დაუარა.

მირიანმა წყლით სავსე ორი ჭიქა მიაწოდა მეგობარს და პატარა გოგი სვენებს-სვენებით შეუდგა სმას.

— ჩქარა დაარიგე, რას უყურებ?! — შესძახა მირიანმა დიდ გოგის. — მთელ ბანჯზე ვთამაშობ!

— შენი ნება!

მირიანმა ქალაღდს არც დახედა და კიდევ ერთი მოითხოვა. გოგომ ღიმილით დაულო. მირიანმა ჯერ ქალაღდს შეხედა, მერე გადაღო და ჩუმად გამოსცრა:

— მიდი შენთვის.

დიდმა გოგომ თავის ქალაღდს კიდევ სამი მიუმატა და არტისტული მომხიბვლელობით უნახავად გადმოაბრუნა. ოთხივეს ჯამი ოცს უდრიდა. მირიანი გაფითრდა — მასაც ორი ათიანი ეჭირა ხელში.

— სხვათა შორის, ბანკში თორმეტი ჭიქა წყალია. — წყნარად თქვა დიდმა გოგომ.

— დეიდა თამარ, თუ შეიძლება, დიდი ჩაიდანს გამოგვითანეთ! — სთხოვა პატარა გოგომ მირიანის დედას.

ქალბატონმა თამარმა ჩაიდანს გამოიტანა და ეშმაკურად შეხედა თავის პირმშოს — მირიან მიქელაძეს, რომელიც ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.

— ეხლა კი ნაღდად დავავიანებთ! — წამოხტა თენგიზი, რომელიც აქამდე შურ-ნაღას ათვალიერებდა და ამ სულელურ თამაშში არ მონაწილეობდა.

მირიანი კი, ვითომ არაფერიო, წყლის სმას განაგრძობდა.

დიდ გოგის გაეცინა.

— კარგი, გეყოფა, გეყოფა... დანარჩენიც მერე იყოს, როცა ჩამოხვალ.

გავიგონიათ! მირიანი ისევ სვამს და სვამს.

მამა წამოდგა. დედამ ჩემოდანი გამოიტანა, ნინომ, როგორც ექნა, გამოწრუბა კო-ნიაკი და ისიც წამოდგა...

მირიანმა მეთორმეტე ჭიქა დაცალა და პატარა გოგის მიუბრუნდა:

— დამითმე, რა, შენი ჭერი!

— კარგი, გეყოფა! — ვერ მოითმინა მამამ.

— ერთიც, რა! კიდევ ერთიც და მოვრჩები!

— არა, წადით, უკვე გვიანია.

— რა მოხდა... ერთხელ კიდევ ეთამაშათ! — მუდარით ამბობს დედა და ეღიმება.

— არა! — დამშვიდობებასაც ვერ მოვასწრებთ! — გაბრაზდა მამა.

— ცრემლები, ყვავილები და კოცნა მერე, როცა ჩამოვალ. — იცინის მირიანმა.

21 მატომბერი. 22.01. თბილისის ქუჩა

„ქიგული“ ქარივით მიქრის თბილისის ქუჩებში. საქვს დიდი გოგი უზის.

— გააჩერე, — ყვირის მირიანი, — გააჩერე! აი, იქ!..

მანქანის დამუხრუჭება, მირიანის გადმოხტომა და დიდი სახლის სადარბაზოში შე-
ვარდნა ერთი იყო. მანქანაში სიჩუმე ჩამოვარდა, და როცა ეკვინი ნინო კარის გაღე-
მას დააპირებს, სადარბაზოდან ისევ თავქუდმოგლეჯილი მირიანი გამოვრბის და თან
შარვლის უბეს იკრავს. დიდი გოგი იცინის. მანქანა დაიძრა.

21 მატომბერი. 22.14. თბილისის ვაგზალი

ხალხმრავალ ბაქანზე ძლივს იკვლევს გზას აქლოშინებული სამოციოდ წლის კაცი.
მას ხელში დიდი ძველი წიგნი უჭირავს. მატარებელი დაიძრა. კაცი მატარებლის ფანჯ-
რებს შესცქერის.

აი, მირიანიც. ფანჯრიდან წელამდე გადმოწეულია და ხელს იქნევს.

— მირიან! — უყვირის კაცი, — გამომართვით! — და ტყავისყდიან წიგნს აწოდებს.
მირიანი მოიხედავს, მაგრამ გვიანდაა...

— გმადლობთ, ყველაფრისათვის გმადლობთ! — ყვირის მირიანი.

კაცს წიგნი გულში ჩაუხუტებია და გასცქერის მიმავალ მატარებელს.

21 მატომბერი. 22.17. თბილისის ვაგზალი

დაცარიელებულ ბაქანზე მირიანის მეგობრები დარჩენილან. ისინი შეამჩნვევენ იმ
ჭაღარა კაცს და მოწიწებით ესალმებიან. კაცი ცერემონიულად ესალმება ყველას, მერე
დიდ გოგის რაღაცას ეტყვის და წიგნს გადასცემს. გოგი თავს დაუქნევს. კაცი კიდევ
ერთხელ ართმევს ხელს ყველას და მიდის.

ახალგაზრდები გოგის შემოგხვევიან. გოგი გადაშლის წიგნს. წარწერა: „ჩემს საყვ-
რელ მოწაფეს მირიან მიქელაძეს“, ეს ინგლისურად დასტამბული შექსპირია, რომელსაც
დიდი დრამატურგის ყველასთვის კარგად ცნობილი გრავიურა ამშვენებს.

22 მატომბერი. 05.28. მატარებელში

მატარებელი მიჰქრის. გარიჟრაჟია. მთებსა და ველ-მინდვრებს შემოდგომის მოცის-
ფრო ბინდი გადაჰყრია.

მატარებლის კუბეში, პატარა მაგიდაზე, ღვინისაგან წითლად შეღებილი სამი ჭიქა
და ასეთივე ფერის ცარიელი სინთეტიკური პატარა კასრი დგას. მოწითალო-იასამნისფერი
ლაქებით დაფარულ სუფრაზე უწესრიგოდ ყრია მოხარშული ქათმის ნარჩენი, კვერცხე-
ბი, მწვანილი. ბორჯომის ბოთლი პაპირისის ნამწვით არის სავსე.

ქვედა თაროზე ორმოციოდ წლის ბრგე ვაჟკაცი ზვრინავს. სუფთა პიუჟა აცვია,
კოსტიუმი ფაქიზად ჩამოუკიდია საკიდარზე, რომელსაც, ეტყობა, განუყრელად თან ატა-
რებს. ფაქიზადვე დაგებული საწოლის ზემოთ გადმოწეულ ბადურაზე მამაკაცის ნესესე-
რია, საიდანაც კბილის ჯაგრისი და ფრანგული ოდეკოლონი მოჩანს. თავად მგზავრი მძი-
ნარე კაცის კლასიკურ პოზაში წევს: მარჯვენა გვერდზე, ხელები თავქვეშ ამოუწევიან.
იატაკზე დევს გაპრიალებული ღეხსაცმელი, ზედ ახალთახალი წინდები აფენია. ალბათ.
ნახშიარი წინდები საგანგებო ტოპრაკაშია შენახული...

მის გვერდით, მეორე თაროზე, წევს პირველის ტყუპის ცალი. მსგავსება მართლაც
საოცარია, ოღონდ ამ კაცს არც ტანთ გაუხდია და ფეხსაცმელიც აცვია. თმა გაჩერვია,
სახვზე საჭმლის ნამცეცები მიკვრია, საბანი იატაკზე ჩამოვარდნია, ბალიში მუცელზე
უდევს.

ერთი ზედა თარო ცარიელია. უფრო სწორად, ამ თაროზე ძალზე ბევრი ულამაზესი
მინაყები აწყვია, და ერთი დიდი ყუთიც დევს.

მოპირდაპირე მხარეს ღი, ცარიელ თაროზე მირიან მიქელაძე მოკუნტულა. ტანთ აცვია, ფეხსაცმელები ბადურაზე შემოუწყვია. თავი ზეწარგადაუფარებელ ლეიბზე უდევს. ანთებული ღამის ნათურა და გულში ჩასუტებული წიგნი მოწმობს. რომ მირიანს კითხვა უნდოდა, მაგრამ ღვინომ არ დაანება.

მელოდიური წრიბინი გაისმა. ეს „ფაქიზის“ სათია. იგი დგება და თავის ორეულს აღვიძებს, რომელიც ოხერა-ქშენითა და ხმაურით დგება. „ფაქიზი“ ტუნებზე თითხ იდებს: ჩუმად იყავიო, და მირიანზე ანიშნებს. ხმაურით იდება კარი და ნამძინარეც გამცილებელი ქალი კუდაში შემოდის, რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ „ფაქიზი“ გააჩერებს.

გამცილებელი მირიანს შეხედავს, შემდეგ ფრთხილად გამოაძრობს ლეიბს და კარს მიხურავს. „ფაქიზი“ შეწუხებული შესცქერის მირიანს, მაგრამ მას არაფერი გაუფია.

22 მატომბერი. 05.42. პატარა სადგური

რკინიგზის პატარა სადგურთან უამრავი შავი „ვოლგა“ დგას. მატარებელს ხამი ულამაზესი ვაჟკაცი უცდის. მათ შესანიშნავი შავი კოსტიუმი აცვიათ, პალსტუხებიც გემოვნებით შეურჩევიათ. მოშორებით ორი გლეხი დიდ ყუთებს ეწიდება; ეტყობა, ქალაქს მიემგზავრებიან სავაჭროდ. აი, მატარებელიც ჩამოდგა. ვაგონიდან შავ კოსტიუმებში გამოწყობილი ტყუპები ჩამოდან, მიხაკები გულზე მიუსვენებიათ. ტყუპები ხამ ლამაზ მამაკაცს ხელს ართმევენ და კოცნიან. თითქოს ამას უცდიდნენო, ბაქანი უცებ ივსება შავად შემოსილი ხალხით. ისინი ჯარს ეხვევიან იმ სამ მამაკაცს, დასავლეთის კინოვარსკვლავებს რომ ჰგვანან, ხელს ართმევენ და ჰკოცნიან, აღბათ, მიხვდით: ამ ბრწყინვალე სამეულის ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები აქ დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ. ჩვენ ვერ გავიგებთ, ამ ლამაზ მამაკაცებს ვინ გარდაეცვალათ, ოღონდ მათი მწუხარება ღრმა და გულწრფელი. ასეთივე ღრმა და გულწრფელია ჩამოსულთა თანაგრძნობაც.

ყველანი შავ „ვოლგებს“ მიაშურებენ, ერთმანეთს ეპატიჟებიან, გზას უთმობენ. მალე სამგლოვიარო კორტეჟი იძიებრება. მატარებელიც სევდიანად კივის და ნელ-ნელა შორდება პატარა სადგურს.

22 მატომბერი. 10.24. პროვინციული ქალაქი. გზაწაფლობის უფროსის კაბინეტი

ნათელი დიდი ოთახი. უამრავი ქალღმერთი მოფენილ გრძელ მაგიდას სხვადასხვა ახაკის მამაკაცები უსხედან. შუახნის ქალი კედელთან ზის და რაღაცას იწერს საერთო რვეულში. დიდ საწერ მაგიდასთან ჭარმაგი ვაჟკაცი ზის და ყურადღებით უსმენს. ენერგიული სახის ახალგაზრდას. „კრება ჰქონიათ!“ — მიხვდება მაცურებელი.

ახალგაზრდა შეკრებილთ მიმართავს:

— ღრმად ვარ დარწმუნებული, თქვენი ბრალია, მუშაობა რომ თავიდან ბოლომდე ჩაშლილია, დიას, პირადად თქვენი, — ჭარმაგი მამაკაცზე უთითებს.

— თქვენ ხომ მშვენივრად იცით, სამუშაოს რომ ჩავაბარებთ, საჭირო გახდება ამ უზარმაზარი ობიექტის დაწვრთვა და თავიდან აშენება. გადასარევი ის არის, რომ თქვენ ეს იცით და სიმატლეს კი არ ვგეუბნებით, თუმცა ყოველივე დღესავით ნათელია. სამარცხვინოა ისიც, რომ არ შეგძლიათ ადგეთ და იყვიროთ: „ქმარა, გვეუფო, ასე აღარ შეიძლება, რაღაც ახალი უნდა მოიფიქროთ: თუ საჭიროა, ახალი პროექტიც შევქმნათ, ხალხი ტყუილბურალოდ რომ არ ვაწამოთ!“ მაგრამ თქვენ გეშინიათ, გეშინიათ დაკარგოთ ეს ადგილი, რომელიც ჩემის ჯარით, თქვენთვის უკვე აღარაფერს ნიშნავს, აქედან გამოდინარე, — ჩვენთვისაც, მუშებს კი დიდი ხანია ყელში აქვთ ამოსული. დრო გვაქვს, ჯერ კიდევ შესაძლებელია პროექტის შეცვლა, ძალიან გთხოვთ, შეაჩერეთ მშენებლობა. თქვენს ცხოვრებაში ერთხელ მაინც გადადგით გონივრული ნაბიჯი. ახალგაზრდობა მაინც გაიხსენეთ; შეაჩერეთ, სანამ დროა, ვიდრე კატასტროფა თავს დაგვტყუდობს. მოდით, დავჯდეთ და რაიმე მოვიფიქროთ, ეს ოხერი პროექტი ღმერთებს ხომ

არ შეუქმნიათ, ჩვენსაიმა ადამიანებმა მოგონეს. მაშ, რატომ არ შეიძლება აღაშენო.
ნურად მივუდგეთ ამ ნახაზებს და შევცვალოთ დღევანდელი ამოცანებისა და საჭი-
როების მიხედვით?

კაცი, საწერ მაგიდას რომ უჯდა, წელსწელა წამოდგა. ეს მშენებლობის უფროსია.
ქალბარა, მკაცრი და სანდო მხიან.

— ძვირფასო ამხანაგებო! — დაიწყო მან, — ჩვენი მთავარი ინჟინრის ციცხლო-
ვანმა სიტყვამ მომხიბლა, დიას, დიას, ამაზე მეტ ბევრი მიფიქრია. რასაკვირველია, ეს
სიმართლეა! მაგრამ რაც შემოგვთავაზა, იმას მე, პარალელ, ვერ განვხორციელებ. მე
შემიძლია, პენსიავ გავიდე, მშენებლობა დავტოვო... შემიძლია, იმასაც მივაღწიო, რომ
ოქვენ დავნიშნო ჩემს ადგილას, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, ვერც თქვენ გა-
მოხვალთ ამ მდგომარეობიდან. პროექტის კორექტირება თავის მოტუებაა და მეტი არა-
ფერი. ჩვენ ახალი, სულ ახალი პროექტი გვჭირდება. ამისათვის კი დროა საჭირო.
ესე იგი, უნდა გავჩირადეთ, ორი-სამი წლით მაინც უნდა შევაჩეროთ მშენებლობა და
იმ ახალ პროექტს ვუცადოთ. ეს კი კატასტროფაზე უარესია...

უცებ მშენებლობის უფროსი შეტორტმანდა, ეტყობა, ცუდად გახდა. მთავარი ინ-
ჟინრის არაფრისმთქმელი თვალები, დილოგის სიყალბე და ხელოვნურობა, თანამშრო-
მელთა გულგრილობა, რომელიც ჩვენ, მაყურებლებს, აქამდეც გვაშურობდა, უფრო
თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, როცა მშენებლობის უფროსმა ასე უნიჭოდ დამართა
„გულის შეტევა“, მაგრამ მოუხედავად ამისა, ყველა წამოხტა. კედელთან მიყუდებულმა
ქალმა შეშკივლა, ვიღაც წყლიან გრაფინს ეცა და საყვედურით შეხედა დაბნეულ მთავარ
ინჟინერს.

მშენებლობის უფროსმა თეატრალურად გაიღმა, თავს ძალია დაატანა. ტკივილი არ
შეიძინა და თქვა: „ნუ შეწუხდებით... ნუ შეწუხდებით... გამიჯლის... უკვე გამოიარა...“
მოულოდნელად რეპროდუქტორებში გაისმა მამაკაცის ღიწი ხმა:

— საკმარისია, საკმარისია! უნიტეები რომ იყავით, ვიცოდით, მაგრამ დღეს დაგრწ-
მუნდი, რომ იმაზე მეტი უნიტეები ყოფილხართ, ვიდრე მეგონა... სულ ეს არის? მსა-
ხილობა თქვენ, ალბათ, ესა გგონიათ, არა?

ეს თქვა ძალიან ღამაშმა. არტისტული გარეგნობის ხანწიშესულმა კაცმა, რომელ-
საც ხშირი თეთრი თმა ფაფარავით ეყარა. იგი შემვიდე რიგში იჭდა, რეჟისორის პუტ-
ტთან. უკან, პარტერში, კედელ ვიღაცებში მიმალუდიყვნენ, მაგრამ სიბნელებში თითქმის
არ ჩანდნენ.

გრწმუნდებით, რომ ეს კრება მომავალი სპექტაკლის ეპიზოდია, ოთახი კი დეკორა-
ციაა, და დავმშვიდდებით. გაუტყვევლობა, რაღაც ეჭვი, რომელიც გვაწამებდა, გაიფა-
ტება და ყველაფერი ნათელი ხდება.

— თქვენ ამ უწმინდეს ტაძარში კი არა, დუქანში უნდა მუშაობდით! კედელ მე მი-
ჩვიან! ბუნებრივად სიტყვის თქმა არ შეუძლიათ, ადამიანური გრძნობები არ გააჩნიათ,
გარდასახვანზე რომ ლაპარაკიც შედმიტია! პრეტენზიები კი... იცოდნენ! გაღმრუვდით
ენა და თანამედროვე თეატრზე ლაქლაქებენ! უნიტო ვაგრიები!

კულისებიდან ვიღაცამ გამოყო თავი და განრისხებულ რეჟისორს მიმართა:
— ბატონო შოთა, გელოდებიან... — მაგრამ წინადადება არ დაუმთავრებია, რბე
გაქრა, რადგან ქუხილივით ნათქვამ „მომწყდისთან“ ერთად სცენისაკენ წრთლივით გაფ-
რინდა გრაფინი, რომელიც ისროლა თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანე-
ლმა შოთა კელაპატროშვილმა.

მცირე პაუზის შემდეგ სცენაზე გამოჩნდა დირექტორ-განმარჯულებელი ნიკო:

— უკაცრავად, ძალიან მაბადიეთ. მაგრამ თერთმეტს ჩეთვერი აქლია.

შოთა დაფიქრდა, რაღაცას იხსენებდა... შერე რეჟისორის მადიდის გერდით მქალმ
ქალს უთხრა:

— ლენა, ხვალინდელი გასინჯვა არ მოხსნათ! ეს კრეტინები უკეთესად მაინც ვერ ითამაშებენ! ახლა კი თავიდან დაიწყეთ. მე მოგვიანებით მოვალ. საღამოს, გენერალურ რე, არცერთი შეცდომა რომ არ იყოს, გესმის, თენგიზ? — ჩაჰყვია ნიკოლოზში შოთამ. შეშინებულმა გამათებელმა თავი დაიქნია. — ფინალში ბახის ჩართვა არ დაგავიწყდეთ. აი, ფორტიტა, გამომართვით, სუფთად გადაწერეთ... პირველ მხარეზე მესუთე ნომერია... დავნაშენე, რომ არ შეგეშალოთ, ბატეზო!.. არ დამიკარგოთ, თორემ დაგზოცავთ სუფელას! — და ფორტიტა ლენას გაუწოდა. ეს კუზიანი, მაგრამ საკმაოდ სანდომიანი სახის ქალი, პირველსავე დაძახილზე მიიჭრა ბატონ შოთასთან და თავის ქნევას მოჰყვა, რაც, ეტყობა, სამხატვრო ხელმძღვანელს არ სიამოვნებს.

— ხვალ გასინჯვა! გასაგებია?... წავედი!

— შოთა, — წაილულულა ღირეტიორ-განმკარგულებელმა, — განყოფილებიდან დარეკეს, ხვალ გასინჯვასე არ მოვალთო.

— როგორ თუ არ მოვალთო? — გოცებით შეხედა შოთამ ნიკოს. — ეს უნიკო პიესა ჩვენ სომ მაგათი დაუინებული თხოვნით დავდგით.

ნიკო შოთაზე უფრო გაკვირვებულია.

— არ ვიცი... ასე თქვებს... თეატრის სამხატვრო საბჭომ ნახოსო, იმსჯელოთ და მერე მოვალთო.

— ძალანაც კარგი. მაშინ ხვალ საღამოს პრემიერას ვითამაშებთ. — თქვა წყნარად შოთამ, მოხდენილად გაიარა პარტერი და სცენაზე ავიდა.

— შოთა, ხომ იცი... ეგ არ გამოვა. — გაუბედავად უთხრა ნიკომ.

შოთა შემობრუნდა, სახეზე ნათელი ღიმილი დასთამაშებდა.

— ჩემო ნიკო, მე ერთ საათში დავბრუნდები... და თუ ქალაქში ჩვენი პრემიერის აფიშები არ დავინახე, მაშინ შენი მოხსნის ბრძანებას დავანახებ, განცხადებებს რომ ვაკრავთ, სწორედ იმ დაფაზე.

სამხატვრო ხელმძღვანელი უცრად დადუმდა, სახე გაუფითრდა, თვალები გაეყინა. სუნთქვა შეეკრა. კედელთან მიყუდულმა ქალმა შეჰკივლა. ყველას ცივმა ოფლმა დასხა. და როცა „მთავარმა ინჟინერმა“ გრაფის ხელი სტაცა, შოთა წელში გასწორდა, „მშენებლობის უფროსს“ მხარზე ხელი დაარტყა, ირონიულად გაუღიმა და დასძინა:

— აი, ასე უნდა თამაში, ამხანაგო მესხო! — ღეჟორაციის კარში გაუჩინარდა. მაგრამ მაშინვე შემობრუნდა და ძალზე სევდიანად მიმართა მთელს დასს, — ვიდრე მე აქ ვარ, არავის, გესმით. არავის არ მივცემ ნებას, თეატრის საქმეებში ჩაეროოს! ლენა, აბა, დაიწყეთ რეპეტიცია თავიდან ბოლომდე!

22 ოქტომბერი. 10.52. თეატრთან

თეატრის შესასვლელთან მსახიობები დგანან, ერთი მათგანი, ველვეტის ახალი კოსტიუმი რომ აცვია, რაღაცა ძალიან საინტერესოს ჰყვება. ეს მაღალი, თვითდაქერბული ახალგაზრდა, ეტყობა, ამ თეატრის ამოშავალი ვარსკვლავია. დანარჩენები — ზოგი შუა რით, ზოგიც მღელქნელური ღიმილით, სულგანაბული უსშენენ.

— ლილიო, ვიფიქრე, არ გავადვიო-მეთქი და ჩუმად ავდექი. თურმე, ედვიდა. ძლივს ვაფაგებინე, თეატრში რეპეტიცია მაქვს და მაგვიანდება-მეთქი... ჩაცმას არ მანებებს და რაღაცას მეჭიკჭიკება. შემდეგ ჩემოდანი გახსნა და დიდი ბოლიშებით აი, ეს კოსტიუმი გამომიწოდა, სულ ახალი, ცელოფანის პაკეტში... „წაიდე, ღმერთმა მოგაბძაროს, მანდა, რომ გახსოვდეთ“. ვიუარე, მაგრამ ხვეწნა დამიწყო. გაუბრალოდი, მაშა-კაცის ასე შეურაცხყოფა რა საკადრისა-მეთქი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. რომ ნახა, მუდარით არაფერი გამოუვიდა, ცრემლები გადმოჰყარა... უარი ვეღარ ვუთხარი. ქვემოთ რომ ჩამოვდე, ლიოვას ფული დაუტოვებ, ეგენი საუშუმე რამ წაუღენ. ნომერში სილს, შანანური და ყვავილები დახვედრე-მეთქი. შინ გავიქეცი, ეს ახალი კოსტიუმი ჩავიცვი (ისინი ამ საათზე უკვე მიმგზავებოდნენ). ზო და, ატეხუხი რომ ვადიოდა, ასე გამო-

ბრანტუში უკვე სასტუმროსთან ვიდექი. ავტობუსიდან დამინახა. თვალი არ მოუწოდებდა, სანამ მანქანამ ქაღაჩი არ დატოვა.

ვიღაცამ კოსტიუმი ხელით მოსინჯა.

— აბესალომ, ერთი ეს მითხარ, შენი ზომა საიდან იცოდა? — ირონიულად ჰითხა ღაბაშვილი.

— ჩემო სერგო, — გაეღიმა აბესალომს, — შენისთანები რომ მოსწონდეს, ოთხი კომით ნაკლებს წამოიღებდა!

ყველას, მათ შორის სერგოსაც გულიანად გაეცინა.

— მართალი ხარ, ჩვენთან ტურისტული საგზურით ვინც მოდის, ყველას თავისი ზომა ვეღვეტის კოსტიუმი უდევს ჩემოდანში.

აბესალომი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ თეატრიდან კვლევბრიშვილი გამოვიდა. ყველა გაჩუმდა და აიწურა. თითქოს არავინ დაუნახავსო, შოთა მანქანაში ჩაჯდა. მანქანა დაძრა, მერე გაჩერდა და სამხატვრო ხელმძღვანელმა სარკმლიდან თავი გამოყოს:

— გიორგაძე, ჩაქეი!

შეშინებული, ახალგაზრდა მადერილი გიორგაძე მანქანას ეცა, კარი გამოაღო და უკანა სავარძელზე ჩამოჯდა.

22 ოქტომბერი. 11.07. მანქანაში

შოფერი ფირუზა რაღაცას აღელვებული ყვება:

— ბატონო შოთა, მივედი და ღირქტორი ვიკითხე. ვუთხარი, რაიკომიდან რომ დარეკეს, ისა ვარ-მეთქი. კაბინეტში შევედი... ძალიან კარგად შემხვდა, მოკითხვაც გადმოგცათ. ცოტა არ იყოს, ეწეინა, რატომ თვითონ შოთამ არ დამირეკავო, რაიკომი რაში დასჭირდა, ისედაც ვაფუკეთებდო. ოსტატს დაუძახა. უკანა ხიდი უნდა და ჩემი ფონდიდან მიეცეო. ოსტატმა მანქანა ნახა და, რასაც მე ვაგვიძახი, ის უთხრა ღირქტორს: ამას უკანა ხიდი კი არა, მთელი მანქანის გამოცვლა სჭირდებაო.

ჩაფიქრებულმა შოთამ მექანიკურად უბახუხა:

— ნუკრი ხომ დაგებარდა? შემასხენე და ხვალ დილით დავურთავ!

— ვიცი, ნაღდად ვიცი, რომ ახალი მანქანები მიიღეს, — არ ცხრებოდა ფირუზა. — იმ თქვენი ნუკრის შოფერმა გიგიმ მითხრა.

მოულოდნელად შოთა გიორგაძეს მიუბრუნდა.

— რეპეტიცია ნახე?

გიორგაძე გაწითლდა, მაგრამ იძულებული იყო სიმართლე ეთქვა.

— დღეს არა... პირდაპირ გასინჯვა მინდოდა მენახა.

შოთამ ეჭვით ასედა გიორგაძეს.

— მე გგონი, კარგი წარმოდგენა გამოდის, ასე ეთქვათ. რეალისტური... და რაც მთავარია, მწვავე... რა ვიცი, მე ასე შეჩვევნი... მაყურებელს მოეწონება. აი, ნახევ. აუშმა რატომ გეღაბარებო... თქვენ, ახალგაზრდებს, ასეთი სპექტაკლები ხომ არ მოეწონს!

კულუბრევილი გიორგაძე კიდევ უფრო აიღიწა.

— რას ამბობთ, როგორ გგაფრებთ... ვერ ვიტყვი, რომ არ მოგეწონს, მაგრამ, — გიორგაძე დროულად დადუმდა, მერე განაგრძო, — გვითხრეს დღევანდელი რეპეტიციით უკმაყოფილო ბრძანდებითო.

— უნდა იცოდეთ, გიორგაძე, — გაეღიმა შოთას — მსოფლიოს ყველა თეატრში არის ერთი შესანიშნავი წესი, ოქროს კანონი: გენერალური რეპეტიცია. აუცილებლად უნდა ჩავარდეს, მსახიობებმაც საშინლად უნდა ითამაშონ. და თუ რეპეტიცია, შემთხვევით, კარგად მიდის, რეჟისორის უწმინდესი ვალია, ყველა სტრუქტურის ინმაროს, მის გახალისებულად.

— რატომ? — აღშფოთდა ფირუზა. — რატომ, ბატონო შოთა, არ მესმის.

— მე ხომ არ გეკითხები, სახელმწიფო მანქანით უცხო პირებს რატომ ატარებენ?
მეტში?

— არ მეკითხებით, მართალია, — გახედა პასუხი მძღოლმა, — მაგრამ თქვენ არც იმას
მეკითხებით, რა ფულით ვარემონტებ ამ დანჯარულ ურემს.

შოთამ ფირუზას გაუღიმა.

— გაჩეჩე მანქანა! — ფირუზამ დაამუხრუჭა. — გიორგაძე, დიდ ბოდიშს გინდი.
მაგრამ ფეხით უნდა წავიდეთ.

— ბოდიში, ბატონო შოთა, ცოტა წავიხუმრე, რა მოხდა? — შეშინდა ფირუზა.

შოთა და გიორგაძე უკვე ულამაზესი პროვინციული ქალაქის ქუჩებში მიაბიჯებდნენ
და სამხატვრო ხელმძღვანელს შეშინებული შოფრის ბოდიშები აღარ ესმოდა. ბოლოს
შინც ვერ გაუძლო და მიუბრუნდა:

— ნუ გეშინია, პროკურატურას არ გადაცემ. მაგრამ მიბრუნდი თეატრში და
განცხადება დაწერ... ოჯახი რომ არ გეკიდოს კისერზე, მე ვიცი... შენ სამ გოგოს უმა-
ღლოდი... ეხლა კი მოუსვი, დროზე!

22 ოქტომბერი. 11.18. ბაქანო

ბაქანი ღამხედურებით იყო სავსე.

ღებუტატთა ოთახიდან გამოვიდნენ ბატონი შოთა და გიორგაძე. მათ საღურის
უფროსი შალვა ახლდათ. ინტელიგენტური შეხედულების ახლავანი კაცი.

— დიდი მადლობა. ჩემო შოთა, აუცილებლად, მთელი ოჯახით გეაზღვებით, — შა-
ლვას დაბალი, ზვევრდოვანი ბანი ჰქონდა, — ამბობენ, პრემიერა გასინჯვის გარეშე შე-
დგება, მართალია?

— დიხ, — გაეღიმა შოთას, — მომზერდა ნახევრადგანათლებული პროვინციელების
სულელური აზრების მოსმენა. მთელი ცხოვრება გამაწამეს. აღარ შემოძლია ამდენი
დექიციება და ჭკუის სწავლება! დავებრდი, მეყოფა, კმარა! ხომ არ მირჩევდი, ჩემო
კარგო შალვა, პენსიაზე გავსულიყავი... ჰა?

შალვას სახეზე ღიმი გაეყინა.

— ხომ იცით, როგორ მიყვარხართ, როგორ ვეთაყვანები თქვენს ტალანტს. ეს
ღვთიური ნიჭი კიდევ დიდხანს უნდა გეხარებდეს... კიდევ დიდხანს დაგვჭირდებით...
კიდევ დიდხანს უნდა იმუშაოთ... ძალიან დიდხანს!... მაგრამ თუ მიანცდამინც გა-
დაწვევით წასვლას, ალბათ, ასი წლის შემდეგ, — ითამაშეთ ლირი, თქვენი საოცნებო
როლი... აუცილებლად ითამაშეთ ლირი... თქვენი და შექსპირის შეხვედრას ყველა მო-
უთმენლად ელოდება. ბატონო შოთა, რატომ არ დაიდგამთ ლირს? ხომ იცით, რომ
ამას ოქტომბერ ელიან თქვენი თაყვანისმცემლები, თქვენი თეატრიც და თქვენი სალხიც
ბოლოსდაბოლოს!

საღურზე მატარებელი ქშენით შემოვიდა.

— გიორგაძე, აქ მოდი, მე იმ კაცს არ ვიცი — დაუძახა შოთამ ახალგაზრდა
მსახიობს, რომელსაც ეს საუბარი არ ესმოდა და „სოიუზპეჩატის“ ჯინურის გამყიდველ
ქალს რადიკალ ელაპარაკებოდა.

მატარებელი ჩამოდგა. წინა ვაგონებში არავინ იყო. სამივენი უკანა ვაგონებისა-
კენ გაეშურნენ. ბაქანი თითქმის დაცარიელდა. ვაგონებიდან აღარავინ ჩამოდიოდა. საღ-
ურის უფროსმა რკინიგზელი იხმო.

— მემანქანეს უთხარი, მატარებელი უჩემოდ არ დაძრას. გამცილებლებს კი გა-
დები, ყოველი კუბე გასინჯონ.

რკინიგზელი გაიქცა.

— ბატონო შოთა, — თქვა გიორგაძემ. — იმას, ალბათ, სძინავს. ეგრე იცის სო-
ლმე... ზავშვობიდან...

— აბა, ერთი, ნახე! მაგრამ მე შეგონია, ნამდვილად შეეშინდა და გადაიფიქრა!

გიორგაძე თითოეული კუპის კარს ადებს. არავინაა. სადგურის უფროსთან ის რკინიგზელი მოიბრუნეს, ხელს შლის, არავინ არისო. გიორგაძე ისევ ათვალიერებს კუბეებს. უცებ ჩვენ ნაცნობ კუპესთან შეჩერდება. ზემო თაროზე წევს მირიანი და არხეინად სძინავს.

რეპროდუქტორში ისმის ქალის ხმა:

„თბილისიდან ჩამოსულ მოქალაქეს მირიან მიქელაძეს თხოვენ მობრძანდეს ვა-გზის გასასვლელთან... ვიმეორებ...“

თავისი გვარი რომ გააგონა, მირიანმა თვალები დაჭყიტა.

— ვა, გიორგაძე. გაუმარჯოს! — და თაროდან ჩამოხტება.

22 ოქტომბერი 11.48. კრწანისკიულ მაღალგზე

ვაგონიდან ჩამოდიან მირიანი და გიორგაძე. მირიანი რაღაცას გაცხარებით ჰყვება. — თუ არა ვცდები, თქვენ ის მირიან მიქელაძე უნდა იყოთ, ჩვენს თეატრში სა-ღიბლომო სპექტაკლი რომ უნდა დადგათ? — ეკითხება სამხატვრო ხელმძღვანელი და თან ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს.

დაბნეული მირიანი ჭერ შოთას შეხედავს, მერე — შალვას, ბოლოს გიორგაძეს.

— გამარჯობა, ბატონო შოთა, მისარია, ასე კარგად რომ ბრძანდებით. დიდი ბო-დიში დაგვიანებისათვის. მაგრამ ჩემი მეზობლები დაკრძალვაზე მიდიოდნენ და მთელ ღამეს ვსვამდით. შესანიშნავი ადამიანები აღმოჩნდნენ, უარი ვერ ვუთხარი... იცით, ტუპები იყვნენ... დავთვერი და... ველარ გავიღვიძე... დროულად... — თქვა მირიანმა და სამხატვრო ხელმძღვანელს ხელი ჩამოართვა.

შოთამ მირიანს სადგურის უფროსი წარუდგინა.

— გაიცანით, სადგურის უფროსი გახლავთ, თქვენი მეგვარეა, შალვა ივანეს ძე მი-ქელაძე.

შალვამ მირიანს ხელი ჩამოართვა.

— უკაცრავად, სამტრედიიდან ხომ არა ხართ?

— დიას...

— აბა, ჩვენ აუცილებლად ნათესავები ვიქნებით. თუმცა, აშას მერეც გამო-ვარკვევთ. თქვენ, ალბათ, სულ ცოტა სამი თვე მაინც დარჩებით?

შოთა იცინის.

— არა, თვენახევარი! დედაქალაქის თეატრი ხომ არაა, მთელი წელი ვიმუშაოთ და შედეგად, როგორც წესი, ბითური სპექტაკლი მივიღოთ.

შალვა კიდევ ერთხელ ართმევს ხელს მირიანს.

— ერთ საღამოს აუცილებლად უნდა ესტუმროთ ჩვენს ოჯახს, ალბათ უარს არ მეტყვიან...

— ახლა კი ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

22 ოქტომბერი. 12.00 ვაგზლისწინა მოედანი

სადგურის საათმა თორმეტჯერ დაიჟღერა. მირიანი, შოთა და გიორგაძე მოედან-ზე გამოვიდნენ. ვიღაც მანქანას ეძებს. ავტობუსის გაჩერებასთან დიდი რიგია. ორი გლეხი „პობედის“ შოფერს ევაჭრება, თან ყუთებს თვალს არ აცილებენ.

უცებ კოკისპირულად გაწვიმდა.

გიორგაძემ მხარზე გადაკიდებულ ჩანთიდან სასწრაფოდ ქოლგა ამოიღო და გახს-ნა. ამ დროს ფირუზამ მათ წინ თავისი ძველი „ვოლგა“ გააჩერა. ახალგაზრდებმა სა-მხატვრო ხელმძღვანელს შეხედეს. შოთა, თითქმის არაფერი მომხდარაო, მანქანაში ჩაქდა. მას მირიანი და გიორგაძე მიჰყვნენ.



ისევ ტროიკულად წვიმს. შოთა კელბერიშვილს რატომღაც გულში აუზრუნველყოფს სანტიმეტრადურ სოლოლოვს ბეუდგა:

— მიყვარს წვიმა. წვიმა, სხვათა შორის, ბავშვობიდანვე მიყვარს, მიუხედავად იმისა, რაც კი უბედურება გარდასმდა, სულ წვიმიან დღეს იყო, საშინელ ამინდში, გაუფლავებელი და გაუთავებელი წვიმაში დამტრიალეს. ვაჟიშვილი ჭექა-ქუხილის ღრესში მომცვდა: ისე ელაფდა, გეგონებოდა, მეორედ მოსვლაო. თეატრიდანაც წვიმიან დღეს გამომაგდეს. ამ ქალაქშიც წვიმდა, რომ ჩამოვედი. აქ მართლაც უოველთვის ღამიწად წვიმს. პო, დედაჩემის გარდაცვალების ამბავი წვიმიან დღეს შემატყობინეს.

გაკვირვებული მირიანი და გიორგიძე სულმოუთქმელი უსმენდნენ ამ მოწოდებას, თუმცა, მირიანი, შეკითხვამ უფრო გააკვირვა.

— მირიან, გიყვართ წვიმა?

— დიახ, მიყვარს.

შოთამ ეკვით შეხედა მირიანს.

— ეგ რა არის, მაკეთი?

— დიახ.

— ძალიან კარგი. მე კი ამაღამ გენერალური მაქვს.

— აუცილებლად მოვალ... — თქვა მირიანმა, — ნებას მომცემთ, რასაკვირვებელია,

— დაუმატა საჩქაროდ.

— დღეს — არა! ხვალ! ხვალ მობრძანდით, პრემიერაზე!

— როგორც მიბრძანებთ. — წამსვე დაეთანხმა მირიანი.

მანქანა სასტუმროსთან გაჩერდა.

22 მატჩი 12.22. სასტუმრო „ინტერნაციონალი“ ფონი

ფონიში შემობრძანდა გაწეული შოთა, მირიანი და გიორგიძე. მოგვიანებით ფირუზას შემოაქვს ქოლგადაფარებული მაკეტი.

— თუ არ შეწუხდებით, — თხოვა მძღოლს მირიანმა. — თეატრში წაიღეთ.

ფირუზამ თავი დაუქნია და მაკეტი უკან გაიტანა.

კელბერიშვილს კი უკვე შემოხვედნენ სასტუმროს დირექტორი და ადმინისტრატორი.

— პატრონო შოთა, — დაიწყო ადვოკატულმა დირექტორმა, — მართალია, პრემიერა გასინჯვის გარეშე იქნება?

— დიახ, — უპასუხა ამაყად შოთამ, — გვეყოფა, მოგვებურდა! მაგრამ ამაზე შემდეგ... ახლა კი ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ მირიან მიქელაძე, უკვე სახელგანთქმული რეჟისორი. თქვენთან იტოვრებს... 401-ე ნომერში... ორს თვე...

სასტუმროს მსუქანმა, ლიბანმა დირექტორმა და უფროსმა, ასე ორმოცდაათიოდე წლის ადმინისტრატორმა ქალმა მირიანს თავი დაუქრებს და 401-ე ოთახის გასაღები მიართვს.

— თუ შეიძლება, ცოტა წავიხემსოთ, — მიუბრუნდა დირექტორი შოთას, — საბანკეტოში უკვე გავაშლევინე. შოთამ მირიანს შეხედა და თქვა:

— კარგი, მაგრამ იცოდეთ, მხოლოდ ნახევარი საათით.

— ჩემოდანს დავდებ და ახლავე ჩამოვალ. — განაცხადა მირიანმა.

— რაც შეიძლება სწრაფად, — მოწინებით ითხოვა დირექტორმა.

მირიანმა ჩემოდანს ხელი სტაცა და კიბეს შეუქცა.

— ლიფტი მუშაობს, ლიფტი! — მიძახა უფროს ადმინისტრატორმა ქალმა.

— არა უმადვ, — უკანმოუხედავად უპასუხა მირიანმა, — ასე უფრო ჩქარა ავალ.

შოთამ, გაკვირვებით შეხედა გიორგიძეს.

— წემო მეგობარო, ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ არტისტი ხართ. არტისტს კი

ნება არა აქვს იქდეს იმ მაგიდასთან, სადაც ორი რეჟისორი სვდება ერთმანეთს... თუმცა რეჟისორი ერთია, მეორე კი, ღმერთმა უწყის, როდის გახდება... ასე გთხოვთ, მანქანაში ჩაჯდეთ, თვატრში წახვიდეთ და ლენას უთხრათ, რომ ცოტა დამაგვიანდება. ფირაუზა კი დაბრუნდეს, რაც შეიძლება სწრაფად!

22 მარტის 12.32. სახტუმბროს ოთახი № 401

მშენებელი მუშაობა ლუქსში მაგიდაზე დევს ქართული ძველისძველი კონიაკი და ხილით სავსე ვაზა. საკმაოდ უცნაური წითელი კონვერტი ვიღაცას საფრანგეთის სამხედროვანი დროშის („ინტურისტში“ რომ გვხვდება) ქვეშ ამოედო. მირიანმა „მარსელოზა“ წაიღინა, კონვერტი გახსნა, წერილი ამოიღო და გაშალა:

„პატივცემულო მირიან! უმორჩილესად გთხოვთ, მოხვიდეთ საზღვაო ვაგზის პატარა ბაღში ილია ქავჭავაძის ძეგლთან. ფრიად საშური საქმეა. გთხოვთ მოგვიტევათ. თქვენი უცნობი მეგობრები. გიცდით ზუსტად 21 საათსა და 30 წუთზე.“

22 მარტის 12.41. სახტუმბროს საბანკოში დაბრუნება

სოთა იმის შესახებ ეწევა.

— დედს, ამ წვინათ რაღაცას ვფიქრობდი და უცებ გამახსენდა სანუკარი ოცნება — ლირი! ლირის თამაში მომინდა, ეტყობა, აღსასრული ახლოვდება. არ ვიცი... არ ვიცი... — მეცე ასატყუროს დირექტორს მიუიარხდა. — სიტყვამ მოიტანა და თამაშის ხმამ ვერ მიმოვნი? გაშითავდა და სიგარეტს ვერ ვეწევი...

— ხვალ გამოგვგავნით. ბებიამეში ჩამოვიდა სამკურნალოდ და ნამდვილი „სამსუნი“ ჩამოიტანა. ყველგან თან დაქვს, თქვენი არ იყოს, სხვას ისიც ვერ ეწევა. — უბასუხა დირექტორმა და საათს დახედა.

შემოვიდა მირიანი, ახალი პერანგი და ჭინსები ჩაეცვა, წვერი გაეპარსა.

— ააა, დავსხდეთ, დავსხდეთ! — აჩქარდა დირექტორი.

როცა ყველამ მონახა ადგილი, კარი გაიღო და უღვაშა ადმინისტრატორმა შემოიყვანა უსაშველოდ ლაშაში ოცდაათიოდე წლის ქალი. მირიანმა უნებურად რაღაც წამოიძახა, ისეთი ლაშაში იყო ეს არსება. დირექტორი მწვანოვან ლეჟავდა, მაგრამ მაინც მოახერხა:

— შემოდი, შემოდი, ნატაშა. გაიცანით — ეს ნატაშა. კრასნოიარსკიდან ჩამოვიდა დასახვედრებლად. დაქვე. — მიუთითა დირექტორმა. მირიანს გვერდით, ცარიელ სკამზე. — შენ კი, ტარიელ, — ახლა უღვაშა ადმინისტრატორ ქალს მიმართა, — აქ მომიჯექი. ესეც ასე! ახლა, დავლიოთ? — დირექტორმა კონიაკი გადაჰკრა.

მირიანი არც სვამს და არც კამს, თვალის დაუხამხამებლად შეხსტყერის მშენებელი ნატაშას ანტიკურ პროფილს, ძალთან რომ აგონებდა ნატალია გონჩაროვას.

— რა გვინათ? — მოულოდნელად ჰკითხა ნატაშამ მირიანს.

ნატაშას საუცხოო ხმის გაგონებაზე მირიანი ისე დაიბნა, ვიდრე არ დაფიქრდა, ვერ უბასუხა.

— მირიანი.

— მირიანი? — გაოცდა ნატაშა.

— დიას, მირიანი, — გვყავდა ქართველებს ასეთი მეფე, რომელმაც ქრისტიანობა გამოაცხადა სახელმწიფო სარწმუნოებად... — მცირე პაუზის მერე სიამოვნებით დასძინა, — მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში.

— მე სრულიადაც არ მაინტერესებს საქართველოს ისტორია. — თქვა გულგრილად ნატაშამ და ხაჭაპური ჩაჰბიწა, — სახელი კი იმიტომ გკითხე, რომ გამეგო, რას წარმოადგენ...

სოთამ შიშით შეხედა ნატაშას, ტარიელმა კი ღრმად და ტრაგიკულად ამოიოხრა.

— რეჟისორი ვარ.

— კინოსი? — აფორიაქდა ნატაშა.

— არა, თეატრისა. — გამოუტყდა მირიანმა.

— რას მეუბნები?! — გაეცინა იატაშას. — გუშინ ამ კანონებამ (ინტურისტის) დირექტორზე მიუთითა და აკონკრეტა კაცმა მრავლისმეტყველად სტუდენტსა (სტუდენტის) სტიუარტზე. წამოუვანა. იცო, რა უაღა გკითხო; რა საჭიროა, ყოველ რაიონულ ცენტრში თეატრი რომ გაქვთ? — და მიუხედავად დირექტორისა და აღმინისტრატორის შემაბრუნებელი სახეებისა, გასაგძო, — საშინელი სპექტაკლია, რაღაც კოშმარი... — „რეცენზირება“ ვერ დაშთავრა, რადგან საბანკეტო დარბაზში ინტურისტის დირექტორის მოადგილე ლიოვა შემოვიდა. ხელში დებეშა ეტირა.

— ძვირფასო ნატაშა, — თქვა ლიოვამ, — ძალიან გთხოვთ, გამაგრდეთ... მოუბ... მოთ თქვენს სულიერ ძალებს... გუშინ, 21 ოქტომბერს, გულირიფში, ზღვაში დაიბრჩო დუდათქვენი, რომელმაც ხუთი წლის გოგონა სკვორცოვა სიყვდილს გადაარჩინა, ბავშვი თავს კარგად გრძნობს...

22 ოქტომბერი. 13.02. რადიონული ცენტრი. პარტიის რაიკომი

პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის ალექსანდრეს მისაღები. სანდოშიანი გარეგნობის მდივანი თინიკო ფხზე წამოდგა და შოთას და მირიანს უთხრა.

— იცით, უცხოელები ჰყავს, ფრანგი მეღვინეები, ალბათ, ან წუთში წავლენ ღვინის ქარხანაში და მიგიღებთ, გამაფრთხილა, მოვლენო... გელოდებათ. — თინა ცნობის მოყვარეობით უყურებს მირიანს, რომელიც ისედაც აწუხრულიყო მიღების მოლოდინში შეგროვილი ზღბის „ყურადღებისაგან“. გაწითლებულმა თინიკომ მირიანს შეხედა.

— მე ვნახე თქვენი საყურსო სპექტაკლი. ძალიან, ძალიან მომეწონა. ჩემმა მეგობარმა დამაბოთა, ქველის მთავარ როლს ასრულებდა...

მირიანს სახე მოედუნა. თინას გაუკვირდა.

— მართლა? — იკითხა შოთამ, — რა მოხდა, რატომ არ გადაგატანინეს სპექტაკლი დიდ სცენაზე? რაც თქვენ გაქვს... წარმოადგენაც, რასაკვირველია! ბერიძემაც ხომ თქვა სეზონისწინა ინტერვიუში, დიდად ნიჭიერი რეჟისორი მოვიდა თეატრალური ინსტიტუტის მერხიდან და სადიპლომოს ჩემს თეატრში დგამსო.

მირიანი ღუშს. შოთამ გაიღიმა და განაგრძო:

— მესმის, მესმის... თქვენი ღუშილი სიტყვებზე მეტყველია... — მერე თინას მიუბრუნდა. — იმ ვიგინდარა ბერიძეს სტუდენტობიდანვე რეჟისორული იდეები კი არ სტანჯავდა, არამედ ის, როგორ ჩამოეცილებინა გზიდან ყველა ნიჭიერი კოლეგა, თავისი ზანწავდების, თქვენი მონა-მოჩრილის ჩათვლითაც კი. — შოთა წამოდგა და თავი შედიდურად დახარა.

რაიკომის მდივნის კაბინეტიდან ჟივილ-ნივილით გამოვიდნენ სტუმრები. ახალგაზრდა გოგონა. — მათი თარჯიმანი და გიდი — ინტერესით უსმენს საკმაოდ ხნიერ, მაგრამ მოხდენილ ფრანგს. გოგონამ დაინახა თუ არა მირიანი, სისარულისაგან შეჭკივლა, ახალგაზრდა რეჟისორს ეცა და გადაჰკოცნა:

— მირიან, არ გადამრიო! უკვე დაიწყო? თუმცა რას გეკითხები, სამი დღის წინ არ ვნახე თბილისში? — შემდეგ ფრანგ მეღვინეებს მიუბრუნდა. ეს მშვენიერი ენა რომ გვესმოდეს, ჩვენც გავიგებდით:

— საქართველო მსოფლიო შესანიშნავი ღვინოების ქვეყანა არ გეგონოთ. ჩვენმა სამშობლომ არაჩვეულებრივი თეატრითაც გაითქვა სახელი. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ რეჟისორი მირიან მიქელაძე, ჩვენი სიამაჟე და ქართული თეატრის იმელი.

ფრანგებმა გაიღიმეს. შოთამ ჩაიცინა და მწარედ ამოიოხრა.

— დიდი ბოდიში, მირიან ბატონო, — სთხოვა დამწყებ რეჟისორს დიდულვაშანმა მსუქანმა კაცმა, — ძან გვეჩქარება და უნდა წავიდეთ.

უცხოელები უღვაშას მიჰყვნენ, თან მირიანს ხელს ართმევდნენ და ჩვენთვის კარგად ნაცნობ სიტყვებს „პარდონსა“ და „ორეჟუარს“ ეუზნებოდნენ.

— „ინტურისტში“ ვარ, ხალხებს ამოდი! — შორიდან დაუძახა მირიანს თავისი
მა გოგონამ.

— სხვათაშორის, მირიანაც „ინტურისტში“, 401-ში, ლუქსში! — მიაძახა ნაწვე-
მა შოთამ და რაიკომის მდივანის კაბინეტში შევიდა.

მირიანი მართლ დარჩა. დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა... მალე კარი გაიღო და თავად
რაიკომის პირველმა მდივანმა მიიწვია ხტუშარი ოთახში.

22 მარტის 1936. რაიკომის მდივანის კაბინეტი

კაბინეტში გრძელ მაგიდაზე სადგურსტაციო ჭიქები იდგა, რომლებსაც სწრაფად და
მონერგულად ალაგებდა მდივანი თინა.

შოთამ შინაურულად გამოაღო მაცივარი, „ბორჯომი“ გახსნა, ჭიქაში ჩაისხა და
ტელეფონს მიუჯდა.

— ჩვენ ძალიან გავგინარდა, — თქვა სანდომიანი გარეგნობის რაიკომის მდივანმა,
— ძალიან, ძალიან გავგინარდა, რომ თქვენ, დიას, სწორედ თქვენ გამოთქვით ჩვენს
თეატრში ჩამოსვლის სურვილი. დიდი იმედი მაქვს, რომ მთელი თეატრი და ჩვენი
ძვირფასი ბატონი შოთაც სიხარულით შეგხვდებიან და უფელ ღონეს იხმარენ თქვენი
სადილმომო სპექტაკლის მაღალ ღონეზე დასადგმელად.

შოთა ტელეფონშიც ლაპარაკობს და მდივანსაც უსმენს ღიმილით.

— ლენას დაუძახე, ლენას! ჩქარა! გამოვიდეს ერთი წუთით... კრეტინი!

— მართლა, შოთა! მპატიეთ, მირიან! ბატონო შოთა, გადმომცეს, თითქოს სვალ-
სთვის პრემიერა დაგინიშნავთ და გახინჯვა და ჩაბარება არ იქნებაო.

— დავნიშნე, ჩემო საშა, დავნიშნე! პრემიერა ხვალ გვექნება. ჩაბარება რა საუ-
როა, პიესა მხატვრის სამი თვეა მიდის. ბერძენმაც პრემიერა ამ ზუსტი დღის წინ ითამაშა...
ვისაც ნახვა უნდა, მომზადდეს და ნახოს... ეს ნამდვილად არ ამიკრძალავს... ნახონ,
ბატონო. მაგრამ თქვენ ვინდათ სპექტაკლის გახინჯვისა და ჩაბარების წესი არ დაარღვი-
ოთ, ხომ მართალია? დღეს ვენერაღური მაქვს. შემძლია ხვალაც გირვენოთ... გვითხრას
ქალბატონმა ნინომ, როდის მოიცლის და მომზადდეს.

რაიკომის მდივანმა სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა.

— გისმენთ, ალექსანდრ ნიკოლაევიჩ! — გაისმა ქალის ხმა

— თქვენა განყოფილება რატომ არ მიდის ახალი სპექტაკლის სანახავად ჩვენს
თეატრში?

— ალექსანდრ ნიკოლაევიჩ, ჩვენი განყოფილება სიამოვნებითაც ნახავდა სპექ-
ტაკლს, მაგრამ, ხომ იცით, იმ კელებტრიშვილას ახირებული ხასიათი, ხან ერთს ამბობს,
ხან — მეორეს, ჭირვეულობს, იბრანჭება... არ მესმის, სანამდე უნდა ვითმინოთ მისი
თვითნებობა და ამბიციები.

— მე თქვენ გიკრძალავთ, პატივცემულო ნინო, — იყვირა კელებტრიშვილმა სელე-
ქტორში, — გესმით, მე თქვენ გიკრძალავთ ჩემზე ასეთ ლაპარაკს! ასეთი შეურაცხუ-
ლთა არავისთვის არ მიაბიძგებია და არც ვაპატიებ! მოიცა, ლენა, შენ არ გეუბნები! —
ჩახსძახა ყურმილში.

— დაწყნარდი, შოთა, — მკაცრად თქვა მდივანმა. — ქალბატონო ნინო, ძალიან
გთხოვთ, დღესვე ნახოთ სპექტაკლი და მერე შევიკრიბოთ და სერიოზულად ვიმსჯე-
ლოთ იმ თავნებასთან ერთად, როგორც თქვენ უწოდებთ. — და გამოითშა სელექტორი.

შოთა ახლა უკვე ლენას უყვიროდა:

— ხომ გაიგე, ლენა, ამაღამ გახინჯვა იქნება! დიას, დიას, რაიკომის მდივანთან
გახლავართ, კაბინეტში! მსახიობები გაუშვი, დაისვენონ. მალე მოვალ... მალე მოვალ-
მეთქი

შოთამ ყურმილი დადო. შეწუხებული შემყურებდა რაიკომის მდივანს. მერე წაი-
ბურტყუნა:

— უნდა მაპატიოთ... მეტი აღარ შემიძლია... გეტუბა, დავებრდი.

— აი, ასე მხოლოდ შოთა კელეტარიშვილს აქვს უფლება ილაპარაკოს, — შეუ-
რიგდა სამხატვრო ხელმძღვანელს მდივანი, — მირიან გიორგევიჩი. თუ რაიმე დაგვი-
დებათ, გვიმსახურეთ. რაიმე პრობლემა თუ წამოგვეჭრათ (როგორც ხედავთ, ეს შესა-
ღებელი ყოფილა), — ღრმავარჯიშად შეხედვა შოთას, — პირდაპირ, ყოველგვარი ცე-
რემონის გარეშე დამირეკეთ... თუ არ ვიქნები, თინას დაუბარეთ. თინა, მგონი, გიც-
ნობთ, არა? შენ კი, შოთა გიორგევიჩი, გირჩევ ხვლიდან პრესას თვალი ადევნო. შენი
წოდების საკითხი უკვე გადაწყდა. თბილისიდან დამირეკე.

შოთას ამ სიტყვებმა კართან მიუსწრო; შეჩერდა. ძალიან სერიოზული გამომეტყ-
ველება ჰქონდა.

— დიდი მადლობა! დიდი, დიდი მადლობა პირადად თქვენ, ალექსანდრ ნიკოლაე-
ვიჩი! — მედიდურად წარმოსთქვა უკვე სახალხო არტისტმა და მდივნიცენ გაიწია,
მაგრამ ბატონმა ალექსანდრემ შეაჩერა:

— რა საჭიროა... კარგი, ახლა! — თქვა და „ბორჯომი“ მოსვა შოთას ცვარმოკი-
დებული ქიქიდან.

22 ოქტომბერი. 18.49. მანქანაში

— მირიან, — ამბობს შოთა, — დღეს თავისუფალი დღე აქვით. დაიწყეთ, გეგმა
ასეთი იქნება: პრენიერის შემდეგ, ზეგ დალით, 11 საათზე, ჩემს კაბინეტში შევხვედებით
და დაწვრილებით მოვილაპარაკებთ; როდესაც გავანაწილებთ, მაკეტსაც ჩავუშვებთ
წარმოებაში, ტრისტაქსაც გამოვიძახებ, ჩვენი მთავარი მხატვარია, თქვენს მგონი, ერ-
თად სწავლობდით... მეორე დღეს კი დასს წარვიდგენთ და რეპეტიციასაც დაიწყებთ.
როდები, ალბათ, უკვე გადაწყერეს... გააჩერე, ფირუზ, გააჩერე! აუთოქთან! ჩქარა!

22 ოქტომბერი. 18.53. ავთიპი

ავთიპის გამგე დიდ ვაშლს ფტყნიდა და მდიდან შეეძევოდა.

— ამახ უის ვხედავ, შოთა, გენაცვალე! — წამოიძახა ავთიპის გამგემ და სახე
დიმილმა გაუნათა. მომილოცავს! როგორც იქა, ველირსეთ! რამდენი ხანია უნდა მოეცათ.
მომილოცავს, მომილოცავს, წოდება, ჩემო შოთიკო!

აღელვებული სამხატვრო ხელმძღვანელი დაუსხლტა მსუქან პროვიზორს და ტელე-
ფონს ეცა.

— თინა, მე ვარ, შოთა. — შოთა ჩურჩულით ლაპარაკობდა, ხომ არ იცი, მესხმა
მოიღო თუ არა?

პასუხი უხატველ მოისმინა და ყურმილი ფრთხილად დაკიდა.

— ესეც ასე. კიდევ ერთი მოსისხლე მტერი გაგვიჩნდა: მესხს, რასაკვირველია,
არ მისცეს. ნამდვილად მომკლავს.

— რას ამბობ, შოთიკო! — ამშვილებდა გამგე. — როგორ არა ვრცხვენია?!
მესხი შეხანიშნავი აღამიანია. არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ ჯერ შენი რიგია... მერე
იმისი. ამ ქვეყნად ხომ არსებობს ობიექტურობა და, რაც მთავარია, ჩემო შოთუნი,
სამართლიანობა!

— ვიცი, ვიცი... მაგრამ შემჭამს იმ შენი ობიექტურობისა და სამართლიანობის
მიუხედავად. გამომაძევებს. ზედაც ის ძუძუმწოვარა დიბლომანტი რომ დამატა... „ჩვე-
ნი“... — შოთამ ფრანგულად გაიმეორა თარჯიმანის ნათქვამი, — „ჩვენი სიამაყე და
ქართული თეატრის იმედი!“ — და კაბინეტიდან გავიდა.

ავთიპის გამგემ, თითქმის არაფერი მომხდარაო, ისევ ვაშლს დაავლო ხელი.

22 ოქტომბერი. 14.12. მანქანაში

მანქანაში დუმდნენ. მოულოდნელად შოთამ გადაიხარხარა.

— ღმერთო ჩემო, რა სასაცილოა. ამდენი ეწამო. ამდენი ეწვალო. მოეღი ცხოვრე-

მა შედეგად, ცხარეა სიამაყეს, მედიდურებასა და სხვა ქვენა გრძნობების მთელი წყნარებასა და სიამაყეს, რომ შოლოს, შენი წყნარება რომ ჩაცხვენა, ჯილდოდ იგემო ცხოველური სიამაყეს და სიამაყეს ღამის უფლებსა მოიპოვო... — უცნაურია თბილისი, — მირიანა, — შესედე, მირიანა!

სასტუმროდან ნათანა გამოვიდა. მას დარბაზისკენი ქართველი ქალი ახლდა. „ინტერესის“ დირექტორი და ეგება სტალინისთან დიდი ქალებს უკან მიჰყვებოდათ. ბინის კართან უფლებსა ტარდელი იღვა და ღამაში ცხარესაოცით ცრემლებს იწმენდა.

ნათანა უკან სადარბაზოზე დასვდა, კეთილი და ამავე დროს მწუხარე სახის სიმბალირება ქალმა სტალინის მსახურსა მგლოვარეს, ღიოვამ საკუთარი „ჟიგუი“ დაქოქა და დაიძინა. დირექტორი და ადმინისტრატორი სევდიანად უცქერდნენ მიმავალ ავტომანქანას. მერე სასტუმროში შებრუნდნენ.

— მღა... — მრავალმნიშვნელოვნად და ღრმა სევდით ამოიოხრა შოთან, — ასეც ხდება... — მერე რატომღაც ბანადური სიტყვების შერცხვა.

მირიანი შოთან დაემხედო და მანქანიდან გადმოვიდა. გადმოვლილას ფირუზასაც დაემხედო.

შოთან ფაქრიდან გამოიხედა და მირიანს უთხრა:

— ნუ გეწყინებათ, მირიან. გასინჯავს რომ არ გიწვევთ. თქვენთვის სულ არ არის ხაჭაპური, გაიგოთ, როგორ მსჯელობენ სპექტაკლებზე აქაური ბელინსკები. ესე იგი. სულ საღამოს შეესვდებით, ნახვამდის.

22 წესდარბაზი. 15.55. სასტუმროს ნომერი 401

ტელეფონი რეკავს, მაგრამ მირიანი საბაზანოშია და არ ესმის. ან რას გაიგონებს, როცა ხან ცხენივით ჰინინებს, ხან იტალიურ არიებს მდერის, და ხანაც მოწოდებებს წარმოთქვამს. თანაც საგულდაგულოდ იცოდებს ჭუჭყს.

კარზე დააკაკუნეს. ამ ელღვანტურ კაკუნს მირიანი კი არა, ვერავინ გაიგონებს, კარი გაიღო და ოთახში შემოიძვრა ასე ორმოციოდე წლის მომზადი ქალი და კართანვე გაჩერდა.

— მირიან, შენა ხარ? — იკითხა მან. საბაზანოდან უცნაური ხმაური იხმოდა. ქალი ოთახში შემოვიდა. კარი დახურა. მიხედ-მოხედდა, მაცივარი გამართო, ფანჯრები დაკეტა. ჩანდა გაღებულ და პორტატიული მაგნიტოფონი ამოიღო, მაგნიტოფონი მაგიდაზე დადო. ზონარი ელექტროქსელში ჩართო. სარკესთან მივიდა და თავი შეათვალიერა. მერე თმა შეიწწრა და სადარბაზოში ჩაქდა. ცოტა ხნის შემდეგ მუნდაშტუკი ამოიღო და „მალბორს“ მოუყიდა, მოქანა და ფეხი ფეხზე შევებით გადაიღო.

მირიანი სიმღერით გამოვიდა საბაზანოდან, ფეხები ქოშებში გაეყარა. ტიტველ ტანზე მოკლე საბაზანო საღათი მოესხა და დიდი პირსახოცით თავს იმშრალედა. წვეთები წურწურით ჩამოხდიდა. მირიანი ტელევიზორთან მივიდა, ჩართო, მაგიდიდან ვაშლი აიღო და ჭიკ, საოცრება: მიკროფონი და კიდევ ქალის მშვენიერი ფეხები შენიშნა. წამსვე მოიშორა სახიდან პირსახოცი.

— გამარჯობა, ბატონო მირიან, — მიუგო ქალმა ჩვენს თავზარდაცემულ გმირს, — დიდ ბოლოს გიხდით ოკუპაციისთვის, მაგრამ ჯერ ვერცე, ვიცოდი, შენ რომ იყავით, ყურმილს კი არავინ იღებდა. მერე ვაბრაძუნე, შენც არ მომიყვდე! ნომერთან დგომა ნებნებია, ვინმე დაშინა? ხომ იცით, პრეზიდენტი ქალისათვის რა საშიშოა სასტუმროში შემოსვლა? აი, ამიტომაც დაეკრძალა შემოვიდი. მე ადგილობრივი გაზეთის თანამშრომელი გასტუმრებ, შეთავსებით ადგილობრივი რადიოს დირექტორი და კორესპონდენტიცა ვარ. ნესტანი მჭედა, დურგლიშვილი...

მირიანი, როგორც იქნა, გონს მოეგო, სტალინისაზე შეიწმინდა და ნესტანის გამოწვევით მარჯვენას მიხვდა. ჟურნალისტს სტუმრებზე მრავალრიცხოვანი სამკაული ეკეთა...

და აქვე გაისმა მზამდალი შეძახილენი...

მირიანი შეხტა, მიხედ-მოიხედა.

— ტელევიზორია, ტელევიზორია, — გაეცინა ნესტანს, — სუ გეშინიათ. თქვენ რომან პოლინსკი არა ბარბ და არც მე გახლავართ ის ფრანგი წიმა. ასე რომ, დედა არ მომიყვანია, ჩემს უვარილზე წომერში რომ შემოიჭრას და აჟალ-შაჟალი ავითვით სტუდენტოვანთა შედგენისათვის.

— იავიცავი, თუ ნებას მომცემთ. — გაწითლებული მირიანი საწოლისაკენ გაეშურა.

— რა საჭიროა! — ელვანტურად შემართა ხელები ნესტანმა, — ეს ძალიან გიხდებათ. დიდხანს არ გაგაწვავდებთ, პატარა ინტერვიუს ჩავწერთ და წავალ. ცოტას რადიოთი გადავცემ, რაც დავგრჩება, ადგილობრივ გაზეთში დავბეჭდავთ.

ნესტანმა ტელევიზორი გამორთო, სააბაზანოში შევიდა და ონკანები დაკეტა, თან საამოდ უღურტულდებდა:

— სულ რამდენიმე სიტყვა მინდა თქვენი მომავალი სამუშაოს შესახებ. რამოდენიმე სიტყვაც — ჩვენს თეატრზე. რა იცით მასზე, რატომ ამოირჩიეთ მაინცდამაინც ეს თეატრი? — ენეს მხარეზეც თუ იტყვით რაიმეს, ძალიან დამაფლანკებთ. ალბათ, ჩვენს მიღწევებს გაიგებდით, თუ ამასაც არ გამოტოვებთ და რადიოში მდივანსაც მოიხსენიებთ (აქვე გეტყვით, შიძაჩემია), საუკუთოდ დამავალბებთ. და სულ აოღოხ, ალბათ, შოთა კელბატაშვილსაც მიუღივაცავთ. ეს მახალა ცოტა მოგვიანდება წავა. ასე რომ, ზუსტად იმ დროს გაიცხადო.

— რას მიფულოცავთ? — დაიბნა მირიანი. ნესტანმა ჩართო მაგნიტოფონი.

— არ იცით? სასალხობა მიიღო. ამ დღეებში რესპუბლიკის ცენტრალური პრესაშიც იქნება. ასე რომ... დავიწყეთ. გთხოვთ, ბატონო მირიანი!

— მე ვერაფერს ვერ გეტყვით. — წყნარად თქვა მირიანმა და საწოლის ოთახისაკენ გაეშურა.

ნესტან დურგლიშვილმა გრძელი წამწამები დაახამხამა და მირიანს გზა გაღაღღობა:

— აი, რომ მაწყენინოთ, ამის უფლებას კი არ მოგცემთ! ვერც მაწყენინებთ. თქვენ ხომ კეთილი, ინტელიგენტი უმაწიელი ხართ! — ნესტანმა ხელყავი გამოსდო მირიანს და მაგიდასთან დააბრუნა, — ნუთუ მართლა არ გახსოვართ? ჩვენ ხომ ერთად ვწავლობდით, თქვენ არქიტექტურულზე, მე კი — ხელოვნებათმცოდნეობაზე... ნუთუ მართლა აღარ გახსოვართ? — და ნესტანმა მირიანი სავარძელში ჩასვა, მაგნიტოფონი ჩართო, მიკროფონი გაუწოდა და სთხოვა: დავიწყეთ!

— მე ვერაფერს ვერ ვიტყვი! — მირიანი წამოდგა, მაგრამ ნესტანმა წამსვე სტაცა ხელი.

— ბატონო მირიან, გესვენებთ, გემუდარებთ, ბოლოს და ბოლოს, ქალი ვარ, ამდენი არ უნდა მაწვადოთ! — უცებ მოიხაზრა, — ეგებ მიკროფონის გეშინიათ? თუ გნებავთ ჩავრთავ მაგნიტოფონს და ვისაუბროთ, მერე დავამოხტავებ. ან თუ გნებავთ, დავლიოთ გამბედაობისათვის! — და კონიაკის ბოთლს მისწვდა. მირიანმა წყნარად გამოართვა ბოთლი და ბუფეტზე დადო. ნესტანი ისე დაიბნა, ლამის ტირილს დაიწყებდა.

— კარგი, კარგი, დაწყნარდით, — ძლივს მოითქვა სული ნესტანმა, თან ჩანთიდან ქაღალდი და ფანქარი აწოღო, — გაზეთისათვის მაინც მითხარით ცოტა რამ.

— აი, ეს შესისი! დაწერეთ რაც გნებავთ, და დაბეჭდეთ, თანახმა ვარ! — თქვა მირიანმა და მეორე ოთახში გავიდა.

ნესტანი გაფითრდა. ამ მშვენიერ ქაბუკზე არც ქალის სილამაზე მოქმედებდა და არც არაფერი. ის-ის იყო უნდა აბარგულიყო, რომ უეცრად წამოიძახა:

— მირიან, ერთ კითხვაზე მაინც მიპასუხეთ! თუ გეშინიათ, ეს არც გაზეთისათვის შინდადება, მით უწევს, არც რადიოსათვის! ისე, ჩემთვის... მაინტერესებს, რამ გიძლივიათ ამ სულელიურ ქალაქში ჩამოხვდეს? ნუთუ მართლა გგონიათ, თეატრს ვაღაგვი...

ჩვენს? ხომ იცით, ეს შეუძლებელია!

თავდალაშქრული, თითქმის შეწყველი მირიანი საწოლზე ედო; ხალათი ძლივს უფარავდა ნაგარკიშვე ტანს.

— მიყვარს სულელური ქაღალდები, — უბახუნა მირიანმა, — მიყვარს სულელური თეატრები, ძალიან მიყვარს პროვინციული თეატრები... საერთოდ, პროვინცია მიყვარს და სწორედ იმიტომ მიყვარს პროვინცია, რატომღაც თავად პროვინციელებს რომ ეჯავრებათ

სჯელი რომ გააზიდა, თავზე წინა წაშლისდგომოდა, ზელში ნაჭახი ეჭირა. თავზარდაცემული მირიანი თვალს არ აცილებდა წინის, მერე ძლივს ჩაიჭურჩულა:

— არა, არა, წინა არაფერიც არ მომხდარა, რაღაც გაუგებრობაა... რაღაც სისუფილი... მაგრამ წინადადების დამთავრება ვინ აცალა! — წინა ნაჭახი მოიქნია და პირდაპირ თავში დარტყა მირიან მიქელაძეს.

ტელეფონის ზამი გამოადგოდა. წამოდგა და აქეთ-იქით იხედება უაზროდ. ძლივს იპოვა ყურმილი.

— ვინ ბრძანდებით? შოთა? რომელი შოთა? უკაცრავად, ბატონო შოთა. მეძინა და... რა? გასინჯვა დამთავრდა? კი მაგრამ... რომელი საათია? შეუძლებელია! — მირიანი საწოლიდან წამოვარდა — უნდა მშაპიოთ... ხვალ თერთმეტზე! აუცილებლად მოვალ. რა მოხდა? თუ რაიმე შემძლია, დიდი სიამოვნებით... არა, არ დამავიწყდება. ზუსტად თერთმეტზე. ნახვამდის! — მირიანი სასტუმრო ოთახში გამოვიდა, ჩემოდანს დავიწყო ზედი და კარქვეშ შემოცურებული წითელი კონფერტი დაინახა; აიღო, წერილი გადაშალა: „პატივცემულო მირიან! გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ გადაგვადებინა შეხვედრა, მაგრამ მხოლოდ ერთი საათით. ესე იგი, 22 საათსა და 30 წუთზე... ბოლოს გიხდით. შეხვედრის ადგილიც შეიცვალა: გელაღებით ქალაქის სკვერში, ოპერის წინ.

22 ოქტომბერი. 22.15. ქალაქის სკვერი

ქალაქის სკვერში, ოპერის წინ, მხოლოდ მამაკაცებს მოეყარათ თავი. ვის არ ნახავდით: უფროსკლასელსა და მის ღირეკტორს, გრძელწვერა მოხუცსა და გრძელთმანი სტუდენტს... ისინი ყურს უგდებდნენ ადრე გაქაღარაგებულ ორმოცდაათიოდე წლის კაცს, თავლები ფანატურულად რომ უბრწყინავდა და ძალიან ჭგავდა რომელიღაც გამორჩენილ ფიზიკოსს.

— უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა კატასტროფულია! ეს გამოწვეულია იდეის კრიზისით, რაც თავისთავად ხელმძღვანელობის დაღუპის შედეგია. მექრთამობა, კორუფცია, უკანონობა ძირითადი თხრიან და საფუძვლიანად ანადგურებენ რაინდულ სულს, რომანტიკას. ღალი თავისუფლების შეგრძნებას. და, რაც მთავარია, ელიმენტარულ ადამიანობასაც. თუ გნებავთ დადგა დრო. დავამსათ პრაგმატიკაში, როგორც აზროვნების ფორმა და ცხოვრების წესი. და ეს წმინდათაწმინდა ბრძოლა დღესვე უნდა დავიწყოთ. დღესვე, ახლავე! — სამარისბიურ სიღმრთეში ორატორი მირიანად ადგა, ზრნასთან მივიდა და ბაპირისის ნაწივე ჩააგდო. მერე მსმენელთაყენ შემობრუნდა. — მაგრამ... ვინ დაიწყებს ამ ომს? — მკითხავთ. ალბათ თქვენი იმედი მაქვს და გიპასუხობთ: ჩვენ, ჩვენ უნდა დავიწყოთ, რადგან ჩვენ ნაღდი გულშემატკივრები ვართ ამ მშვენიერი თამაშისა! უნდა შევეუბნოთ და გაბედულად სწავალდო შეგასხნოთ ყველას ღებბურთის პოტენციალები და აქსიომები. მხოლოდ მაშინ გაუთვალისწინებელმა ტყავის ბურთის ერთგულ მსახურებს, ღებბურთის ჭეშმარიტ თეორეტიკოსებს და პრაქტიკოსებს...

აქ ორატორმა მირიანი დაინახა, რომელიც პირდაპირი უსმენდა ამ საოცარ სიტყვას. გულშემატკივართა ჯგუფი მირიანისაკენ შემობრუნდა. დამწყები რეჟისორი ვერვინ იცნო, მაგრამ ზრდილობიანად მიესალმნენ. მირიანმაც დაუკრა თავი უცნობებს. გულშემატკივრები მაშინვე ორატორს მიუბრუნდნენ. იმანაც არ დაუყვნა.

— დღეს მივიღე მოსკოვიდან „სოკრის“ ბოლო ნომერი. ყურნალი საგნა პესი-

მისტური სტატეგიით ფეხბურთის თაობაზე. მაგრამ ერთი ნახეთ, რას წერს ტყვენი ჯარის უკანასკნელი რაინდი სერ სტენლი ჰიუზი: „მე მჯერა ამ თამაშისა, როგორც მანქანის ბუნების განაწილება, სიკეთისაგან სიბოროტის ძლევამ... დარწმუნებული ვარ, ~~ამაღსკნელად~~ რომანს მიუზი, — თავად ფეხბურთი იპოვის თავის წიაღში იმ ძალას, რომელიც ეს-ებს არის ეალიბდნა. ვას იკვალავს... თესლი ადრამინდებდა და მალე, ძალიან მალე ჩვენ დიადი ჯარაქმნების მოწმენი გაეხდებოდა!“ აი, წაიკითხეთ, თარგმანისათვის ბოლშის ვა გზლით, მაგრამ მექატიბოდა და უკეთესად გეღარ შეეძელი. ეხლა კი უნდა წავიდეთ, ალბათ, დღეს ადარ შოვალ.

მან ინგლისური უურნალი და თარგმანი გალახა სათვლიან მამაკაცს, რომელსაც ურუმრად გარს შემოერტყა გულშემატკივართა გუნდი. მერე ორატორი მირიანს მიუახლოვდა და წარუდგა:

— კახაბერ ნიკოლაძე.

მირიანმა პატივისცემით ჩამოართვა ხელი და ვინაობა დაუსახელა.

— მე დამეკისრა უღიდესი მისია, თქვენს უცნობ მეგობრებთან მიგაცილოთ, — თქვა კახაბერმა, — წავიდეთ, ეს აქვეა, ახლოს.

პატარა ჩინში შეუსხვის, შევიდნენ ორსართულიანი შენობის ლაზს სადარბაზოში და მეორე სართულზე ავიდნენ. კახაბერმა ჭიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

— ეს კონსპირაციული ბინაა. დაბრძანდით, ახლავე მოვალ. — თქვა კახაბერმა და გავიდა.

„კონსპირაციული ბინის“ კედლები მოფენილი იყო ფეხბურთელთა სურათებით, მსოფლიოს თერთმეტი პირველობის უნიკალური აფიშებით, მათ შორის რვა — უკანასკნელი ჩემპიონატისა იყო. მაგიდაზე კარტოთეკა და ბარათი იყო. ეტყობა, ჭერ ვერ მოასწრეს ბოლომდე შეესება. მირიანმა ბარათი აიღო: „იგნასიო პერეისა, იგივე „ჩიკო“. დაბადების წელი 1965. თამაში ბაიის პროვინციის ახალგაზრდულ ნაკრებში ღაიწყო. ნახევარმცველი...“

შემოდის კახაბერი.

— ჩემი კარტოთეკა ყველაზე სრულია კავშირში. ეს ჩემი მთავარი და ერთადერთი საქმე არ გეგონოთ, მხოლოდ შობია. თქვენ, ალბათ, დაგაინტერესებთ ეს ინფორმაცია: ვინესუელის 1964 წელს მწერალთა შტაბში ღანიშნის ალბერტო გომესი — თეატრის რეჟისორი!

მირიანს ძალიან მოეწონა კახაბერი, მახშინძელმა აბაყური ჩამოსწია. მწვანე მაუღ-გაღადარებულ მრგვალ მაგიდას დანათა და ოთახმაც წამხე იცვალა იერი. საიდუმლო ატმოსფერო გამეფდა: კედლები სიბნელეში ღაინთქა. სამაგიეროდ უცნაურად განათდა რვა ძვირფასი საფარძელი, მაგიდის გარშემო რომ ეწყო. ამპირის კედლის საათმა თქრთმეტკერ დაჰკრა. კახაბერმა მაჯის საათზე დაიხედა:

— ისინი თითო-თითო ან ორ-ორი მოგვლენ. ცუდად ნუ განსჯით: გამოაშკარავების ემინათ. ძალიან გათხოვთ. ყურადღებით მოუხსინოთ. მათთვის ეს სიკვდილ-საცოცხლო საქმეა.

კარზე დააკაკუნეს. შემოვიდა ხანშიშესულთა წყვილი. მამაკაცს მამინვე ვიცნობთ. ეს მესხია. მშენებლობის უფროსი“ რომ თამაშობდა. მან, როგორც წესია, ჭერ თავისი სიმპათიური ქაღალტონი გამოატარა.

— მირიამ მესხი ჩოლოყაშვილი, — თქვა ქაღმა.

— ვანტანგ მესხი. — თქვა აქტიორმა.

წუთის შემდეგ სამა ქალა შემოვიდა... ეს შეშინებული მოსუფი ქალები უკანა კარი-დან გამოვიდნენ. მათ მოჰყვა ორი, დახლოებით, სამიცი წლის კაცი. ერთ-ერთს თან ეზებრი ბუდდოვი წამოეყვანა. მათ ხელი ჩამოართვეს. მირიანს და მაგიდას შემოუხსნდნენ. კახაბერი სიბნელეში იჭდა, კედელთან.

ეს საიდუმლო კრება მესხმა გახსნა:

— პატივცემულო მირიან, — იგი ძალიან დელადა, — დიდ ბოდიშს გიხდით, უცნაური მოპატიუებისათვის, მაგრამ როცა ჩვენს სავალალო მდგომარეობას ვაიგებთ, ალბათ არ დაგვძრაზავთ... — მესხმა დაახველა თუ არა, ჩოლოყაშვილის ქალმა ცხვირ-სახოცი გაუწოდა. მესხმა შუბლზე ოვლი შეიმშრალა. მირიანიც საქმოდ ნერვიულობდა, არ იცოდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა ამ კრების მიზანი (თუმცა რაღაც ეჭვმა გულში კი გაჰყრა) მესხმა განაგრძო: მაგრამ ვიდრე არ გვეცოდინება მთავარი — ეს კი თქვენს მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული, იმ მოწოდებასთან, ცხოვრებისეულს რომ ეტყვიან... ერთი სიტყვით, ვიდრე არ გვეცოდინება. შეგიძლიათ თუ არა შესწიროთ თავი წმინდათაწმინდა საქმეს, მანამ მთავარზე არაფერს გეტყვი.

მირიანი გაშრა.

— გისმენთ, გისმენთ. — ძლივს წაიღუღლულა მან.

— თქვენ მართლა მხოლოდ სადიბლომოს დასადგმელად ჩამობრძანდით?

უკვლა მირიანს მიაჩერდა.

— დიას... მაგრამ გამაგებინეთ, რაშია საქმე? რას გულისხმობთ? — თქვა მირიანმა, როცა ეჭვითა და უნდობლობით ხავსე სახეებს შეხედა.

— ესე იგი, მხოლოდ სადიბლომოს დასადგმელად ჩამობრძანდით? — გაიმეორა მესხმა.

— დიას!

— სამწუხაროა! მაგრამ ეგებ გადაიფიქროთ! აი, რომ გითხრათ, ხვალდავც ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობას გთავაზობთ-მეთქი, არ გადახედვთ თქვენს გეგმებს?

— მე? მერე კელეპტრიშვილი?

— გაიგეთ, ხალხო, — წამოხტა ბუღდოვას პატრონი, — კელეპტრიშვილი უნდა დავამხოთ! ჩვენი თეატრი მაგან დაღუპა! ასეთი წარსულის თეატრი საშიში აღამიანის ხელშია! უნდა მოვაშოროთ, უნდა მოვიშოროთ თავიდან, და ეს მხოლოდ ჩვენი მიზანი არ გვეოწმოს. ეს მთელი ჩვენი უბედური ქალაქის ოცნებაა. დიდი ხნის წინ გავაგდებდით ამ არამაღლას, მაგრამ, გაიგეთ, ჩვენ რეჟისორები არა ვართ, ესე იგი, წინამძღოლობაც არ შეგვიძლია! თანაც, ყველაფერი ამის შემდეგ, თეატრში საშუალო მომთაბარე რეჟისორსაც ვეღარ მოვუყვანთ! არც გვინდა! დარჩით ჩვენთან, მირიან! თქვენ ახალგაზრდობას უყვარხართ, სიხარულით გამოგყვებიან, ვიღაც აუცილებლად გადმოვა დედაქალაქიდან, როცა გაიგებს, დარჩით და ახალ საქმეს იწყებთ... ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ! დარჩით, ის აუცილებლად უნდა მოვიშოროთ, გესმით, ხალხო?

— დაწყნარდით... დამშვიდდით... თუ შეიძლება, ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთ, — ითხოვა მესხი-ჩოლოყაშვილმა. ბუღდოვიანი გაჩერდა.

— მაპატიეთ... სიბერით მომღის, — დამნაშავეს ხმით დასძინა ბუღდოვიანმა, — დრო ცოტა დაგვრჩა და გაკეთებით ვერაფერი მოვასწარი... ბუღდოვიანი დაქლა და ზეული გადაუსვა ძაღლს, რომელიც პატრონთან ერთად ყველა.

მესხი-ჩოლოყაშვილი იცდიდა, ვიდრე ბურბონი (ახე ერქვა ძაღლს) დაწყნარდებოდა. მერე თვალნი აბაჟურს მიაბჟრო და დაიწყო:

— შეგობრებო, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბურბონმა ბოლღერი გამახსენა. (დგულა-მაციით), ქარს მოაქვს ზანდაზან თეატრის წკაგ-წყავი... ჩვენც ახე ვწყაჟწყავებდით. მთელი ჩვენი ცხოვრება. იმედი არაფრისა დაგვრჩა, ყველა დაგვაფიქნა და რომც არ დაგვიწყებოდა, მაინც ვერ დაგვიყვებდით, არ გვეოწმოს, შოთა კელეპტრიშვილის დამხობა იმიტომ გვინდა, მთავარი როლები გვაკლდეს. არა, ამ მხრივ ყველას კარგად გვაქვს საქმე. უბრალოდ, ჩვენ, თეატრის უზუცესთა ხაზგას, გვრცხვენია სიბოროტეს რომ დავემგზავრეთ. გვრცხვენია იმ გულგრილობისა და განუკითხაობისა, არსებული უსამართლობის მიმართ რომ ვიჩინეთ. ჩვენ გვსურს, სიყვდილის წინ მაინც ჩამოვირეცხოთ ის

დანაშაულო, ახალგაზრდობის წინაშე რომ მიგვიდგის, თავი გავიმარტოლო ისტორიის წინაშე, თუ გენბავთ კელეპტრიშვილის ჩამოშორებით ნაწილობრივ მაინც მოვიხსნათ სინდისის ქენჭნას, რადგანაც ეს იქნება ერთადერთი ღირსეული საქციელი, თეატრში ჩვენ მომქანცველ არსებობას რომ დაასრულებს. — დაჯდა თუ არა, ანთებული თვალე-ბიც გაუფერმკრთალდა:

— მირიან, — კვლავ წამოდგა მესხი. — თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი თეატრისა და თითოეული ჩვენგანის ცოდვილი ბედი. ხუთი წელი, მხოლოდ ხუთი წელი! რომ იცოდეთ რა მცირე დროს გთხოვთ! — მესხმა მირიანს ქაღალდები გაუწოდა. — ეს ჩვენი თეატრის დებულებაა. მისი დედანაზრი კელეპტრიშვილების წინააღმდეგ ბრძოლაა! ში-თასწარიებს არასოდეს არ უნდა ჩაუვდონ ძალაუფლება ხელში! დებულება ჩვენ შევად-გინეთ, შეგიძლიათ, გაცნოთ. პასუხი კი დილისათვის უნდა გვითხრათ.

— ასე რატომ ჩქარობთ? — იკითხა მირიანმა. — რამდენიმე დღეში რეპერტუებს დაფიქსებ... დამაკვირდით, ეგებ ის კაცი არა ვარ. ვინც გგონივართ, ჭერ ჩემი სპექტა-კლი ნახეთ, ეგებ არ გამოშდის და თუ გამოვა, ეგებ არ მოგწონთ ასეთი ხელოვნება, რატომ ჩქარობთ?

ბუღდოგიანის კაცი ისევ წამოდგა და ისევ აჰყვა ბურბონიც.

— ვჩქარობთ, დიახ, ვჩქარობთ იმიტომ, რომ ხვალ გვიან იქნება. დილისათვის კი არა, პასუხი აშლაშითვე უნდა ვიცოდეთ. გაჩუმდი ბურბონ! — დატუქსა ძაღლი და და-ჯდა.

ბუღდოგიანის დაქდომისთანავე წამოდგა პატარა, მიღებული მოხუცი ქალი. ის, აღბათ, თითქმის ვერ ხედავდა, რადგანაც უმსხვილესლინწიანი სათვალე ეკეთა.

— ახლავე ყველაფერს აგისნით. ამათ წერვები ვერ უძლებთ, ახატეთ. გამოსვლი-სათვის ჩვენ ხვალინდელი დღე ავირჩიეთ. საქმე ისაა, რომ დღეს სპექტაკლი არ მიიღეს. ნინა ტიმოფეევანა მშვენიერი ინტელიგენცია, ბედი გვეწია, ასეთი კურატორი რომ შეგვხვდა. მან აგვიკრძალა ხვალ პრემიერის თამაში. მაგრამ კელეპტრიშვილმა თვითონ ბატონი ალექსანდრე დაითანხმა ხელმოკრე გახსენჯავს. ეს საცოდაობაა, რასაკვირველია, არც იმას მოეწონება. გამოიკეთ? კარგად აგისნენო, ხომ მართალია, ამიტომ ჩვენც ხვა-ლინდელი დღე ავირჩიეთ. ზეგ გვიანი იქნება. ხვალ! გამოიკეთ? ხვალ! მხოლოდ და მხო-ლოდ ხვალ! ამიტომ მოვითხოვთ ასე სასწრაფოდ პასუხს, ხვალ დილაშდევ მე გგონი...

— არა! დილით გვიან იქნება! აშლაში, შუა ღამის პირველ საათზე! გაჩუმდი, ბურ-ბონ! — იყვირა ძაღლის პატრონმა.

ყველა პასუხს უცდიდა.

— კახაბერ, ერთი ჭიქა წყალი, თუ შეიძლება... — მირიანმა სიბნელეში გასძახა. რაღაცა გაჩნდარუნდა და კახაბერის ხელებმა მაგიდაზე ყინულჩაგდებული ჭიქა და „პებ-სიკოლა“ დადგა. მირიანმა დაისხა, მოხვა, თან ფიქრობდა.

ახლა ის კაცი ადგა, აქამდე ჩუმად ვინც იჯდა და უან გაბნენს რომ ჰგავდა.

— მესხის თქვენი, მირიან. აღბათ. არ მოგწონთ თქვენი როლი, ამ ამბავში რომ გერგოთ; შენი გზა ხელოვნებაში სისხლისღვრით რომ დაიწყო, ვერ არის კარგი საქმე, თავიდანვე შეტყმულების სათავეში აღმოჩნდე, ეს მაინცდამაინც წმინდანის საქციელი არაა. იხიც გასაგებია, რომ ახლა თქვენ ბელადობაც და წინამძღოლობაც გეშინიათ. მით უმეტეს — როცა გარკვეული გეგმები და პროგრამა არა გაქვთ. რა დასაშაღია, თქვენ ხომ ჭერ არც იცით, რისთვის მოხვედით ხელოვნებაში. რა ან როგორ უნდა თქვათ. მეთაურობას თუ იკისრებთ, უყუთესი სპექტაკლები უნდა დადგათ, ვიდრე ჩვენ თეატრში იდგებოდა! ეს არც ისე იოლი საქმეა. ესეც კარგად გვესმის! მაგრამ ძალიან გთხოვთ. დათანხმდით... თუ არაფერი გამოგვივათ, წასვალთ... მაგრამ თქვენი მისია მხოლოდ ახალი თეატრის შექმნა ხომ არ არის. სარეველა ვინმემ ხომ უნდა დაგვიჩვენოს. უცვგავმდგარი ჭირვები ვიღაცამ ხომ უნდა ამოძირკვოს. ვიღაცამ ხომ უნდა მოხნას ახალი თესლის დასა-

თესაღ? ეს ჩემის აზრით, უფრო დიდი საქმეა, ვიდრე შეიძლება კაცს ეგონოს! მთესველი სხვა იყოს, ჭანდაბას, განა ესაა საქმე; მაგრამ მე ისიც მესმის: ახალი თუ ვერ შეიძლება, თეატრი თუ არ გამოგვიდეთ, კელეპტრიშვილის გაქცევა სისასტიკის მეტი არაა. ფერი იქნება საზოგადოებისათვის და თქვენი სახელიც მათ თვალში საგრძნობლად შეილახება. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ობივაცილის აზრი ნუ შეგაშინებთ! ღრმად ვარ დარწმუნებული, თქვენგან დათესილი თესლი იჯექილუბს და მომავალშიც თქვენი საქციელი ღირსეულად შეფასდება.

მირიანი სდუმდა; ეს ფანტასმაგორია, ეს არარეალურობა თან აცინებდა, თან კი საშინლად აფრთხობდა. ეს რომ გაიფიქრა, გაეღიმა და თითქოს ამას ელოდაო, ოთახშიც გაისმა სიცილი. კახაბერი იცინოდა. ყველა მისკენ შებრუნდა.

— უნდა მაპატიოთ, მეგობრებო, მაგრამ, ეტყობა, მე და მირიანს ერთდაგიგვევ გავეცინა. რა სასაცილოები ვართ, ალბათ, შორიდან. ახლა ვინმე რომ გვიცქერდეს კოხმოსიდან თუნდაც ისტორიიდან: ძალიან პატარა ქვეყნის ციციკა ქალაქში, რომელიც არცერთ გეოგრაფიულ რუკაზე არ აღინიშნება, ერთი ბეწო სახლის ერთ-ერთ ოთახში უდიდესი ისტორიული კატაკლიზმების შესაფერი ვნებები დულს და გადმოდულს! პროვინციული თეატრი, რომელიც ხელოვნების ტაძრად არასოდეს იქცევა, რეჟისორი, რომლისგანაც რა დადგება, ღმერთმა უწყის! მსახიობები, ცალი ფეხით მარადიულ გუბები რომ ჩამდგარან — ეს ყველაფერი, დაიხადა, სასაცილო იქნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ იყოს. და როცა თქვენ დახმარებას გთხოვენ, თქვენი ფიქრები, ფიქრები ქალაქელი სნობისა, მუშათა მომავალი მსახურისა, თითქოს მიგვანიშნებენ, ეს რა პრობლემებია! ნუ დავვცინით, მირიან! არჩევანი აღარა გაქვთ: ან დათანხმდებით და დარჩებით, ან ხვალვე გაემგზავრებით! თუ თქვენ ისეთი უმწიკვლო ხართ, რომ შეგიძლიათ თქვენი სახელის სიწმინდეს ამდენი ადამიანი, ადამიანები რა მოსატანია, ხელოვნებაც შესწიროთ, მაშინ ხვალვე უნდა დაბრუნდეთ უკან! უკან უნდა დაბრუნდეთ. რადგან ვისაც უღალატეთ, მათთან ერთად ვეღარ იმუშავებთ.

მირიანი უკვე მართლაც შეშინდა. დაგვეთანხმებით, საქმემ ფრიად სერიოზული სახე მიიღო. ყველა ისევ მირიანს შესცქეროდა.

მირიანი წამოდგა. უხუცესნი გაისუსნენ. ბურბონმა რაღაც საფრთხე იგრძნო და ყოველი შემთხვევისთვის წინასწარ დაიღრინა.

— ჩემთვის... — დაიწყო მირიანმა და შეჩერდა. — მე — ისევ წარმოსთქვა ეს ერთი სიტყვა და ისევ დადუმდა — ასე არ შეიძლება, დრო უნდა მომცეთ, დრო უნდა მომცეთ... — სამ საათამდე მინც!

— ჩვენ ვეღარ მოვემზადებით და ხვალინდელ ბრძოლას წავაგებთ! — იყვირა ბურბონის პატრონმა.

ამ დროს კარზე დააბრახუნეს.

ყველა წამოხტა. სქელლინსიანმა მსახიობმა ქალმა ისე დაიხურჩულა, სჯობდა ეკიდოდა:

— ის არის! კელეპტრიშვილი! დავიღუპეთ! ყველაფერი დაგვეღუპა!

უხუცესნი მერი ოთახისაკენ გარბოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ და ეჭახებოდნენ. ბრახუნი გაძლიერდა. გარედან ვიდაცამ იყვირა:

— კახაბერ, გააღე, გააღე, შინაურები ვართ!

კახაბერმა კარი გააღო. ზღურობლზე სასტუმროს დირექტორი, უღვაშა აღმინისტრატორი და დირექტორის მოადგილე ლიოვა იდგნენ. სამივეს შეშინებულმა თვალებმა მირიანი მოძებნეს. უხუცესებმაც „ევაკუაციის“ დროს მშვენიერი მიზანსცენა რომ გაითამაშეს, მირიანს შეხედეს, მაგრამ რეჟისორის დაბნეულ და ცნობისმოყვარე თვალებს რომ წაწყდნენ, პირი შემოსასვლელისაკენ იპოვნეს, სადაც სასტუმროს ტრიუმფირატს შეკრებილი მიზანსცენა შეექმნა.

— მირიან, — დაიწყო ლიოვამ. — ძალიან გთხოვ, არ აღელდე! ასია ძალიან სუ-

ლელო ქალია.

— რომელი ასია? — იკითხა მირიანმა.

— სართულის მორიგე, გასაღებს რომ ვუტოვებ ხოლმე.

— რა მოხდა?

— თბილისიდან დარეკეს... ალბათ, შენებმა... არ ვიცი: ასია ასე ამბობს: . ნუ აღელ-
დები, ასიამ არცერთი ენა არ იცის... ერთი სიტყვით, უკანასკნელ რეისს უნდა დახვდე
და აუცილებლად უნდა იპოვნო.. — ლიოვამ ქალაღს დახედა, — იარ-კრავჩენკო,
სერგეი ოსტაპოვიჩი... დანარჩენს ის გეტყვის... იმან იცის, რაც მოხდა..

— იარ-კრავჩენკო?

— დიას, — თქვა ადმინისტრატორმა, — მაგრამ ნუ იღელვებთ... შესაძლოა, ასიამ
ყველაფერი აურია... უნდა ვიჩქაროთ!

— წავიდეთ! — მირიანი კარისკენ გაიქცა. — მაპატიეთ. — მიმართა უზუცესებს,—
— თუ ყველაფერი კარგად დარჩება...

(გაგრძელება იქნება)



აბუსერიძე გზელის ნოველა

„ქართული პროზის“ მესამე წიგნი („მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა მწერლობა“) იხსნება აბუსერიძე ტბელის მოთხრობით „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“. ეს ნაწარმოები მანამდე 1941 წელს იყო დაბეჭდილი სხვა, გამოცემელთაგან შერქმეული სათაურით — „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატანე“. როგორც ჩანს, საიმდროოდ სარისკოდ მიიჩნიეს ავტორისეული სათაურის შენარჩუნება.

შესაძლოა, ესეც იქცა ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ ამ თხზულებამ ვერ მიიპყრო ლიტერატორთა ყურადღება და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართული მწერლობის ისტორიის კურსში მისთვის საერთოდ არ მიუჩენიათ არავითარი ადგილი.

არადა, გულდასაწყვეტია ეს ამბავი. ერთი რომ, ნაწარმოები დაწერილია მეცამეტე საუკუნეში, 1232 წელს, ხოლო ამ საუკუნიდან სხვა პროზაული ქმნილება ჩვენს დრომდე აღარც ერთი არ შემორჩენილა; მეორეც, რაც უმთავრესია, მისი მხატვრული ღირებულება უეჭველად მეტ ყურადღებას იმსახურებს და ცხადყოფს, რომ მხოლოდ ისტორიკოსთა კვლევის საგანი არ უნდა იყოს ეს ძეგლი.


ოფიციალური ლიტერატურისმცოდნეობა ამ ძეგლს, ალბათ, პაგიოგრაფიას განუკუთვნებდა, რამეთუ სარწმუნოებისთვის თავდადებული პირის (მართალია, წმინდანის არა, მაგრამ ნეტარად მოხსენიებულის) მოღვაწეობა მოთხრობილი მასში. ხოლო ქართული პაგიოგრაფია საიმდროოდ, უკვე მეთერთმეტე საუკუნის გასულიდან, დაკნინების ვახზე დგას. ამიტომ შემთხვევით არ მომხდარა, რომ ვერც აბუსერიძე ტბელმა შეძლო მნიშვნელოვანი პაგიოგრაფიული ნაწარმოების შექმნა. მისი პაგიოგრაფიული ნოველა (პირობით ასე ვუწოდოთ) — ბასილის მიერ ტაძრის აშენება — თხზულებაში ჩართულია მკაცრად მოხაზული კომპოზიციური ჩარჩოს გარეშე. და თუმცაღა თხზულების უმთავრეს ნაწილს სწორედ ეს ნოველა წარმოადგენს, ის მაინც არ არის დამოუკიდებელი მხატვრული მთლიანობა.

კაცმა რომ თქვას, ავტორს არც უცდია რაიმე დამოუკიდებელი მხატვრული მთლიანობის შექმნა. მისი ერთადერთი მიზანი იყო წმიდა გიორგის სასწაულთა მოთხრობა, რამდენადაც ამ სასწაულთა „გეოგრაფიული არე“ აბუსერიძეთა საგვარეულოს სამფლობელოსაც უკავშირდებოდა. მაგრამ რაკი საქმე რუსთაველის ეპოქის ძეგლთან გვაქვს, ამასთან, როგორც აღინიშნა უკვე, მეცამეტე საუკუნიდან ჩვენს დრომდე მოღწეულ ერთადერთ პროზაულ ქმნილებასთან, ბუნებრივია, ჩვენი — დღევანდელ მკითხველთა — გამორჩეული ყურადღება ამ ძეგლისადმი. ხოლო ამგვარი გამორჩეული ყურადღებით მისი წაკითხვისას თითქმის თავისთავად გამოიკვეთება შიგ ჩართული, ზემოთ უკვე ჩსენებული პაგიოგრაფიული ნოველა.

შეგახსენებთ ამ ნოველის შინაარსს.

ქვითხურო ანუ კალატოზი ბასილი, რომელსაც ახლობელნი ბოლოკ-ბასილის ეძახოდნენ, აჭარიდან სამუშაოდ გაემართა სომხეთს, სადაც, თბილისის სიახლოვეს. აქ მას გამოეცხადა წმიდა გიორგი და უბრძანა: საშოვარისთვის კი ნუ ხარ მოცლილი, ტაძარი აშენებ მხოლოდ და მხოლოდ შენი ხელით, ისე, რომ ვერავინ გაბედოს შენი დახმარება, თორემ სახლეულითურთ ამოგწყვიტავო.

შეცბუნებულმა კალატოზმა მიუგო: რა ვქნა მე საწყალმა, ჯერ მარტომდარტომ ტაძარი როგორ ავიშენო, ამგვარი რამ დასაბამიდან დღემდე ვის უქმნია? მერე, ეს ერთადერთი ნუგეში მქონდა — უცხო დგილას მუშაობა ოჯახის სარჩენად, მომიტევე



და გამასრულებინეო ეს სამუშაო.

წმიდა გიორგიმ კვლავ უბრძანა: წარვედ კლარჯეთის უღბანოში, ობიზას. იქ გიორგიმ ერთი წმიდა ბერი, სახელად სტეფანე, მძიმე სნეულებით შეპყრობილი. ჩემგან განსუ-
რნება აღუთქვი და მოსთხოვე მოგცეს თავისი ჯორი, აგრეთვე რკინა, რომლისგანაც
ქვის სათლელი იარაღი გამოქედე. შენ რომ უღელი ხარი გყავს, იმ უღლეულით ქვე-
ბი ზიდე, ჯორით — ქვიშა, და მათ გარდა ნურავინ მოგეხმარება, კაცი იქნება თუ პი-
რუტყვიო.

ზარდაცმული ბასილი შინ რომ დაბრუნდა და სახლეულთ მოუთხრო ეს ამბავი,
იმით დაასვენეს — შექანებულაო ბოლოც-ბასილი.

შინიდან კალატოზი ობიზის მონასტრისკენ გაეშურა. სტეფანე ბერს დანაბარები
აუწყა, მისგან ჯორი და რკინა მიიღო (ამის ქმნისთანავე სტეფანე განიკურნა), დაბრუ-
ნდა და ტაძრის მშენებლობას წეულდა.

ამის შემდეგ მოთხრობილია რამდენიმე დამახასიათებელი ეპიზოდი, რომლებიც
სულ ორ-სამ გვერდზე ჩინებულად არის დახატული მარტოხელა კაცის მიერ ტაძრის
მშენებლობის პერიპეტები. ბოლოს ბასილიმ გაასრულა ეს საკვირველი ტაძარი, „დი-
დად შევნიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატ-
ვირთავადაც ძნიად შესაძლებელითა“.

ვიდრე ხსენებულ ეპიზოდებზე ვიტყვოდე რასმე (ჩემი საუბრის უმთავრეს საგანს
სწორედ ისინი წარმოადგენენ), უნდა აღინიშნოს შემდეგი: ავტორს არა მარტო ჟანრი
შეურჩევია მოძველებული და ყავლგასული, მისი სტილიც უკვე აშკარად აღარ შეესა-
ბამება სალიტერატურო ქართულის განვითარების საიმპროო დონეს.

ახლა თუ გავიხსენებთ ზემოთქმულს, რომ მთლიანად თხზულებაც და შიგ ჩართუ-
ლი პაგიოგრაფიული ნოველაც არ არის დამოუკიდებელი მხატვრული მთლიანობა, და
თუ ამას დავუმატებთ დროგადასულ ჟანრსა და მძიმე ენას, სავსებით ბუნებრივი იქ-
ნება კითხვა: ყოველივე ამის შემდეგ ნაწარმოების რა მხატვრულ ღირებულებაზე შე-
იძლება საუბარი, რითღა უნდა მოგვიხილოს აბუსერისძე ტბელის ამ ქმნილებამ?

უეჭველად შეიძლება საუბარი, უეჭველად მოგვიხილავს.

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ნაწარმოებს თან ვასდევს ამაღლებული, კეთილშო-
ბილი იუმორი, რაც თითქმის აბსოლუტურად უცხო იყო პაგიოგრაფულ თხზულებათა
პირქუშობამდე სერიოზული სულისკეთებისათვის. ლიმონარევი კილოთი მოგვეთხრობს
ავტორი ნაწარმოების პერსონაჟთა (არა მხოლოდ ბასილის) თავგადასავალს, ტაძრის
მშენებლობის ამბავს და ჩვენც გვაზიარებს იმ სულიერ ატმოსფეროს, რომლითაც ცხო-
ვრობდა რუსთაველის ეპოქის, ადრეული რენესანსის ხანის საქართველო.

ოღონდ ამასობაში არ დაგვაიწყდეს, რომ თხზულება დაწერილია 1233 წელს, უკვე
მას შემდეგ, რაც, აბუსერისძე ტბელის სიტყვით, „მოგებისათვის ცოდვათა ჩვენთადასა
სამცხე და ყოველი ადგილი საქართველომსაჲ ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ზვარაზ-
მელთადასა, გამოქცევასა და მოწყვედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კა-
ცისშვილთასა, წარტყვენვასა და მოხონებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტეხ-
თა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველომსათა“, მას შემდეგ, რაც მოხდა შემოხონნულ,
ქართველთაგან შეფარებულ და ნაალერსევ უცხო თესლთა ის საზარელი დღალტი (1225,
გარნისის ბრძოლა), რომელსაც ამჟერად, ჟამთაღმწერლის თქმით, მოჰყვა „საქართვე-
ლოსი სრულიადი მოსპოვლა“.

მაგრამ ჟამთაღმწერელი უკვე მომსწრეა დიდი საქართველოს დამხობისა, მოვლენ-
ებს შორიდან უმზერს და ანალიზებს კიდევ: „ვითარ დაეახლნეს წინამბრძოლნი და
სულტანი (ჯალალედინი. — რ. თ.), აქა დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმან (წინამბრძოლ-
თა — მესხთა და თორელთა ლაშქარს არ მიეშველაო. — რ. თ.). იტყვიან, ვითარმედ
შერიტთა ყო ახალციხელთა — შალვა და ივანესიტთა. ჰოჲ შერი, ყოიელთა ბოროტთა

დასაბამი და ძვირად მომწყვედელი ნათესავისა კაცთასა!4

ხოლო აბუსერისძე ტბელისთვის, მსგავსად, როგორც ჩანს, მისთა თანამედროვეთა უმრავლესობისთვის (სამეფო სახლის ჩათვლით!), ხვარაზმელთაგან საქართველოს დარბევა იყო დროებითი, ადრე წარმავალი მოვლენა, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული შედეგები არც უნდა მოჰყოლოდა, ყოველ შემთხვევაში, თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე გაღაღებულ და დამარცხებას გადაწვეულ ქართველთა ცხოვრება არსებითად არ უნდა შეეცვალა. ალბათ, ამიტომაც აბუსერისძე ტბელი ხვარაზმელთა შემოსევის გაკვირვით ახსენებს მხოლოდ.

ეს ყოველივე იმის გამო შეგახსენეთ, რომ ხაზი გამესვა შემდეგი ამბისთვის: აბუსერისძე ტბელის ნაწარმოები, ქართველი ერის ცხოვრების ზარდამცემი ტეხილის ზღვარზე შექმნილი, ჯერ კიდევ არეკლავს იმ სულიერ ვითარებას, რომელიც დამკვიდრებული იყო მეოთხე მეთორმეტე საუკუნისა და მეცამეტის პირველი მეოთხედის საქართველოში — ლალსა და ამალბეულს, მიმტვეხმელსა და დოგმებით ნაკლებ შემზღუდულს (ან სულაც შემზღუდეს).

ამას იმიტომ არ ვამბობ მხოლოდ, რომ, ავტორის სიტყვით, ნეტარ ბასილის „მახლობელნი მისნი ბოლოკ-ბასილობით უხმობდეს“. ეს „ბოლოკ-ბასილი“ იმთავითვე ოდნავ კომიკურ იერს სძენს ნაწარმოების პერსონაჟს — სარწმუნოებისთვის თავდადებულ ბოლოკს. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორი არც მალავს თავისი გმირის სიბნელესა და კომიკურობას — ამით მეტი ღირებულება ენიჭება წმიდა გიორგის მიერ აღსრულებულ სასწაულებს, მდაბალსა და დაწუნებულში საღმრთო ძალის გაცხადებას. ეს ქრისტიანული მსოფლმხედველობის ორგანული მომენტია.

მოულოდნელი და უჩვეულო სხვა რამ არის: „ბოლოკ-ბასილის“ ახლობელნი კი არ უწოდებენ მხოლოდ, თავად წმიდა გიორგიც ამგვარად მიმართავს:

„— ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, რა წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისსა...“

მოულოდნელი კი არა, წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო ცად ამალბეული მთავარმოწამის მხრივ ამგვარი საღაღაბო სახელით შესიტყვება. მაგრამ აბუსერისძე ტბელისეულ წმიდა გიორგის უცნაურად აქვს გამახვილებული იუმორის გრძნობა, რაზეთუ სხვა შემთხვევაში ამგვარად შეგხმინება ხოლმე თავისი ნების აღმსრულებელ კალატოზს: „ბაილო“.

საქმე ის არის, რომ „ბასილი ნეტარი მცირედ ენაბრგვნილი (ენამოწმევილი) იყო“ და, შესაბამისად, გამთავადებდა ხოლმე მას წმიდა გიორგი, ვითომ — ბასილო.

მეღმა მხარიდან, ზეციური საუფლოდან ამა სოფლად მომართული ერთი ზუმრობა მთელი ეპიზოდია.

როგორც მოგახსენეთ, მთავარმოწამემ პირობა იმგვარი დაუღო კალატოზ ბასილის, რომ მისი უღრუღი ხარის და სტეფანესეული ჯორის გარდა სხვა არაფერს უნდა მიხმარებოდა ტაძრის აგებისას (საგულისხმოა, რომ ავტორს იმ ხართა სახელების მოხსენიებაც არ ავიწყდება: ერთს ჭურდა ერქვაო, მეორეს — პირქუში). არადა, გარდა სხვა სამშენებლო მასალისა, ერთობ დიდ-დიდი ქვებიც უნდა მიეზიდა ბასილის საქმოდ შორი მანძილიდან. წათრევით იმ ქვებს ხარები წათრევდნენ მარხილით, მაგრამ მანამდე მარხილზე დადება და გაშართვა ხომ უნდოდა იმ ქვებს (მოჭრაზე რომ არაფერი ეთქვათ). ან შემდეგ — გაღმობება და ადგილზე მორგება? ამ საქმეშიო, მოგვითხრობს ავტორი, თავად მთავარმოწამე ეშველებოდაო. სწორედ ეს არის როგორც მთელი ნაწარმოების, ისე კერძოდ, შიგ ჩართული პაგიოგრაფიული ნოველის იდეა — საღმრთო ძალის დახმარებით მარტოკასაც ძალუქს ზეციური სიძნელის საქმეთა აღსრულება.

და, აი, ავტორი მკითხველებს მოგჰმართავს: ერთი ქვის მოტანის სასწაულს გაუწებოთ და ამით მთელი მშენებლობის ამბავი გაითვალისწინეთ, რათა გრძლად მოყოლით თავი არ შეგაწყინოთო.

იმ მთაზე, ზაქარწმიდა რომ ჰქვია, ბასილიმ „შეჰკახმა ქვაჲ დიდი და მძიმე და დადვა მარტომან მარხილსა ზედა მათვე უღლეულთა თვისთასა, შეწვენითა საფთა ჩვეულებსამებრ“ (ქვემოთ ირკვევა, რომ იმ ქვის სიდიდე თერთმეტ მტკაველამდე აღწევდა და ბასილის იგი ტაძრის დასავლეთი კარის ბალავარად გამოუყენებია). ხარებს რომ გამოუძღვა „საზარელ და მყაფარ ჩამოდმართში“ ამსილიღე ტვირთისთვის ხელის შემშველბელი, სასო წარეკეთა; მაშინო, გვაუწყებს ავტორი, მარხილი ზედ-ტვირთული ქვითურთ უღლეულს გამოეხსნა (უღელი ხარებსვე შერჩათ ქედზე), არც ხარებს ავნო რამე, არც ბასილის დასჯახებია, ის საზარელი ციცაბო ჩაიარა, წინ მრავლად დახვედრილი ქეები და ტევრში მდგარი ხეები (ავტორი უკეთ ამბობს: „ხევნარი მდნარისა“) მშვიდობიანად განვლო, მერე გაივია, იქ ერთი ეკლესიის წინ მდინარეც გადალახა და „ყოვლადვე უვნებელმან ქვითურთ შველო შედმართიცა დიდი“.

ცხადია, ავტორი ამ ეპიზოდში სახუმაროს ვერაფერს ხედავს, მისთვის ეს ამბავი საღმრთო სასწაულია მხოლოდ. მაგრამ მკითხველნი ხომ ვხედავთ უღლეულის წინ სახტად დარჩენილსა და გაოგნებულ ბასილის, ზარდაცემული რომ მიადევნებს თვალს, ვინ იცის, რა წვლებით, მარხილზე შეგდებული უზარმაზარი ქვის თავაწყვეტილ სრბოლას.

მეორედ კიდევ უფრო მეტად შეაცბუნა მთავარმოწყმემ ჩვენი გულუბრყვილო ბასილი. ეს ეპიზოდი იმ ზომამდე სახატად, ლაყონურად, ამასთან, სადა სტილით არის მოთხრობილი, პერიფრაზირებას არც საჭიროებს, იმედი მაქვს, მკითხველისათვის ყოველივე ისედაც გასაგები იქნება.

„ამისავე მუშაობასა შინა ქვაჲ განებო (გაუსკდა). ზოლო წმიდამან მოწამემან ჰრქვა:

— შთადეგ, ბასილი, და განზომე ეგე, რაოდენი არსო.

და შთადგა მას შინა. და შემოაჭირა წმიდამან იმიერ და ამიერ მით განაპებითა ქვათაჲთა.

ბასილი ხმაყო:

— ვაძმე, რად მომკალ საწყალობელი და საბრალოჲ, წმიდაო მოწამეო!

ზოლო წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლალობისა, გაზიდნა მას განაპებასა ქვათასა და ჰრქვა:

— აომხედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულქმენ ტაძარი ჩემი“

„რეცა სიცილის სახედ და ლალობისა“ — თითქოს სიცილით და ლალობით. ეს უკვე ავტორისეული დასტურიც გახლავთ სიტუაციის კომიკურობისა, იმიერ სოფლით, ზესთასოფლით ამა სოფლად მოვლენილი ხუმრობისა.

ამგვარი მიმართებები ქართული ჰაგიოგრაფიის კლასიკურ პერიოდში (V-XI საუკუნეები) სრულიად წარმოუდგენელი იყო. არა მარტო ჰაგიოგრაფიისა. საერთოდ, იმ საუკუნეთა ქრისტიანული იდეოლოგია ვერ შეიწყნარებდა მსგავს ლალობას. ამას იმიტომ არ ვამბობ, თითქოს საამდროოდ მეცამეტე საუკუნის დამდეგისათვის, ანუ როგორც ვუწოდებთ ზოლმე, რუსთაველის ეპოქისთვის, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას არსებითი ცვლილება ან თუნდაც მცირე ბზარი დამჩნეოდეს. ვერც საკუთრივ აბუსერისმდე ტბელის აღმსარებლობაში შევიტანთ რაიმე ეჭვს, პირუკუ — ავტორი უაღრესად გულდაჭერებული მართლმორწმუნე ქრისტიანია.

ზემოთ მოთხრობილი ეპიზოდები სხვა რაიმეს მეტყველებს, სხვას გვაუწყებს იმგვარ სულეერ ატმოსფეროს, სამყაროს იმგვარ კვრეტას, როდესაც ყოველივე მზადაა სოფლისა და ზესთასოფლის ერთ დიდ პარმონიულ მთლიანობად დასახვისთვის, რაც თავისი უმაღლესი სახით „ვეფხისტყაოსანში“ აღსრულდა და რაც რენესანსის ერთ უმნიშვნელოვანესი პირობაა საერთოდ.

საგეოგრაფიო სახელთა მეცნიერული მუხრავლისათვის

საგეოგრაფიო სახელთა მეცნიერული შესწავლისათვის ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ჯერ კიდევ 1953 წელს დაიწყო თანმიმდევრული ტოპონიმიკური აღწერა. ეს საქმე ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთიდან (აქარა) დაიწყო და მალე საკმაოდ ხელშესახები შედეგებიც გამოიღო. ამაზე ხაზგასმით მიუთითებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, ვისი ინიციატივითაც 1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ამგვარი ძიების პირველი ცენტრი რესპუბლიკაში — საისტორიო გეოგრაფიის განყოფილება.

ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით 1958 წელს დაიბეჭდა „სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიკის“ პირველი წიგნი. ნ. ბერძენიშვილი იყო ამავე სერიის მეორე წიგნის რედაქტორიც.

აქარის სახელმწიფო გამომცემლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში მან პირველმა ითავა ქვეყნის ამ ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის მასალების სერიული გამოცემა და დღესაც სახელოვნად აგრძელებს ამ მეოთხედი საუკუნის წინ დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს.

თანდათან სულ უფრო და უფრო ღვივდება ინტერესი ამ მიმართულებით და არაერთი პირი (სპეციალისტი თუ მოყვარული) და სამეცნიერო დაწესებულება ჩაება სატოპონიმიკო შემკრებლობით თუ თეორიულ მუშაობაში. 60-იან წლებში ამ საქმით განსაკუთრებით დაინტერესდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა (გამგე პროფ. შ. ძიძიგური), რომლის ინიციატივითაც 1969 წელს კათედრასთან შეიქმნა კიდევ ერთი ახალი სამეცნიერო უკრები — ტოპონიმიკური ლაბორატორია. ამ საქმის მთავარი ინიციატორი და ლაბორატორიის პირველი ხელმძღვანელიც იყო აწ განსვენებული პროფესორი ფ. ერთელიშვილი.

ამ ლაბორატორიის მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობას გვამცნობს მისი ორგანო „ტოპონიმიკა“, რომლის პირველი ტომი 1976 წელს გამოქვეყნდა, (პროფ. შ. ძიძიგურის წინასიტყვაობითა და საერთო რედაქციით), ხოლო მეორე — 1980 წელს.

მნიშვნელოვანი ტოპონიმიკური სამეცნიერო და შემკრებლობითი სამუშაოები ხორციელდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაშიც, სადაც განსაკუთრებით აქტიურობენ ენათმეცნიერებისა, ისტორიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტები. ენათმეცნიერების ინსტიტუტის უკანასკნელი წლების სამისო პროდუქციისაგან აღსანიშნავია 1980 წელს გამოცემული გ. ბედოშვილის წიგნი „ერწოთიანეთის ტოპონიმიკა“ (რედ. პროფ. ა. კიზირია).

ტოპონიმიკური ნაშრომები გამოსცა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმაც (ვ. ითონიშვილის „ხევის ტოპონიმიკა“, (1971), და სხვა).

ამავე ინსტიტუტის საისტორიო გეოგრაფიის განყოფილების ორგანოში („საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“) ხშირად იბეჭდება ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის აღწერილობის მასალები. 1964 წელს გამოქვეყნდა სამცხის აღწერილობა (ტ. II). 1971 წელს კი გურიისა (ტ. IV), ხოლო 1982 წელს ვაკე-მთიანეთის აღწერილობის ნაწილი (ტ. VI) და ა. შ.

ამავე მხრით ენერგიულად იღვწიან ხელნაწერთა ინსტიტუტშიც. ამ ინსტიტუტში

ჯერ კიდევ 1964 წელს დაბეჭდა ისტორიულ დოკუმენტებში დაცული საქართველოს საისტორიო გეოგრაფიისა და სატოპონიმიკო მასალების პირველი წიგნი, რომელიც ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანიძემ შეადგინეს (რედ. პროფ. ი. აბულაძე).

საყოფიერად მუშაობენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

საქართველოს პედაგოგიკურ ინსტიტუტებში მოღვაწე ტოპონიმოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა პროფ. ალ. ლლონტი, რომელმაც უკანასკნელ დროს „ტოპონიმიკური ძიებანის“ ორი ნავეთი (1971, 1975) და მრავალი სატოპონიმიკო სტატია დაბეჭდა.

ასევე ენერგიულად იღვწის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ლინგვისტი და მწერალი მიხეილ ალავეიძე, რომლის რაჭულ-ლეჩხუმური ტოპონიმიკური შტუდიები ფართოდაა ცნობილი.

დიდ საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ საქართველოს სსრ გეოგრაფიულ და პედაგოგიურ საზოგადოებებსაც.

1977 წელს პირველმა გამოსცა გ. ელიავას წიგნი „აბაშისა და გვეგუქორის რაიონების ტოპონიმიკა“ (რედაქტორი აკად. ს. ჯიქია), მეორემ კი ერთი წლის შემდეგ, პროფ. გრ. ზარდალიშვილის ნაშრომი „თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია“, გამოაქვეყნა.

ამავე საზოგადოებამ დაბეჭდა შოთა გოგატაშვილის წიგნი „საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი“. წიგნი გამიზნულია რეაწლიანი და სამუალო სკოლების მოსწავლეთა დასახმარებლად გეოგრაფიის შესწავლაში. „გეოგრაფიული სახელწოდებები, — როგორც სწორად შენიშნავს ავტორი, — თვითონვე გვაძლევენ ხელშესახებ ცნობებს მათ წარმოშობაზე, ახასიათებენ გეოგრაფიულ გარემოს — რელიეფს, პეიზაჟს, წყლებს, ნიადაგებს, მცენარეულობას, ცხოველთა სამყაროს, მთა-მდინარეებს, მიგვიჩვენებენ ამა თუ იმ მხარისათვის დამახასიათებელ მეურნეობაზე, ისტორიულ წარსულზე და სხვ“ (გვ. 3).

სწორადვე ახასიათებს მკვლევარი საგეოგრაფიო სახელთა გამოყენების მნიშვნელობასაც სწავლის პროცესში. იგი „გააზრებულსა და ადვილად ასათვისებელს ხდის მასალას. ამდიდრებს მოსწავლეთა ცოდნას“ (იქვე).

სამეწიხროდ, სასკოლო სახელმძღვანელოებში საგეოგრაფიო სახელწოდებანი და ტერმინები იშვიათად თუ არის განმარტებული. ამ ხარვეზის შევსების ერთგვარი და მოკრძალებული ცდაა სწორედ სარეცენზიო ნაშრომი, რომელიც ლექსიკონის პრინციპზეა აგებული.

ლექსიკონს უძღვის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი შესავალი (გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტების გამოყენება სწავლებისას“, გვ. 3-6) და ერთვის „გამოყენებული ლიტერატურის“ (ქართული, რუსული) სია (გვ. 51-53). ავტორს გამოუყენებია ჩვენი გამოჩენილი ტოპონიმისტების მიხეილ ალავეიძის, პავლე ინგოროყვას, ალექსანდრე ლლონტის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავასა და სხვათა ნაშრომები.

ავტორს დიდი შრომა გაუწევია საქართველოს მრავალფეროვანი და მრავალენოვანი საგეოგრაფიო სახელების შესასწავლად და რიგ შემთხვევაში წარმატებისათვის მიუღწევია. მაგრამ წიგნში ნაკლოვანებებიც შეინიშნება.

ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ საგეოგრაფიო სახელოთა განხილვისას სამეცნიერო ლიტერატურის რამდენადმე სრულყოფილი გათვალისწინება არ ჩანს. ავტორს რომ უფრო ენერგიულად მიეძია ლიტერატურა, მაშინ გაცილებით უფრო საფუძვლიანად გააშუქებდა „აბასთუმნის“, „აგარას“, „ბათუმის“, „ბაღდათის“, „ბახმაროს“, „გელათის“, „გოდერძის“ (უღელტეხილი), „ლანჩხუთის“, „მარადიდის“, „ოზურგეთის“, „ჭოროხის“, „ხერთვისის“ და მრავალ სხვათა წარმოქმნის; ენობრივი მიკუთვნილობისა თუ რაობის საკითხებს. მაგრამ, რადგან ასეთი სამუშაო არაა ჩატარებული,

სურათი ან სრული არ არის, ანდა ზმირად მხოლოდ ხალხური ეტიმოლოგიის ამგვარ დატოვებული („გარძია“, „ოზურგეთი“ და სხვა).

ავიღოთ რომელიმე მათგანი, თუნდაც „აგარა“ (გვ. 7) ავტორი ესწრაფვის ამ სახელწოდების განმარტებას და მოაქვს ამონაწერები ს. ს. ორბელიანის ლექსიკონიდან, სადაც აგარას ორი მნიშვნელობაა მოცემული: 1. „სადგური საზაფხულო“ და 2. „ადგილი საყანური, გინა სავენახე, გინა დაბა“, და რატომღაც, პირველს აძლევს უპირატესობას და დაასკვნის: „ძველად აგარა ერქვა საზაფხულო დასასვენებელ ადგილს“ (გვ. 7).

აგარის „ძველ“ (ე. ი. პირვანდელ) მნიშვნელობად „დასვენების“ მიხნევა სწორი არ ჩანს.

ავტორმა იცის, რომ აგარას აჭარაში დღემდე შემორჩა სამეურნეო მნიშვნელობა („საყანური“ და მისთ.), მაგრამ რატომღაც ამ აზრს ვეღარ იყენებს აგარის სისრულით განმარტებისათვის. მას სრულებით რჩება მხედველობიდან ისტორიული „აგარანი“, რომელსაც ნ. ბერძენიშვილმა შესანიშნავი ნაშრომი უძღვნა.

ასევე ითქმის „ბახმაროს“ შესახებაც (გვ. 11-12). ავტორს, რომ სრულად გაეთვალისწინებია ლიტერატურა, მაშინ ის ამ კომპოზიციის პირველი ნაწილის მეცნიერულ ახსნასაც შეეცდებოდა და ხალხური ვერსიით არ დაეკმაყოფილებოდა. იგივე ლიტერატურა მას იმაზეც მიუთითებდა, რომ „ბახმარო საქართველოში ერთი როდია და რომ ამ სახელწოდების პუნქტი, გარდა აგარაჟის, სოფელიც არის ზემო აჭარაში.

იგივე მიზეზი აპირობებს სწორედ „ბორჯომის“ განხილვის უსრულობასაც. წიგნში ამ სახელწოდების ერთადერთი ახსნა („ფესვი, ძირი, განტოტვილი ძირი“) მოცემული (გვ. 13). მაშინ, როდესაც მრავალი სხვაც არანაკლები უფლებით არსებობს. გარდა ამისა, „ბორჯომი“. მართლდენ „კურორტისა“ და „რაიონის ცენტრის“ სახელად როდი გვხვდება სამხრეთ საქართველოში. ამავე სახელით იწოდება რამდენიმე ნასოფლარიც. ავტორს სწორედ ესენი უნდა დაესახელებინა პირველად, ხოლო შემდეგ აღენიშნა ის, თუ როდის და რა ვითარებაში მოხდა სოფელ ნუას ნაცვლად XIX საუკუნეში „ბორჯომის“ შემოსვლა და შემდეგ მისი სოფელ ფიასა და სხვა მახლობელ ადგილებზე („გოგაიას ციხე“) გაერთელება.

ივანე როსტომიშვილის კვალად, ავტორი „გელათს“, გენათ“-ად (დაბადება) განმარტავს, მაშინ, როდესაც ის საგვარეულო სახელიდან მომდინარე ტოპონიმი ჩანს.

ასევე ითქმის „გოდერძის“ ავტორისეულ განმარტებაზეც. ამ ძველ აღმოსავლურ ტოპონიმს იგი „საშუალო საუკუნეების ლეგენდარული პოეტის“ სახელად მიიჩნევს (გვ. 15).

„ლანჩხუთის“ ახსნისას ავტორი მხოლოდ ერთ ვერსიას (ზანურს) გადმოსცემს, მაგრამ ნაკლებად. დასაწყისში ამბობს, რომ ეს „მეგრულ-ჭანური“ სახელწოდება „ნოშაჯეს ძროხას“ (გვ. 25), ხოლო დასასრულს ამას „საძროხე“-დ ასწორებს; (იქვე). თუ ამ ვერსიას ვირწმუნებთ, მაშინ სწორი უკანასკნელი იქნება, მაგრამ ამისათვის აქ მრავალი რამაა ასახსნელი. ვიდრე რომელიმე ტოპონიმის ახსნას შევუდგებოდეთ, მანამდე მისი ფორმების ურთიერთმიმართება და პირვანდელი სახის აღდგენა აუცილებელი. ვიდრე ასეთი სამუშაო არ ჩატარებულა, მანამდე ზედმეტა ლაპარაკი რომელიმე ვერსიის მეცნიერულ ღირებულებაზე.

არანაკლებ რთულად დგას „ჭოროხის“ ეტიმოლოგიის საკითხი. ვინ მოსთვლის, რამდენს უღდია მისი ახსნა და რანაირი ვერსიები არ შექმნილა (იხ. სპეციალური წერილი ჟურნ. „ჭოროხში“, 1980, № 1), ავტორი კი არც ერთ მათგანს არ ითვალისწინებს და ამ სახელწოდებასაც სრულებით მარტივად განმარტავს, როგორც „მდინარისაგან დაგროვილ ქვიშას“ (გვ. 48).

წიგნში სწორი ფორმითაა მითითებული დაბა მაიაკოვსკის ძველი სახელი „ბაღდა-

თი“ (და არა ბაღდადი, როგორც ხშირად წერენ ხოლმე). მაგრამ კარგი დასაწყისი ზო-
ლომდე ვეღარაა მიყვანილი. ავტორი ამ სახელწოდებას XVII საუკუნის წარმომადგენელ
მიიხსენებს და შენიშნავს: „ბაღდადი დაერქვა თურქების მიერ... თავიანთი ქალაქისაგან
დღაღის სახელიდან“ (გვ. 27-28).

იქვე იგი განმარტავს კიდევ „ბაღდადს“ („ღვთის ნაიუქარი“), თუმცა მთავარი
და არსებითი უყურადღებოდ რჩება: 1. დაბის სახელია არა ბაღდადი, არამედ ბაღდათი.
მკვლევარს კი, რომელიც უკანასკნელის პირველისგან წარმომავლობას ირწმუნებს, ევა-
ლება მეცნიერულად დაასაბუთოს ასეთი სახეცვლილება და ამავე დროს განმარტოს
ისიც, თუ რამ განაპირობა სხვა შემთხვევებში ჩვენს საგეოგრაფიო ნომენკლატურაში
„ბაღდადის“ დამკვიდრება (სოფლის სახელები მახარაძისა და ლავოდეხის რაიონებში).

წიგნის ერთ-ერთი არსებითი ხასიათის ნაკლი ისიც არის, რომ ავტორი ამა თუ
იმ სახელწოდებაზე არსებული ვერსიების თავმოყრით კმაყოფილდება მხოლოდ და თა-
ვის პოზიციას არ ავლენს. ასე მაგალითად, როცა ის „მარადიდს“ (სოფლის სახელი
ხელვაჩაურის რაიონში) ეხება, მისი ეტიმოლოგიის ორივე ვერსია მოაქვს (1. მარადი-
დი ან მერედიდი (მერე-ვაკე) ე. ი. დიდი ვაკე“ (გვ. 28). 2. „წარმოდგება მარან-დი-
ლისაგან“ (იქვე), თუმცა მათ შორის უფრო მართებული ახსნის გამორჩევისაგან თავს
იკავებს.

ამასთანავე მისი მსჯელობა არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან: 1. მარადიდში
ვაკე თითქოს მხოლოდ ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე იყოს (იქვე) 2. აქვე დასახელებულია
სოფელი მერია — „მდინარის მარჯვენა სანაპიროზე... შედის აჭარის ასსრ-ში“. როგორ
მდინარის? თუ ჭოროხი იგულისხმება, მაშინ ამ მდინარის იმ მონაკვეთში,
რომელიც საბჭოთა აჭარის ფარგლებშია, ასეთი სახელწოდების სოფელი არც ახლა არსე-
ბობს და არც წარსულში ჩანს რომ ყოფილიყო.

არამეცნიერულ ვერსიებთან ერთად წიგნში არც თუ ისე იშვიათია წინააღმდეგო-
ბანიც. ასე მაგალითად, „შორაპანს“ ავტორი ჯერ „შორი ფონი“-დან წარმოქმნილ
ტოპონიმად მიიჩნევს (გვ. 20), ხოლო შემდეგ მის „ძველი სპარსული“ სიტყვიდან მო-
მდინარეობაზე მსჯელობს (იქვე).

საგეოგრაფიო სახელი „ხერეთისი“, რომელიც ხშირად გვხვდება როგორც სამხრეთ-
დასავლეთ საქართველოში, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც, წიგნში „ხან-მეტ ფორ-
მიან“ ტოპონიმადაა მიჩნეული (გვ. 48), მართალია, ასეთი აზრი კარგახანია გამოთქმუ-
ლია და ჩვენი ავტორიც მას მისდევს, (თუმცა წინამორბედს არ ასახელებს), მაგრამ იგი
სწორი არ ჩანს. ამას სარეცენზიო ნაშრომში მოხმობილი ზოგიერთი მასალაც მოწ-
მობს, მაგრამ ავტორი ამას უყურადღებოდ ტოვებს.

ავტორი სოფლის სახელ „მათხოჯ“-საც (წულუკიძის რ-ნი) ეხება, მაგრამ, თუ რა-
ტომ ეწოდა ეს სახელი (მათხოჯი (ზან.) — მათხოვარი), ამაზე არაფერს ამბობს. რაც
შეეხება მის ერთ-ერთ დღევანდელ მნიშვნელობას („ცული“, „მახინჯი“), რომელსაც
ავტორი მიუთითებს, არაფერი აქვს საერთო ტოპონიმ „მათხოჯთან“.

არც „ოზურგეთის“ ავტორისეული ახსნა შეესაბამება სინამდვილეს. მისი მტკიცე-
ბით, ამ პუნქტს ეს სახელი თურმე იმიტომ დარქმევია, რომ, თუ „თურქების ჯარი აქამ-
დე... მოატანდა, ამის იქით წასვლა აღარ შეეძლო“ (გვ. 29). ამას მკვლევარი „ზურგის
სიმაგრით“ ხსნის (იქვე), ხოლო შემდეგ დასძენს. „ეს სახელწოდება მეგრულია და სა-
ზურგეთის ნიშნავს“ (იქვე). მკითხველი ბუნებრივია იკითხავს: როგორღა შეიძლება
იყოს ოზურგეთი მეგრული სახელი, თუ ის თურქთა შემოსევების ხანაში წარმოქმნი-
ლი, როგორც ამაში ავტორი გვარწმუნებს? თურქთა ლაშქრობანი ამ მხარეში ხომ იმ
ძველ ხანას არ განეკუთვნება, როდესაც ოზურგეთის წარმოქმნაა საგულებელი?

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური წარმოშობის საგეოგრაფიო სახელებიც არ

გეგმვა ცოტა — თურქული, ბერძნული და სხვ. ავტორი ასეთ სახელწოდებებსაც ემყარება, მაგრამ, სამწუხაროდ, მცდარად. მაგ. თურქულ „დარა ქოი“-ს („ხევის სოფელი“) ის რატომღაც ბერძნულად აცხადებს (გვ. 16).

არის შემთხვევა, როცა ზანური (მეგრულ-ჭანური) სახელწოდება თურქულადაა მიჩნეული. ასეთად თვლის ის, მაგალითად, ოჩამჩირეს (გვ. 5) კომპოზიტ „ოჩამჩირე“-ში ორი ზანური სიტყვა („ოჩე“ და „მჩირე“) გამოიყოფა. ორივე ამ სიტყვის მნიშვნელობა ავტორმაც იცის (იქვე, გვ. 33), მაგრამ რატომღაც ამ მართებულ ვერსიას არ მისდევს.

სიტყვის გარეგნული მსგავსება ტოპონიმიში ყოველთვის როდი გვაძლევს დადებით შედეგს. ასეა „აჯამეთის“ მიმართაც.

სახელწოდება ფუძის აგებულებით მართლაც იმეორებს „ტყის“ აღმნიშვნელ არაბულ სიტყვას „(აჯამათუნ“), მაგრამ ის თითქმის მაინც სხვა წარმოშობისა (ეთნიკური). ჩანს და არ არის გამორიცხული, რომ ამ ადგილას აჯამთა (სპარსელთა), ოდინდელი დგომის ნაკვალევი იყოს, როგორც ამას აკად. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა.

შენიშვნები კიდევ შეიძლებოდა გაგვემრავლებინა, მაგრამ ვფიქრობთ. საქმის ვითარების შესაცნობად ესეც საკმარისია.

იური სიხარულიძე.

პროფესორი.



სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

საქართველოს კომპარტიის აქარის სა-
ოლქო კომიტეტში გაიმართა საქართვე-
ლოს კომპარტიის აქარის საოლქო კომი-
ტეტთან არსებული მარქსისტულ-ლენი-
ნური თეორიის, კომუნისტური მშენებ-
ლობის პრაქტიკისა და მშრომელთა კო-
მუნისტური აღზრდის აქტუალურ პრობ-
ლემათა სემინარ-ლექტორიუმის მორიგი
მეცადინეობა, რომელსაც საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის
აქარის საოლქო კომიტეტის პირველი
მდივანი ვ. პაპუნიძე ხელმძღვანელობს.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა
გახსნა საქართველოს კომპარტიის აქა-
რის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ.
გუგუნიძემ.

მოხსენება თემაზე „იდეოლოგიური
მუშაობის ზოგიერთი საკითხი სკკ ცენ-
ტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნის-
ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე“
ვაკეთა ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამო-
ლარაზოვანიეს“ მთავარი რედაქტორის
ზოადგილემ პ. სვერნიკოვმა.

ფილმის პრემიერა

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა
ზაბელმწიფო პრემიის ლაურეატმა რეჟი-
სორმა გიგა ლორთქიფანიძემ ახლახან
დამთავრა მუშაობა ახალ მრავალსერიიან
სატელევიზიო მხატვრულ ფილმზე „წი-
გნი ფიცისა“. ფილმის სცენარის ავტო-
რია ხელოვნების დამსახურებული მოღ-
ვაწე, მწერალი ანზორ საღუქვაძე. ეს
ხუთსერიიანი კინოეპოპეა ეძღვნება სა-
ქართველოს ერთმორწმუნე რუსეთის
მფარველობაში შესვლის 200 წლისთავს.

ფილმში როლებს ასრულებენ რო-
გორც ქართველი, ისე მოწვეული მსანა-

ოებნი: თ. არჩვაძე, ლ. ელიავა, ს. სარ-
ქიანი, კ. კავსაძე, ი. სოლომონი, ქ. კი-
კაძე, ა. ბისტროვი, მ. ჭიორია, ი. სა-
ზაროვი, თ. წულაძე, ჯ. მონიავა, ლ. ან-
დროსიკაშვილი, ზ. ქაფიანიძე, ლ. ფილ-
ფანი, ლ. ასათიანი და სხვები.

კინოთეატრ „თბილისში“ გაიმართა
ახალი სატელევიზიო მრავალსერიიანი,
მხატვრული ფილმის „წიგნი ფიცისა“
პრემიერა.

პრემიერის წინ სიტყვით გამოვიდა ბა-
თუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო
საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის გან-
ყოფილების გამგე ა. ჩიკაშუა.

ფილმის დაზღვევით ჭკუვს მადლობა
გადაუხადეს და ახალი შემოქმედებითი
წარმატებები უსურვეს შ. რუსთაველის
სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედა-
გოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიისა
და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის
გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქ-
ტორმა პროფესორმა შ. ჭაფარიძემ,
პროფესორმა ი. სიხარულიძემ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქარ-
თველოს სახალხო არტისტი კ. კავსაძე.

შემდეგ მასურებელმა დიდი ინტერესით
ნახა ფილმი „წიგნი ფიცისა“ და
გულთბილად მიიღო იგი.

საიუბილეო მარონიპა

საქართველოს რევოლუციის სახელ-
მწიფო მუზეუმმა, შ. რუსთაველის სახე-
ლობის ბათუმის პედინსტიტუტის ისტო-
რიის კათედრამ და პარტიის ეკტერანთა
აქარის საოლქო საბჭომ გამართეს სამე-
ცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია,
რომელიც მიემდგნა გეორგიევსკის
ტრაქტატის 200 წლისთავს.

მოხსენებებით „რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობის ისტორიიდან“, „გეორგი-
ევსკის ტრაქტატის ისტორიული მნი-
შვნელობა“, „მშობისა და მეგობრობის

200 წელი“ წაიკითხეს დოცენტმა ა. სუ-
რაგულაძემ, მეცნიერმა თანამშრომელმა
მ. თურმანიძემ, პარტიის ვეტერანმა გა-
დამდგარმა პოლკოვნიკმა მ. ბაღიაშვილმა.

* * *

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის-
თავთან დაკავშირებით პროფკავშირების
აქარის საოლქო კულტურის სახლის
ლიტერატურულმა გაერთიანებამ და ბიბ-
ლიოთეკამ მოაწვევს სტენდები და გამო-
ფენა — „ერის შვილები დიადი მეგობ-
რობის შესახებ“, „სიუვარული გზად და
ხიდად“, „დედასამშობლოსთან დაბრუ-
ნება“, „სტუმრად ძმათა მუზეუმში“.

მეცნიერებათა დოქტორებმა პ. ცკვი-
ტარიამ, შ. ჯაფარიძემ, მეცნიერებათა
კანდიდატებმა ა. სურგულაძემ, ალ. გო-
ბრონიძემ, შ. თოღაძემ, ი. ბიბილიაშვი-
ლმა, ლ. აბაშიძემ და სხვებმა წაიკითხეს
გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნი-
ლი ლექციები.

ტრენინგ ნაწარმოებების განმეცნა

აქარის მხატვართა კავშირის საგამო-
ფენო დარბაზში გაიხსნა დიდი ფლამან-
დიელი მხატვრის რუბენსის ნამუშევრე-
ბის ფერადი ფოტოგრაფიული ასლების
ექსპოზიცია.

ხელოვნების ეს ნიმუშები მრავალ-
რიცხოვან დამთვალიერებელს აცნობს იმ
უნიკალურ ტილოებს, რომლებიც ანტვე-
რპენში ინახება, ქალაქში, სადაც მხატვა-
რი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

გამოფენის ორგანიზატორია ბელგიის
ფირმის „აგფა-გევრატის“ განყოფილება.
თვით ეს ფაქტი, ცხადია, მიუჩინებს ისახავს
ხალხთა შორის მეგობრული კონტაქტე-
ბის გაღრმავებასა და განმტკიცებას.

დარბაზში ქრონოლოგიური თანამიმ-
დევრობით წარმოდგენილი სამოცი ექს-
პონატი გარკვეულ წარმოდგენას ქმნის
რუბენსის შემოქმედებითს სამყაროზე.

შეხვედრა კოლარელებთან

აქარის უურნალოესი კავშირის გამგე-
ობამ პრესის სახლის კლუბში მოაწყო
ბათუმელ უურნალოესთა შეხვედრა გა-

ზეთ „სოვეტსკაია როსიის“ პოლარული
ექსპედიციის ხელმძღვანელთან ხელოვნების
სოლოვიოვთან და ექსპედიციის შტაბის
უფროსთან ბორის სოლოვიოვთან. პო-
ლარელებმა მარშრუტი: ჩუკოტკა-იაკუ-
ტია-ტიმირი-მურმანსკი ძაღლების მა-
რისილებით გაიარეს გასული წლის ნოემბ-
რიდან მიმდინარე წლის ივლისის ჩა-
თვლით.

ს. სოლოვიოვმა უურნალოესებს მოუ-
თხრო ექსპედიციის მომზადებაზე, მის
მიზანსა და მნიშვნელობაზე, იმის შესა-
ხებზე, თუ რა სიძნელეების გადალახვა
მოუხდათ მოგზაურობისას, ილაპარაკა
აგრეთვე მომავლის გეგმებზე.

არქტიკული ლაშქრობის დროს პრა-
ქტიკული და ორგანიზაციული საკითხე-
რის შესახებ დამსწრეთ ესაუბრა ბ. სო-
ლოვიოვი.

სტუმრებმა უპასუხეს უურნალოესთა
შეკითხვებზე.

დამატებითი საღამო

სულოს რაიონის სოფელ კალთის
მშრომლებმა შეხვედრა მოუწვევს ქარ-
თველ პოეტებს შოთა რუსთაველის
სახელობის პრემიის ლაურეატს ფ. ხალ-
ვაშს, მ. ვარშანიძესა და ჯ. ქათამაძეს,
გამომცემლობა „საბჭოთა აქარის“ ლი-
რექტორს ა. ახვლედიანს.

მოხსენება გააკეთა კალთის სასოფ-
ლო ბიბლიოთეკის გამგემ ა. ბამულაძემ.
სტუმრებს მიესალმა კალთის სასოფლო-
კლუბის გამგე უ. ვაბაძე, მ-წლიანი სკო-
ლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონ-
ტაჟი „ძმად, ძმითა ხარ ძლიერი“, რო-
სელიც ბათუმელ მწერალთა ლექსებზე
იყო აგებული. შემდეგ გამოვიდა გამო-
მცემლობა „საბჭოთა აქარის“ ლირექტო-
რი ა. ახვლედიანი, მან ილაპარაკა რუსი
და ქართველი ხალხების მეგობრობაზე.
აქარის მაღალმთიანი რაიონების წარსუ-
ლზე, აწმყოსა და მომავალზე, აქარაში
მომუშავე ქართველი მწერლების მოღვა-
წეობაზე და გამომცემლობა „საბჭოთა
აქარის“ შემოქმედებითს გეგმებზე.

პოეტმა ფ. ხალვაშმა დამსწრეთ გაუ-

შაირა რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების შთაბეჭდილებანი, შემდეგ წაიკითხა ექსპრომტად დაწერილი ლექსი „კალოთა“.

ლექსები წაიკითხეს პოეტებმა მ. ვარ-შანიძემ და ჯ. ქათამაძემ.

ხიხაძირის კულტურის სახლის ძაღვ-ბით გაიმართა კონცერტი.

„საბჭოთა აპარამ“ გამოსცა

გამომცემლობა „საბჭოთა აპარამ“ მკითხველს მიაწოდა ახელ სურგულაძის წიგნი „ხამს მოყვარე მოყვარისათვის“. მასში გადმოცემულია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან. ავტორი განიხილავს გეორგიევსკის ტრაქტატს, მის შედეგებს და რუსეთთან საქართველოს შეერთების დიდ ისტორიულ მნიშვნელობას.

ნაშრომი ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

წიგნის რედაქტორია პროფესორი პ. ცქვიტარია, რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თ. ტივაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ნ. კახიძე და მ. თავაძე.

* * *

გამოვიდა პოეტ ლევან გელაძის რჩეული ლექსების წიგნი „მონატრება“.

მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი ლევან გელაძის პოეტური კრებული „მალაღი მთიდან“. „მწვანე აკვანი“, „მზე მამულში“, „ნაღვერდალი“, „ტალღები და თოლიები“. ახალ წიგნში წარმოდგენილი ლექსები სწორედ ამ კრებულებიდანაა ამოჩეული.

ლევან გელაძე ოცი წლის წინათ ტრაგიკულად დაიღუპა. დღეს იგი 50 წლისა იქნებოდა.

რჩეული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო პოეტმა შოთა ზოიძემ.

სამშობლოს სიყვარული ამ კრებულიც წამყვანი თემაა, მაგრამ საკმაოდ დიდი

ადგილი ეთმობა ხალხთა მეგობრობასა და სიყვარულს. ერთი სიტყვით, „მალაღი“ თემატიკურადაც მრავალფეროვანია.

კრებული მხატვრულად გააფორმა თ. ღიასაშიძემ.

* * *

მკითხველებმა მიიღეს ახალგაზრდა პოეტის ამირან ხაბაზის ლექსების წიგნი „ჩურჩული“.

კრებულში გაცხადებულია ადამიანური ფიქრები და გრძნობები, ახალგაზრდა კაცის იმედები და ოცნებები, კაცური ფიქრი სამშობლოს წარსულსა და მომავალზე.

„ჩურჩული“ ახალგაზრდა პოეტის მეორე წიგნია, მისი რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვრულად გააფორმა რ. ლომაძემ.

* * *

გამომცემლობა „საბჭოთა აპარამ“ გამოსცა შალვა მახარაძის წიგნი „მესთატებაში“. იგი ეძღვნება მცირემწიფელებს.

აპარიდან დიდ სამამულო ომში 24 ათასზე მეტი კაცი წავიდა, რომელთაგან 8.558 ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ლეგენდარულ მე-18 არმიაში და მცირე მიწისათვის ბრძოლაში აპარიდან 400-მდე კაცი მონაწილეობდა, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს შ. მახარაძის წიგნი.

ნარკვევი „მესთატება“ გვაცნობს გივი ჭანუყვაძის, შოთა ხირაძის, ვლადიმერ ხიხაძის, სერგო ბურჭულაძის, აკოვ პეტროსიანის, გრიგოლ ცირეცის, ვლადიმერ მარტინოვის, ამბარცუმ ყაზარიანის, ოლიფანტე კუნჭულიას, დიდიმ ქარხალაშვილის, ოთარ ქაჩიას, ალექსანდრე მოისწრაფიშვილის, ქესკინ გუგუნავას, შოთა ძნელაძის და შოთა ჭიწკარაძის საბრძოლო გზას.

წიგნის რეცენზენტები არიან ი. ბიბილეიშვილი და ი. დავითაძე, რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვარი — ვ. ჩაჩავა.

გეორგიევესკი-200

ფრიდონ ხალვაში	3	ლექები
დავით ნაცვალაძე	6	კვალი ნათელი (ისტორიული ქრო- ნიკა)
ჯემალ ქათამაძე	18	გულთა კავშირი (ლექი)
რაქაზ სურგანიძე	20	ემრულა (მოთხრობა. გაგრძელება)
მამია გარსანიძე	35	ერეკლე (ლექი)
ალექსანდრე ანანიძე	37	ძმად გაეფიცა (ლექი)
სერგეი უსენინი	38	ლექები (თარგმნა გიორგი სალუქვაძემ)
ახვლე სურგულაძე	40	გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ის- ტორიული მნიშვნელობა
ორაფიელ შამელაშვილი	45	სოფლის მეურნეობის ტერმინები რუ- სულსა და ქართულში
იასონ ცერცვაძე	49	საბრძოლო თანამეგობრობა
რაქაზ გორგაძე	52	ლეგენდარული სახელები
ლადო შარაშიძე	56	ხელოვნის დეაწლი
ნიკოლოზ კაპაზისი	59	„გილოცავთ ძმობის დღესასწაულს“

კონსტანტინე

რობერტ სტურუა	61	შემოღობის ორი დღის ქრონიკა
		ფრიდონი
რაქაზ თვარაძე	83	აბუსერიძის ტბელის ნოველა
		კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
მურმე სისარულიძე	87	საკეოგრაფიო სახელთა გეცნიერული შესწავლისათვის
	92	ვახუშტი ორ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „განთავისუფლება“. მოქანდაკე **ვალერიან ინაიშვილი**.

ფურნალი გააფორმა **ავთანდილ ლომაძე**.

ტექნიკური ხელმძღვანელი **მუშანა დარჩია**.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სემსონია

სარედაქციო კოლეგია:

პაიოზ ახვლედიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, ჯუარაზ გორგვილაძე, მამია შარვაშიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზორბა ზომიძე, დავით თაფლობაძე, გიორგი ხალუშვაძე, ჯემალ ქაბაშაძე, ალექსანდრე ჩხიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 1.9.83, ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.9.83, საგამომცემლო თაბაზი 5, შვევეთის № 2286, ემ 00771, ქალაქის ზომა 60X90^{1/16}, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო
გაერთიანება, ბათუმი, ლექსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20

223/176



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Ч О Р О Х И“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118